

**არნოლდ ჩიქობავას ენათმეცნიერების
ინსტიტუტი
ქართული მეტყველების კულტურის
განყოფილება**

**ჟურნალი სტის
ორთოგრაფიულ-სტილი სტიკური
ლექსიკონი**

I

(განმეორებითი გამოცემა)

**თბილისი
2010**

**მთავარი რედაქტორი – თამარ ვაშაკიძე
პასუხისმგებელი მდივანი – ნინო ჯორბენაძე**

ავტორ-შემდგენლები:

**შუქია აფრიღონიძე
თამარ ვაშაკიძე
ვახტანგ მალრაძე
თეა ტეტელოშვილი
თინა ღვინაძე
ნინო ჯორბენაძე**

**რეცენზენტი – ავთანდილ არაბული
ტექ. რედაქტორი – ლევან ვაშაკიძე
ოპერატორი – რუსუდან რატიანი**

**© არნ. ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტი
ISBN**

ს ა რ ჩ ე ვ ი

წინასიტყვაობა	5
პირობითი ნიშნები	12
შემოკლებანი	13
ორთოგრაფიულ-სტილისტიკური ლექსიკონი	17
წყაროები	269

„ნორმათა დადგენის აუცილებლობა მით უფრო მწვავედ იგრძნობა, რაც უფრო მეტი შესაძლებლობა აქვს ჩვენს სამწერლობო ენას, იყოს მონოლითური“.

არნოლდ ჩიქობავა

წინასიტყვაობა

ბოლო წლებში ქართული ენის ლექსიკა საკმაოდ შეივსო ახალი ცნებების გამომხატველი სიტყვებითა და გამოთქმებით, სხვადასხვა დარგის ტერმინოლოგიით, რის გამოც განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა მეტყველების კულტურასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარებამ. სწორედ ამ მიზნით ენათმეცნიერების ინსტიტუტის ქართული მეტყველების კულტურის განყოფილებამ საჭიროდ მიიჩნია, კვლავ აღენუსხა ახლად გამოვლენილი ყველაზე ტიპობრივი ენობრივ-სტილისტიკური შეცდომები და ამ მასალის მიხედვით რადიო- და ტელეჟურნალისტების დასახმარებლად მოემზადებინა მცირე ორთოგრაფიულ-სტილისტიკური ლექსიკონი (I ნაწ.), რომელიც ძირითადად შედგენილია ზეპირი მეტყველების პროცესში დაშვებული შეცდომებისა თუ უზუსტობების საფუძველზე (ეს შეცდომები, ბუნებრივია, წერის დროსაც იჩენს თავს). რაც შეეხება სიტყვათა დაწერილობასთან დაკავშირებულ სირთულეებს, რომლებიც საუბრისას მეტ-ნაკლებად შეუმჩნეველია (განსა-

კუთრებით კომპოზიტები თუ ორსიტყვიანი გამოთქმები, რომელთაგან ზოგი დეფისით იწერება, ზოგი – ერთად და ზოგიც – ცალ-ცალკე), ისინი გათვალისწინებული იქნება ლექსიკონის მეორე ნაწილის მომზადებისას.

დაკვირვების ობიექტი იყო ტელეარხების („პირველი არხი“, „რუსთავი-2“, „მზე“, „იმედი“) მიერ მომზადებული გადაცემები, რათა გამოვლენილიყო ყველაზე გავრცელებული ტიპობრივი ენობრივ-სტილისტიკური შეცდომები თუ უზუსტობანი, რომლებიც თვალშისაცემია ჟურნალისტთა მეტყველებისას.

ლექსიკონის შემდგენლები ხელმძღვანელობდნენ შემდეგი წყაროებით: ვ. თოფურიას და ივ. გიგინეიშვილის „ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი“ (1998); „თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები“ (1970, 1986); ვ. თოფურია, „ქართული ენა და მართლწერის ზოგიერთი საკითხი“ (1988); „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“, I-VIII (1950-1964); მ. ჭაბაშვილი, „უცხო სიტყვათა ლექსიკონი“ (1989); „ქართული სიტყვის კულტურის საკითხები“ (I-XII); შ. აფრიდონიძე, „ჩვენი ენა ქართული“ (2002); „ჟურნალისტის სტილისტიკური ცნობარი“ (2002).

ლექსიკონის აგებულება და სარგებლობის წესები

„ჟურნალისტის ორთოგრაფიულ-სტილისტიკურ ლექსიკონში“ ორთოგრაფიულ-გრამატიკული შეცდომები (ზოგ შემთხვევაში – სტილისტი-

კურიც) გასწორებულია მიღებული [და არა] და [კი არა] აღნიშვნების გამოყენებით, რაც საშუალებას მისცემს მომხმარებელს, ესა თუ ის სიტყვა იპოვოს არა მხოლოდ სწორი, არამედ უმართებულო ფორმის მიხედვითაც, მეტადრე იმ შემთხვევებში, როცა სწორი და უმართებულო ვარიანტების ანბანური რიგი ერთმანეთს არ ემთხვევა, მაგ., **აუზი** [და არა ბასეინი]; [ბასეინი კი არა] **აუზი**; **ინფორმატიკა** [და არა იმფორმატიკა], [იმფორმატიკა კი არა] **ინფორმატიკა**; **მაროდირი** [და არა მარადირი, მოროდირი], [მარადირი, მოროდირი კი არა] **მაროდირი** და სხვ. თუ სწორი და შეცდომიანი ფორმების პირველი ასოები არ იცვლება და ეს სიტყვები ლექსიკონში ერთ გვერდზე და ერთმანეთის ახლოსაა, სათანადო ერთეული გატანილია მხოლოდ მართებული ვარიანტით, მაგ., **ააშენებინებს**; **ააშენებინა**; **აუშენებინებია** [და არა ააშენებიებს, ააშენებია, აუშენებიებია] და მისთ.

კუმშვად და კვეცად სახელებს მრგვალ ფრჩხილებში მიწერილი აქვს ნათესაობითის ფორმა, საჭიროების შემთხვევაში კი – ვითარებითისა თუ მრავლობითისა, მაგ., **სასმელი** (სასმლის^ა, სასმელად, მრ. სასმელები) და სხვ. ზოგჯერ ამა თუ იმ სახელთან თანდებულიანი ვარიანტიცაა მითითებული (მოსალოდნელი შეცდომის შემთხვევაში): **საპყრობილე** (საპყრობილის^ა, სა-

პერობილიდან); **ხე** (ხის^{რა}; **ხისგან გამოთალა**, მაგრამ: **ხიდან ჩამოვიდა**) და სხვ.

სახელს ბრუნვა შემოკლებით მიეწერება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ორი ბრუნვის ფორმა ემთხვევა ერთმანეთს: **ცუნამი** (ცუნამიმ, მიც. ცუნამის); **კივი** (კივიმ, მიც. კივის). რაც შეეხება ნათესაობითი ბრუნვის შემოკლებით მითითებას (ნათ.), ეს საჭიროდ აღარ ჩაითვალა: **ა-სა** და **ე-ზე** ფუძეგათავებული უკვეცელი სახელები წარმოდგენილია სავრცობი **ი** ხმოვნით, რაც მიანიშნებს შესაძლო პარალელურ ვარიანტებზე (გოგონას^{რა}, ჟელეს^{რა}).

სახელის ბოლოკიდური **ი**, რომელსაც ხაზი აქვს გასმული (მაგ., ტაქსი), ფუძისეულია, ხოლო სხვა შემთხვევაში – სახ. ბრუნვის ნიშანი (მაგ., ქველმოქმედი).

ზმნები, ტრადიციისამებრ, მოცემულია საკვანძო ფორმებით: მე-3 პირის მხოლოდობითი რიცხვი, აწმყო ან მყოფადი; ნამყო სრული და პირველი თურმეობითი. საჭიროების შემთხვევაში მრგვალ ფრჩხილებში მითითებულია პირველი და მეორე პირის ფორმებიც: **მორწყავს; მორწყო (მორწყე, მორწყე)** [და არა მორწყა, მორწყი, მორწყი] და მისთ.

ერთი და იმავე ფუძის შემცველი ფორმები, რომლებსაც განსხვავებული რაოდენობის პირები შეეწყობა, გამიჯნულია სათანადო (ჩვეულებრივ, III ობიექტური) პირის ნიშნებით, ნაცვალსა-

ხელებითა და კონტექსტში შეწყობილი სახელებით. მაგ., **სწერია** (მას ჯვარი), მაგრამ: **წერია** (წიგნში); **სწირავს** (ის სამშობლოს სიცოცხლეს), მაგრამ: **წირავს** (მღვდელი)...

ლექსიკონში შეტანილია აგრეთვე რიცხვისა თუ დროის მიხედვით ფუძემონაცვლე ზმნები, მაგ.: **ვარდება** (ერთი), მაგრამ: **ცვივა** (ბევრი); **ამბობს; იტყვის; თქვა; უთქვამს** და სხვ.

„ჟურნალისტიკის ორთოგრაფიულ-სტილისტიკური ლექსიკონი“ ერთგვარ სიახლეს შეიცავს იმ თვალსაზრისით, რომ საჭიროების შემთხვევაში მეთაურ სიტყვასთან მოცემულია მოკლე კომენტარი რეკომენდაციითურთ. სხვაგან კი ანალოგიურ ფორმებთან მითითებულია (იხ.) **იხილე**.

კომენტარი ახლავს კალკირებულ გამოთქმებსაც: მაგ., **ადგილი აქვს**: რუსულის გზით შემოსული კალკია (ადგილი აქვს შეხვედრებს...). ქართულისთვის ბუნებრივია: **ეწყობა / იმართება შეხვედრები...**, მაგრამ: ყველაფერს თავისი **ადგილი აქვს**.

სტილისტიკური შეცდომები ასეა ჩასწორებული: **ახმოვანებს**: ხმოვანს ხდის (კინოფილმში პერსონაჟს). უმართებულოა ამ ზმნის გამოყენება „აზრის გამოთქმის“ ან „გამოცხადების“ მნიშვნელობით: პრეზიდენტი თავის გადაწყვეტილებას დღეს **გაახმოვანებს**, უნდა იყოს: პრეზიდენტი თავის გადაწყვეტილებას დღეს **გამოა-**

ცხადებს, მაგრამ: მსახიობი **ფილმს ახმოვანებს**.

სიტყვათშეხამების ერთგვარი კომპონენტები გამიჯნულია წილადის ხაზით (/): **კინოფილმი** „მამლუქი“, **კინოფილმმა** „მამლუქმა“, **კინოფილმ** „მამლუქს“ / „მამლუქის“ / „მამლუქით“ / „მამლუქად“; „მამლუქში“, მაგრამ: **კინოფილმი** / **კინოფილმმა** / **კინოფილმს** / **კინოფილმის** / **კინოფილმით** / **კინოფილმად**; **კინოფილმში** „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“.

ლექსიკონში დიდი ადგილი ეთმობა პარონიმებს, რომელთაც, ცხადია, განმარტებები ახლავს (განმარტებითვეა წარმოდგენილი ზოგი ლექსიკური ერთეული, რომელთა მნიშვნელობაც მომხმარებლისთვის შესაძლოა ბუნდოვანი იყოს...):

აპარატი – **აპარატურა**; **აპარატი**: 1. ხელსაწყო; 2. მმართველობითი დაწესებულებების ერთობლიობა; 3. გარკვეული ფიზიოლოგიური ფუნქციის მქონე ორგანოთა ერთობლიობა; 4. მეცნიერულ გამოცემაში ტექსტის განსამარტავი შენიშვნები, საძიებლები, ცხრილები და მისთ. **აპარატურას** კი მხოლოდ ერთი მნიშვნელობა აქვს – ის ხელსაწყოთა ერთობლიობას აღნიშნავს. ეს ორი სიტყვა ზეპირი მეტყველების დროს ზოგჯერ ერთმანეთში ირევა და უფრო ხშირად **აპარატურას** ხმარობენ **აპარატის** ნაცვლად, მაგ., სახელმწიფო **აპარატურა**; გამოკვლევას თან ერთვის ვრცელი სამეცნიერო **აპარატურა** (რაც უმართებულოა). უნდა

იყოს: სახელმწიფო **აპარატი**; გამოკვლევას თან ერთვის ვრცელი სამეცნიერო **აპარატი**..., ან კიდევ: **ნაობრაციები** (ვისაც ოპერაცია გაუკეთეს) – **ნაობრაციები** (ადგილი, რომელზედაც გაკეთდა ოპერაცია).

ლექსიკონის შეზღუდული მოცულობის გამო ამა თუ იმ ორთოგრამის ბუდეში წარმოდგენილი ყველა სიტყვის ცალკე სალექსიკონო ერთეულად გატანა არ მოხერხდა.

იმედია, შემოთავაზებული მცირე ლექსიკონი ქმედით დახმარებას გაუწევს ჩვენს რადიო- და ტელეჟურნალისტებს საინფორმაციო, შემეცნებითი თუ გასართობი გადაცემების დახვეწილი ენით მომზადებაში.

ლექსიკონზე მომუშავე ჯგუფი დიდ მადლობას უცხადებს არნ. ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორს, ქ-ნ **ლალი ეზუგბაიას**, „ჟურნალისტის ორთოგრაფიულ – სტილისტიკური ლექსიკონის“ გამოცემაში თანადგომისათვის.

განსაკუთრებული მადლობა ეკუთვნის ოპერატორს, ქ-ნ **რუსუდან რატიანს**, დაუღალავი, თავდადებული მუშაობისა და მაღალი პროფესიონალიზმისათვის.

ყველა საქმიან შენიშვნასა თუ სურვილს ლექსიკონის შემდგენლები მადლიერებით მიიღებენ.

პირობითი ნიშნები

- [და არა...]: სწორი ფორმის მომდევნო უმართებულო ვარიანტი: **რამდენიმე** [და არა რამოდენიმე]
- [...კი არა]: სალექსიკონო ერთეულად გატანილი უმართებულო ფორმა: [მარადიორი, მოროდიორი კი არა] **მაროდიორი**
- ...//...: სალიტერატურო ენაში თანაბარი მნიშვნელობის (თუ ფუნქციის) მქონე ფორმები: **კვარცხლბეკი // პიედესტალი**
- (...//) ან (//...): დასაშვები ფორმები: (**კარალიოკი // კოროლიოკი; არქიტექტორი // ხუროთმოძღვარი**)
- [...//] ან [//...]: გაქრობის გზაზე მდგომი ფორმები: [**ციგანი // ბოშა; კოლოსეუმი // კოლიზეი**]
- / : წილადის ხაზით გამიჯნულია სიტყვათშეხამებათა ცვალებადი წევრები: **ლექსი** „განთიადი“, **ლექსმა** „განთიადმა“, **ლექს** „განთიადს“ / „განთიადის“ / „განთიადით“ / „განთიადად“; „განთიადში“... მაგრამ: **ლექსი / ლექსმა / ლექსს / ლექსის / ლექსით / ლექსად; ლექსში** „წამყე ბეთანიისაკენ“...
- : ტირეთი გამიჯნულია პარონიმები: **ნაოპერაციები** (ვისაც ოპერაცია გაუკეთეს) – **ნაოპერაციევი** (ადგილი, რომელზეც ოპერაცია გაკეთდა)

შემოკლებანი

- არქიტ. – არქიტექტურა, არქიტექტურული ბიოლ. – ბიოლოგია, ბიოლოგიური გადატ. – გადატანითად (ხატოვნად) გეომეტ. – გეომეტრია, გეომეტრიული გრამატ. – გრამატიკა, გრამატიკული დიპლ. – დიპლომატია, დიპლომატიური ეკონ. – ეკონომიკა, ეკონომიკური ვით. – ვითარებითი ბრუნვა თავაზ. – თავაზიანი თეატრ. – თეატრალური ისტ. – ისტორია, ისტორიული იურ. – იურიდიული იხ. – იხილე კულინ. – კულინარია, კულინარიული ლინგვ. – ლინგვისტიკა, ლინგვისტიკური ლიტ. – ლიტერატურა, ლიტერატურული მაგ. – მაგალითად მათემ. – მათემატიკა, მათემატიკური მედ. – მედიცინა, სამედიცინო მთ.-მად. – სამთამადნო მინერ. – მინერალი, მინერალოგია მისთ. – მისთანანი მიც. – მიცემითი ბრუნვა მნიშვნ. – მნიშვნელობა მოთხრ. – მოთხრობითი ბრუნვა მოქმ. – მოქმედებითი ბრუნვა მრ. – მრავლობითი რიცხვი

მუს. – მუსიკა, მუსიკალური
 ნათ. – ნათესაობითი ბრუნვა
 პოლიტ. – პოლიტიკა, პოლიტიკური
 სამართ. – სამართალი
 სამხ. – სამხედრო
 საპირისპ. – საპირისპირო
 საუბ. – საუბრული, სასაუბრო
 სახ. – სახელობითი ბრუნვა
 სპეც. – სპეციალური
 სპორტ. – სპორტი, სპორტული
 ფიზიოლ. – ფიზიოლოგია, ფიზიოლოგიური
 ფილოს. – ფილოსოფია, ფილოსოფიური
 ფსიქ. – ფსიქოლოგია, ფსიქოლოგიური
 ქიმ. – ქიმია, ქიმიური
 შდრ. – შეადარე
 ძვ. – ძველი

ქართული ანბანი

ა	ან	ს	სან
ბ	ბან	ტ	ტარ
გ	გან	უ	უნ
დ	დონ	ფ	ფარ
ე	ენ	ქ	ქან
ვ	ვინ	ღ	ღან
ზ	ზენ	ყ	ყარ
თ	თან	შ	შინ
ი	ინ	ჩ	ჩინ
კ	კან	ც	ცან
ლ	ლას	ძ	ძილ
მ	მან	წ	წილ
ნ	ნარ	ჭ	ჭარ
ო	ონ	ხ	ხან
პ	პარ	ჯ	ჯან
ჟ	ჟან	ჰ	ჰაე
რ	რაე		

ს

აალებინებს; აალებინა; აულებინებია [და არა აალებიებს, აალებია, აულებიებია]: დახმარება-იძულების გამომხატველი ზმნების საწარმოებლად ქართულში ხშირად **-ინ** დაბოლოება გამოიყენება: **აალებინებს, აკეთებინებს...** ზეპირ მეტყველებაში ზოგჯერ იკარგება **ნ** თანხმოვანი, რითაც ირღვევა სალიტერატურო ენის ნორმა

ააშენებინებს; ააშენებინა; აუშენებინებია [და არა ააშენებიებს, ააშენებია, აუშენებიებია]

აახლებს; განაახლებს (ძველმანს) [და არა ანახლებს]; იხ. **ავითარებს**

აბაზანა (აბაზანის¹)

აბალანსებს; დააბალანსებს; დააბალანსა; დაუბალანსებია

აბამს [და არა აბავს]: **-ამ** თემისნიშნისანი ზმნები (**სვამს, არტყამს, ასხამს, იზამს...**) ზეპირ მეტყველებაში ზოგჯერ წარმოითქმის **-ავ** ვარიანტით (**აბავს, სვავს, არტყავს, ასხავს, იზავს...**), თუმცა მათ სახელზმნურ ფორმებში **მ** თანხმოვანი დაცულია: **დაბმა, დაბმული; დასმა, დასმული; დარტყმა, დარტყმული; დასხმა, დასხმული...** -ავ და -ამ თემის ნიშნები პირიან

ზმნებშიც თავ-თავის ადგილას უნდა იქნეს შენარჩუნებული

აბარვინებს [და არა აბარინებს]: არ უნდა დაიკარგოს არც **-ავ** სუფიქსის **-ვ-** და არც **-ინ** მარმობლის **-ნ-** თანხმოვანი

აბეჭდვინებს [და არა აბეჭდინებს]; იხ. **აბარვინებს**

აბია (ერთი), მაგრამ: **ასხია** (ბევრი): სუბიექტის რიცხვის მიხედვით ფუძემონაცვლე ზმნებია

აბიტურიენტი [და არა აბითურიენტი]

აბმევიებს; აბმევინა; უბმევიებია [და არა აბმევიებს, აბმევია, უბმევიებია]: დახმარება-იძულების გამომხატველ ზმნათა საწარმოებლად ქართულში ზოგჯერ **-ევი** დაბოლოება გამოიყენება. ზეპირ მეტყველებაში არცთუ იშვიათად იკარგება ამ დაბოლოების **ნ**, ზოგჯერ კი **-ვ** თანხმოვანიც, რაც უმართებულოა

აბოლოებს [და არა აბოლოვებს], მაგრამ: **დააბოლოვა, დავაბოლოვე...**

აბონემენტი [და არა აბონიმენტი]: საბუთი, რომელიც რამით (მაგ., წიგნით – ბიბლიოთეკაში, ადგილით – თეატრში და ა. შ.) სარგებლობის უფლებას იძლევა (თეატრის **აბონემენტი**); შდრ.: **აბონენტი**: აბონემენტის მქონე პირი, აბონემენტის პატრონი (ტელეფონის **აბონენტი**)

აბრა (აბრის^ა)

[აბრთხილებს კი არა] **აფრთხილებს**

აბსოლუტური; აბსოლუტურად [და არა აბსოლიტური, აბსოლიტურად]

აბსტრაქცირება (აბსტრაქცირების^ა) [და არა აბსტრაგირება]

აბსურდი; აბსურდული [და არა აფსურდი, აფსურდული]

აბჯარი (აბჯრის^ა)

აგებინებს; აგებინა; უგებინებია [და არა აგებებს, აგებია, უგებებია]; იხ. **აალებინებს**

აგრარული [და არა აგრაალური]

აგრე; აგრერიგად

აგრესია (აგრესიის^ა): **აგრესიული**

აგრესორი; აგრესორული

ადაპტაცია (შეგუება გარემოსთან) – **ადაპტაცია** (შვილად აყვანა)

ადაპტირება; ადაპტირებული

ადგილი აქვს: რუსულის გზით შემოსული კალკია (**ადგილი აქვს** ბოროტმოქმედებას, **ადგილი აქვს** შეხვედრებს და სხვ.). უნდა იყოს: **ხდება** ბოროტმოქმედება, **ეწიება** შეხვედრები, მაგრამ: ყველაფერს თავისი **ადგილი აქვს**

ადეკვატი; ადეკვატური [და არა ადექვატი, ადექვატური]

ადმინისტრაციულ-ტერიტორიული

ადოპტაცია – ადაპტაცია; იხ. **ადაპტაცია** –
ადოპტაცია

ადრესანტი (წერილის გამგზავნი) – **ადრესატი**
(წერილის მიმღები)

აეკლო [და არა აეარა]

აეშენებინებინა; აეშენებინებინოს [და არა
აეშენებინებია, აეშენებინებინოს]

[ავადგმყოფობ კი არა] **ვაკადმყოფობ**

ავანტიურა; ავანტიურული [და არა ავანტურა,
ავანტურული]

ავანტიურისტი; ავანტიურისტული [და
არა ავანტურისტი, ავანტურისტული]

ავითარებს [და არა ანვითარებს]: ამ ტიპის
ზმნებში სირთულეს ქმნის ძველი ქართუ-
ლიდან მომდინარე თანხმოვანზე გათავებუ-
ლი ზმნისწინი **გან-** (**განავითარებს**). ზეპირ მე-
ტყველებაში აწმყოს წრის ფორმათა უღლე-
ბისას მათ ზოგჯერ გადაჰყვებათ ხოლმე
ზმნისწინის ბოლოკიდური თანხმოვანი, რო-
მელსაც წინა ნაწილის გარეშე არავითარი
ფუნქცია არა აქვს

ავიწროებს [და არა ავიწროვებს], მაგრამ:
დაავიწროვა, დაავიწროვე...

ავტობიოგრაფია (ავტობიოგრაფიის^ა): **ავტო-
ბიოგრაფიული**

ავტოკრატია (ავტოკრატიის^ა): **ავტოკრა-
ტიული**

ავტომანქანა (ავტომანქანის^ა)

ავტორი: ზეპირ მეტყველებაში ხშირად ისმის:
პასის / დარტყმის / გოლის / გატანილი ბურ-
თის **ავტორია...** სიტყვა **ავტორი** აღნიშნავს რა-
იმე ნაწარმოების (ლიტერატურულის, მუსი-
კალურის...) შემქმნელს, გამომგონებელს. ბუ-
ნებრივი შესიტყვეებია: ლექსის / ოპერის /
სიმღერის / სტატიის... **ავტორი**. უმართე-
ბულოა: პასის / დარტყმის / გოლის / გატა-
ნილი ბურთის **ავტორი**. უნდა იყოს: პასი /
დარტყმა / გოლი / გატანილი ბურთი **ეკუთ-
ვნის...**, ანდა: **ფეხბურთელის (კალამის)** პასი,
დარტყმა და ა. შ.

ავტორიტარული [და არა ავტორიტალური]

ავტორიტეტული (// **ავტორიტეტიანი**) (პირი),
მაგრამ: **ავტორიტეტული** (კომპეტენტუ-
რი, სანდო) დასკვნა

ავტოქთონური [და არა ავტოხთონური, ავ-
ტოხტონური]

[ავღზრდი, ავღნიშნავ, ავღნუსხავ, ავღრიცხავ,
ავღწერ კი არა] **ავღზრდი, ავღნიშნავ,**

ავღნუსხავ, ავღრიცხავ, ავღწერ, ავწერ

ავეპირებინებს; ავეპირებინა; უვეპირები-

ნებია [და არა ავეპირებიებს, ავეპირებია,
უვეპირებიებია]; იხ. **აალებინებს**

აზოგადებს [და არა აზოგადებს]; იხ. **ავითა-
რებს**

ათავისუფლებს [და არა ანთავისუფლებს];
იხ. **ავითარებს**

ათლევინებს; ათლევინა; უთლევინებია [და არა ათლევიებს, ათლევია, უთლევიებია];
იხ. **აბმევინებს**

ათლეტი; ათლეტური [და არა ატლეტი, ატლეტური]

ათლეტიზმი (ათლეტიზმმა)

ათლეტიკა; ათლეტიკური

აიაზმა (აიაზმის^{რა}): ნაკურთხი წყალი

აივანი (აივნის^{რა})

აკეთებინებს; აკეთებინა; უკეთებინებია [და არა აკეთებებებს, აკეთებია, უკეთებებია];
იხ. **აალებინებს**

აკეთებს: რაიმეს ქმნის შრომით; საქმიანობს. მაგ., დურგალი მაგიდას **აკეთებს**; მუშა სასოფლო-სამეურნეო იარაღს **აკეთებს**. უმართებულთა: კარგი ფილმი **გააკეთა**; კარგი სიმღერა, პიესა... **გაუკეთებია**... უნდა იყოს: კარგი ფილმი **გადაიღო** (**შექმნა**); კარგი სიმღერა, პიესა... **დაუწერია** (**შეუქმნია**)

აკვანი (აკვნის^{რა})

აკვლევინებს; აკვლევინა; უკვლევინებია [და არა აკვლევიებს, აკვლევია, უკვლევიებია];
იხ. **აბმევინებს**

აკვრევინებს; აკვრევინა; უკვრევინებია [და არა აკვრევიებს, აკვრევიებს; აკვრევია, აკვრევიანა; უკვრევიებია, უკვრევიანებია];
იხ. **აბმევინებს**

აკომპანემენტი [და არა აკომპანიმენტი],
მაგრამ: **აკომპანიატორი**

აკურატული; აკურატულობა

აკუსტიკა (აკუსტიკის^{რა}): **აკუსტიკური** [და არა აკუსტიური]

ალბათ [და არა ალბად]

[ალევინებს კი არა] **ასმევს**, მაგრამ: **დაალევინებს; დაალევიანა**

ალერგია: ზეპირ მეტყველებაში ხშირად ისმის: **ალერგია მისცა** (ამ საკვებმა **ალერგია მისცა**...).
უნდა იყოს: **ალერგია გამოიწვია** (ამ საკვებმა **ალერგია გამოიწვია**...)

ალექსანდრეს ბაღი [და არა ალექსანდროვის ბაღი]

ალიანსი (ალიანსს)

ალიბი (ალიბიმ, მიც. ალიბის)

ალკოპოლიზმი [და არა ალკოგოლიზმი]

ალტერნატივა; ალტერნატიული

ალყა (ალყის^{რა}); **ალყა-ალყა** (დაჭრა ხახვისა)

ამათ თქვეს [და არა ამათმა თქვეს]; იხ. **მათ თქვეს**

ამაყი ზეპირ მეტყველებაში ხშირად ისმის: **მე ამაყი ვარ**, რომ საქართველო ნატოში შედის; **მე ამაყი ვარ**, რომ საქართველოს ასეთი ბიზნესმენები ჰყავს. ამ ტიპის სიტყვათმეხამებები მართებულია მაშინ, როდესაც აღნიშნავს ადამიანისათვის დამახასიათებელ ამა თუ იმ თვისებას, მაგ., **მე ამაყი** (**ჯიუტი, ქედმაღალი**,

მორიდებული...) ვარ... ზემოთ აღნიშნულ და მსგავს შემთხვევებში კი უნდა იყოს: **ვაპა-ყობ**, რომ...

ამბავი (ამბის^ა, ამბით, მ რ. ამბები): ამ სიტყვის ძირითადი მნიშვნელობაა **თავგადასავალი, ვინმეს ცხოვრების აღწერა**. მყარი შესიტყვებები: ახალი **ამბავი**, დიდი **ამბავი** (დიდ **ამბავ-შია**), რა **ამბავია?** (დიდი) **ამბავი** დააწია, **ამბავი** დაატრიალა, ცხელ-ცხელი **ამბები** და სხვ. ეს სიტყვა ხშირად უმართებულოდ გამოიყენება ზეპირ მეტყველებაში: მიხარია / მაფიქრებს **ის ამბავი**, რომ... (უნდა იყოს: **ის მიხარია / მაფიქრებს**, რომ...); ან კიდევ: ხაზს ვუსვამ **იმ ამბავს**, რომ... (უნდა იყოს: ხაზს ვუსვამ **იმას** ან **იმ ფაქტს / გარემოებას**, რომ...) და სხვ.

ამბიცია (ამბიციის^ა): **ამბიციური**

ამბობს; იტყვის; თქვა; უთქვამს: დროის მიხედვით ფუძემონაცვლე ზმნებია

ამდენი ბავშვი, ყვავილი, წიგნი... [და არა ამდენი ბავშვები, ყვავილები წიგნები...]: განუსაზღვრელი რიცხვის აღმნიშვნელ სიტყვებთან, როგორებიცაა: **ბევრი, მრავალი, უამრავი, ცოტა** და მისთ., აგრეთვე მსგავსი მნიშვნელობის მქონე ნაცვალსახელებთან — **რამდენი, ამდენი, იმდენი, რამდენიმე, ზოგი (ერთი), ყველა, სხვადასხვა...** — საზღვრული სახელი (ქართული სალიტერატურო ენის ტრადიციის მიხედვით) მხოლოდობით რიცხვში დგას ისევე, როგორც კონკრეტული რიცხვის

აღმნიშვნელ სახელებთან (**ორი წიგნი, ათი მცნება** და ა. შ.). ჩამოთვლილ მსაზღვრელებთან საზღვრულის ხმარება მრავლობითში უმართებულოა

ამთხვევინებს; ამთხვევინა; უმთხვევინებია [და არა ამთხვევებს, ამთხვევია, უმთხვევებია]; ი ხ. **აბმევინებს**

ამნისტია (ამნისტის^ა) [და არა ამინისტია]

ამოსავალი (ამოსავლის^ა)

ამოჰქონდა; ამოჰქონდეს

ამოჰყავს; ამოჰყავდა; ამოჰყავდეს

ამპლუა (ამპლუის^ა)

ამშენებელი (ამშენებლის^ა) // **აღმ(ა)შენებელი** (აღმ(ა)შენებლის^ა)

ამჩნევს – აჩნევს; ამჩნევს: ხედავს, შენიშნავს, მაგ., კვალს **ამჩნევს** (კვალს ხედავს); კვალი **შეამჩნია** (კვალი დაინახა, შენიშნა); **აჩნევს, დააჩნევს**: დაატყობს კვალს, დაღს, ნაფეხურებს, მაგ., **დააჩნია** კვალი (დაატყო კვალი)

ანალიზი: ანალიზური

ანალიტიკა: ანალიტიკური; ანალიტიკოსი

ანალოგი (ანალოგის^ა) — **ანალოგია** (ანალოგის^ა); **ანალოგი**: ის, რაც იძლევა ანალოგის, მსგავსების საფუძველს; **ანალოგია**: მსგავსება საგნებს, მოვლენებსა და ცნებებს შორის

ანალოგიური; ანალოგიურობა

ანახვებს; ანახვა; უნახვებია [და არა ანახებს, ანახა, უნახებია]

[ანახლებს კი არა] **აახლებს; განაახლებს;** იხ. **ავითარებს**

[ანბავი კი არა] **ამბავი**

ანგარიშმიუცემლად: ზეპირ მეტყველებაში ხშირად ისმის: მან **ავტომატურად** (// **მაშინალურად**) უპასუხა... უმჯობესია: მან **ანგარიშმიუცემლად** უპასუხა

ანეკდოტი [და არა ანეგდოტი]

ანესტეზია; ანესტეზიოლოგი [და არა ანესტეზია, ანესტეზიოლოგი]

ანექსია (ანექსიის^ა)

ანექსირება (ანექსირების^ა): **ანექსირებული**

[ანვითარებს კი არა] **ავითარებს**

[ანზოგადებს, ანთავისუფლებს, ანრისხებს, ანსახიერებს, ანსხვავებს კი არა] **აზოგადებს, ათავისუფლებს, არისხებს, ასახიერებს, ასხვავებს;** იხ. **ავითარებს**

ანიმაცია: ანიმაციური (ფილმი)

ანტაგონიზმი (ანტაგონიზმმა)

ანტაგონისტი: ანტაგონისტური

ანტიპათია: ანტიპათიური [და არა ანტიპათია, ანტიპათიური]

ანტიპოდი: ანტიპოდური

ანშლაგი

[ანცალკევებს, ანცვიფრებს, ანხორციელებს კი არა] **აცალკევებს, აცვიფრებს, ახორციელებს;** იხ. **ავითარებს**

აპათია: აპათიური [და არა აპატია, აპატიური]

აპარატი – აპარატურა (აპარატურის^ა); **აპარატი:** 1. ხელსაწყო; 2. მმართველობითი დაწესებულებების ერთობლიობა; 3. გარკვეული ფიზიოლოგიური ფუნქციის მქონე ორგანოთა ერთობლიობა; 4. მეცნიერულ გამოცემაში ტექსტის განსამარტავი შენიშვნები, საძიებლები, ცხრილები და მისთ. **აპარატურას** კი მხოლოდ ერთი მნიშვნელობა აქვს – ის ხელსაწყოთა ერთობლიობას აღნიშნავს. ეს ორი სიტყვა ზეპირ მეტყველებაში ზოგჯერ ერთმანეთში ირევა და უფრო ხშირად **აპარატურას** ხმარობენ **აპარატის** ნაცვლად; მაგ., სახელმწიფო **აპარატურა**; გამოკვლევას თან ერთვის ვრცელი სამეცნიერო **აპარატურა**. უნდა იყოს: სახელმწიფო **აპარატი**; გამოკვლევას თან ერთვის ვრცელი სამეცნიერო **აპარატი** და ა. შ.

აპარტამენტი (მრ. აპარტამენტები)

აპატიებს [და არა პატიობს] (დანაშაულს), მაგრამ: **აპატივებს** (მიწას)

აპელაცია (აპელაციის^ა): პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრება უფრო მაღალ ინსტანციაში

აპელირება (აპელირების^ა)

აპლოდისმენტი [და არა აპლოდისმენტები]

აპოგეა (აპოგეის^ა): 1. მთვარის ორბიტის წერტილი, რომელიც ყველაზე მეტადაა დაშორებული დედამიწას; 2. რაიმე პროცესის უმაღლესი წერტილი (მწერლის შემოქმედებითი განვითარების **აპოგეა**)

აპოთეოზი: 1. უკანასკნელი, საზეიმო სურათი ზოგ წარმოდგენაში (სამმოქმედებიანი ოპერა **აპოთეოზით**); 2. ძველ საბერძნეთსა და რომში – გმირებისა და მეფეების ღმერთებად გამოცხადება; 3. ვინმეს (ან რამის) განდიდება

აპოკალიფსი (აპოკალიფსის): **აპოკალიფსური**

აპოკრიფი: **აპოკრიფული**

აპოლოგეტი [და არა აპოლოგი]: ვინმეს (ან რამის) დასაცავად, გამოსაქომაგებლად გამოსული; შდრ.: **აპოლოგია**: ვინმეს (ან რამის) დაცვა ზეპირი სიტყვით ან წერილობით; გამოსარჩლება, გამართლება

აჟღერებს: აჟღერის ხმას, სასიამოვნოდ მოსასმენ ბგერებს გამოსცემს (ძირითადად საკრავი). უმართებულოა **გააჟღერა** ზმნის გამოყენება **აღნიშნა**, **განაცხადა**, **თქვა** ფორმების მნიშვნელობით, მაგ., სხდომაზე საინტერესო მოსაზრება **გააჟღერა** (ან მოსაზრებამ **გააჟღერა**); შეხვედრაზე მინისტრმა **გააჟღერა**, რომ ამ საკითხს განიხილავდა... უნდა იყოს: სხდომაზე საინტერესო მოსაზრება **გამოითქვა**; შეხვედრაზე მინისტრმა **აღნიშნა** (**განაცხადა**, **თქვა**...), მაგრამ: სასიამოვნოდ **აჟღერებს** სიმებს...

[არ მისული უნივერსიტეტამდე, ცირკამდე... კი არა] **უნივერსიტეტამდე, ცირკამდე...**

არაადეკვატური [და არა არაადეკვატური]

არათუ

არამზადა (არამზადის^ა)

არამც და არამც

არამცთუ

არანჭირება: **არანჭირებული** (მუს.)

არაორდინარული [და არა არაორდინალური]: არაჩვეულებრივი

არაფერი (არაფრის^ა, არაფრით, არაფრად)

არაფერს, არაფრის: ორივე ფორმა მართებულია **მადლობის** საპასუხოდ; მაგ., გმადლობთ საჩუქრისათვის, – **არაფრის** // **არაფერს**

არბიტრაჟი: სამედიატორო სასამართლო

არბიტრი: 1. სპორტში; 2. სასამართლოში

არდადეგები (მრ.) [და არა არდადაგები]

ართრიტი; **ართროზი** [და არა არტრიტი, არტროზი]

არითმია: **არითმიული** [და არა არიტმია, არიტმიული]

არის, არიან: სულიერის აღმნიშვნელ სახელებთან მრავლობით რიცხვში **არიან** ფორმა გამოიყენება სრული სახით, შეუმოკლებლად: მეგობრები / ჭაბუკები / სპორტსმენები / მოსწავლეები / მთარგმნელები... **არიან** [და არა მეგობრებია, ჭაბუკებია, სპორტსმენებია, მოსწავლეებია, მთარგმნელებია...]

არტერია (არტერიის^{რა}): **არტერიული**
არტყამს [და არა არტყავს]; იხ. **აბამს**
არქიეპისკოპოსი [და არა არხიეპისკოპოსი]
არქიმანდრიტი [და არა არხიმანდრიტი]
არქიტექტონიკა (არქიტექტონიკის^{რა}): **არქი-
ტექტონიკური**
არქიტექტორი (// **ხუროთმოძღვარი**): **არქი-
ტექტორული** (ნიჭი, ხედვა)
არქიტექტურა (// **ხუროთმოძღვრება**): **არქი-
ტექტურული** (ანსამბლი)
არღანი (არღნის^{რა}): მექანიკური სამუსიკო სა-
კრავი. წარმოადგენს დიდ ყუთს, რომელსაც
მხარზე ღვედით იკიდებენ; უკრავენ ტარის
ტრიალით. შდრ.: **ორგანი** (მგ. **ორღანი**):
კლავიშებიანი სასულე მუსიკალური საკრავი
(ჩვეულებრივ, კათოლიკურ ეკლესიაში
გამოიყენება)
არჩევანი (არჩევანის^{რა}, მაგრამ: **არჩევნები**)
ასაზრდოებს [და არა ასაზრდოვებს], მაგრამ:
ასაზრდოვა, გასაზრდოვე...
ასამბლეა (ასამბლეის^{რა}) [და არა ანსამბლეა]
ასე; ასევე [და არა ესე, ესევე]
ასეთი; ასეთივე [და არა ესეთი, ესეთივე]
ასეთნაირი; ასეთნაირად [და არა ესეთნაირი,
ესეთნაირად]
ასე შემდეგ (ა. შ.) [და არა ესე შემდეგ]
ასვამს [და არა ასმევს] (დაღს)

ასლი // **პირი** [და არა კოპიო]
ასმევს [და არა ალევინებს], მაგრამ: **დაალე-
ვინებს** (წყალს)
ასოციირება; ასოციირებული [და არა ასო-
ცირება, ასოცირებული]
ასტროლოგია – ასტრონომია; ასტროლოგია:
ვარსკვლავთმისნობა; **ასტრონომია:** მეცნი-
ერება მნათობთა აგებულების, ფიზიკური
ბუნებისა და მოძრაობის კანონების შესახებ
ასცდება; ასცდა; ასცდენია
ასწევს; ასწია; აუწევია
ასხამს [და არა ასხავს]; იხ. **აბამს**
ასხვავეებს [და არა ანსხვავეებს]; იხ. **ავითა-
რებს**
ასხია (ბევრი), მაგრამ: **აბია** (ერთი)
ატაშე (ატაშეს^{რა})
ატლანტის [და არა ატლანტიკის] (ოკეანე)
ატონია; ატონიური [და არა ატონური]
ატყობინებს; შეატყობინებს; შეატყობინა;
შეუტყობინებია [და არა ატყობიებს,
შეატყობიებს, შეატყობია, შეუტყობიებია]
**ატყობს; შეატყო (შევატყვე, შეატყვე, შე-
ატყვეს); შეუტყვია**
აუბამს [და არა აუბავს, აუბია] (თურმე): სა-
ლიტერატურო ნორმების მიხედვით, **-ამ** თე-
მისნიშნის ზმნებში I თურმეობითის წარმო-
ებისას ეს სუფიქსი (**-ამ**) შენარჩუნდება, რაც

დოკუმენტურად დადასტურებულია ყველა დროის ქართული კლასიკური მწერლობისა და ხალხური შემოქმედების (ხალხური პოეზია, ანდაზები) მონაცემებით

აუდიენცია (აუდიენციის^ა) [და არა აუდენცია]

აუზი [და არა ბასეინი]

აუთოებს, მაგრამ: **გააუთოვა, გაავაუთოვე...**

აუწვავს [და არა აუწვამს, აუწვია] (თურმე);
იხ. **დაუნატავს**

აფარია (თავსაფარი, საბანი...), მაგრამ: **ანუ-რავს** (ქუდი, თავსახური, სარქველი...)

აფექტი: აფექტური [და არა აფექტიური]

აფთარი (აფთარის^ა); **გააფთრება: გააფთრებული** (გააფთრებულად)

აფიქსირებს: უმართებულოა ამ ზმნის გამოყენება **აღნიშნა, თქვა, განაცხადა** სიტყვების მნიშვნელობით, მაგ., თავმჯდომარემ **დააფიქსირა**, რომ სხდომა ხუთ საათზე გაგრძელდებოდა; მინისტრმა კვლავ **დააფიქსირა**, რომ შეისწავლიდა ამ საკითხს... უნდა იყოს: თავმჯდომარემ **განაცხადა**, რომ სხდომა ხუთ საათზე გაგრძელდებოდა; მინისტრმა **გაიმეორა** // კვლავ **აღნიშნა**, რომ შეისწავლიდა ამ საკითხს... **აფიქსირებს** ზმნა **აღწესების** მნიშვნელობით ბუნებრივია შემდეგი ტიპის კონტექსტში: მან (მეცნიერმა) არაერთი ანალოგიური / მრავალი / მსგავსი ფაქტი **დააფიქსირა**

აფიშა (აფიშის^ა); **აფიშირება** (აფიშირების^ა)

**აფრთხილებს; გააფრთხილებს; გააფრთხი-
ლა; გაუფრთხილებია** [და არა აფრთხი-
ლებს, გააფრთხილებს, გააფრთხილა, გაუფ-
რთხილებია]

[აფსურდი, აფსურდული კი არა] **აბსურდი;
აბსურდული**

აქედან გამომდინარე: ზეპირ მეტყველებაში ხშირად გამოთქმა **აქედან გამომდინარე** უმართებულოდ გამოიყენება **ამიტომ, ამის გამო** სიტყვების მნიშვნელობით: მას რომ ამის გაკეთება არ შეუძლია, **აქედან გამომდინარე**, ჩვენც უნდა გავჩერდეთ? უნდა იყოს: მას რომ ამის გაკეთება არ შეუძლია, **ამიტომ (ამის გამო)** ჩვენც უნდა გავჩერდეთ?

**აქეთ; აქეთკენ; აქედან (იქით; იქითკენ;
იქიდან)**: ამ სიტყვების გამოყენებისას ზეპირ მეტყველებაში სიჭრელე გვაქვს: **აქეთ // აქით, აქედან // აქიდან, აქეთკენ // აქითკენ; იქით // იქეთ, იქიდან // იქედან, იქითკენ // იქეთკენ**. ხმოვნების სწორად შერჩევა ხდება იმის მიხედვით, თუ რომელია პირველი მათგანი: საიქითო გეზის ჩვენებისას პირველი ხმოვანი არის **ი**; სწორედ ეს **ი** გამოიყენება მეორე ხმოვნადაც: **იქით, იქიდან, იქითკენ**, ხოლო სააქეთო გეზის ჩვენებისას პირველი ხმოვანია **ა** და შემდეგ მას **ე** ენაცვლება: **აქეთ, აქედან, აქეთკენ**

[აქვს მანქანა კი არა] **ჰყავს (დაჰყავს, მიჰყავს) მანქანა**

აქტუალურობა (// აქტუალობა)

აქცენტირება: აქცენტირებული

აქცია (აქციის^{რა}): **სააქციო**

ალაფრთოვანებს [და არა ალფრთოვანებს]

აღდგება; აღდგა [და არა აღსდგება, აღსდგა],
მაგრამ: **ქრისტე აღსდგა** (ტრადიც.)

აღდგომა (აღდგომის^{რა})

აღვზრდი [და არა ავღზრდი]: **ვ** თანხმოვანი ადვილად ჩნდება, იკარგება ან იცვლის ადგილს; ამიტომ ის (ამ შემთხვევაში I სუბიექტური პირის ნიშანი **ვ**) -**აღ** ზმნისწინს ხშირად შუაში ჩაერთვის ხოლმე: **ავღზრდი, ავღნიშნავ, ავღრიცხავ, ავღწერ...**, რაც უმართებულოა. უნდა იყოს: **აღვზრდი, აღვნიშნავ, ავღრიცხავ, ავღწერ...**

აღთქმა – აღქმა; აღთქმა: დაპირება, პირობის დადება; **აღქმა:** გაგების, გაცნობიერების უნარი. გარეგნულად მსგავსი ეს სიტყვები ზეპირ მეტყველებაში ხშირად ერთმანეთის ნაცვლად იხმარება. მაგ., ოპოზიციამ ეს საკითხი არასწორად **აღთქვა**; უნდა იყოს: **აღქვა**, მაგრამ: **აღთქმული** ქვეყანა

აღლუმი: ჯარის დარაზმულობის საზეიმო გასინჯვა, დათვალიერება, – პარადი; შდრ.:

ღემონსტრაცია: 1. მასობრივი მსვლელობა საზოგადოებრივი განწყობილების გამოსახა-

ტავად; 2. მცირე მასშტაბის სამხედრო ოპერაცია მეორეხარისხოვან უბანზე (იმისათვის, რომ მოწინააღმდეგის ყურადღება დარტყმის მთავარ მიმართულებას ააცდინოს); 3. ცდის ჩატარება რამის თვალსაჩინოდ ახსნის მიზნით (სანახავად გამოტანა, ჩვენება) // **ღემონსტრირება**

აღმოსავლეთი (აზია...)

აშლევინებს; აშლევინა; უშლევინებია [და არა აშლევინებს, აშლევინა, უშლევინებია]; იხ. **აბმევინებს**

აშფოთებს; აშფოთებდა; აშფოთებლეს (ააშფოთებს)

აჩნევს – ამჩნევს; იხ. **ამჩნევს – აჩნევს**

აჩუქებს [და არა ჩუქნის]

[აცდება, აცდა, აცდენია კი არა] **ასცდება; ასცდა; ასცდენია** (მას)

აცვამს [და არა აცმევს] (ჯვარს), მაგრამ: **აცმევს** (კაზას)

აცვიფრებს [და არა ანცვიფრებს]; იხ. **ავითარებს**

აციებს – აცივებს: ეს ფორმები ერთი და იმავე ციფ ძირისაგან ნაწარმოები სხვადასხვა შინაარსის ზმნებია: **აციებს** მას (**ციებ-ცხელება** სჭირს, **ციების** შეტევა აქვს). აქედან იწარმოება **გაციებული;** **აცივებს** ის მას (ღვინოს, წყალს), შდრ.: **გაცივებული.** უმართებულ-

ლოა: **გაციებული წყალი** / ღვინო. უნდა იყოს: **გაციებული წყალი** / ღვინო

აცმევს (ბავშვს), მაგრამ: **იცვამს** (თვითონ)

აძლებს (**ვაძლებ**, **აძლებ**) [და არა აძლობს, ვაძლობ, აძლობ]

აწებს (**ვაწებ**, **აწებ**) [და არა აწობს, ვაწობ, აწობ]

[აწევს, აწია კი არა] **ასწევს**; **ასწია** (ტვირთი), მაგრამ: **აწევს**; **აწვა**; **სწოლია** (გულზე დარდი)

აწერინებს; **აწერინა**; **უწერინებია** [და არა აწერიებს, აწერია, უწერიებია]

აწყვია (ბევრი), მაგრამ: **ღევს** (ერთი): სუბიექტის რიცხვის მიხედვით ფუძემონაცვლე ზმნებია

აწყობს: ერთმანეთზე ალაგებს, დებს ბევრ რამეს. ზოგჯერ რუსულის ანალოგიით ეს ფორმა იხმარება სხვა მნიშვნელობითაც (ხელს აძლევს). უმართებულოა: მოვლენების ასე განვითარება „სპარტაკს“ ძალიან **აწყობს**; არა მგონია, ბორჯომელებს ეს ანგარიში **აწყობდეთ**. უნდა იყოს: მოვლენების ასე განვითარება „სპარტაკს“ **ხელს აძლევს**; არა მგონია, ბორჯომელებისათვის ეს ანგარიში **ხელსაყრელი** იყოს

აჭრევენებს; **აჭრევენა**; **უჭრევენებია** [და არა აჭრევიებს, აჭრევია, უჭრევიებია]; იხ. **აბმევენებს**

ახალი წელი (ახალი წლის^[ა]): გილოცავთ **ახალ წელს!** გილოცავთ **შობასა და ახალ წელს!** გილოცავთ **შობა-ახალწელიწადს!**

ახვნევენებს; **ახვნევენა**; **უხვნევენებია** [და არა ახვნევიებს, ახვნევია, უხვნევიებია]

ახლა; **ახლავე** [და არა ეხლა, ეხლავე]

ახლანდელი [და არა ეხლანდელი]

ახლახან [და არა ახლახანს, ეხლახან(ს)]

ახმოვანებს: ხმოვანს ხდის (კინოფილმში პერსონაჟს). უმართებულოა **ახმოვანებს** ზმნის გამოყენება **აზრის გამოთქმის** ან **გამოცხადების** მნიშვნელობით, მაგ., პრეზიდენტი თავის გადაწყვეტილებას დღეს **გაახმოვანებს**; ოპოზიციამ ეს საკითხი გუშინ **გაახმოვანა**... უნდა იყოს: პრეზიდენტი თავის გადაწყვეტილებას დღეს (საჯაროდ) **გამოაცხადებს** (**განაცხადებს**); ოპოზიციამ ამ საკითხის შესახებ გუშინ **აღნიშნა** (**ილაპარაკა**, **განაცხადა**...)

ახორციელებს [და არა ანხორციელებს]; იხ. **ავითარებს**

ახურავს; **ახურავდა**; **ახურავდეს**; **დაახურავს** (ის მას ქუდს), მაგრამ: **ახურავს**; **ეხურა**; **ეხუროს** (მას ქუდი)

ახურებს; **ახურებდა**; **ახურებდეს**; **ახურა**; **ახუროს**; **უხურებია**; **ეხურებინა**; **ეხურებინოს** (ღუმელი); შდრ.: **გაახურებს**

ახურვებს; **ახურვებდა**; **ახურვებდეს** (**შეახურვებს**) (ციებ-ცხელებისაგან)

[ახურია კი არა] **ახურავს** (ქუდი)

აჯილდოებს [და არა აჯილდოვებს], მაგრამ: **დააჯილდოვა**, **დაეაჯილდოვე**...

ბ

ბაბუა (ბაბუის^ა, შინაურულად ბაბუას^ი) // **პა-**

პა (პაპის^ა, შინაურულად პაპას^ი)

ბაბუაჩემი, ბაბუაშენი, ბაბუამისი

ბაკალეა (ბაკალეის^ა) [და არა ბაკალეია]

ბალადა (ბალადის^ა)

ბალანსირება // დაბალანსება: გაწონასწორება;

შ დ რ.: **ბალანსირობა:** წონასწორობის დაცვა (ჯამბაზისა ცირკის არენის ბაგირზე)

ბალეტმაისტერი [და არა ბალეტმეისტერი]

ბალი (ბალის^ა): 1. მეჯლისი, საზეიმო წვეულება; 2. ქულა (შეფასება), ციფრობრივი ნიშანი; 3. საზომი ერთეული (მიწისძვრისა...),

მ ა გ რ ა მ: **ბალი** (ბლის^ა) (ხილი)

ბალისტიკა: ბალისტიკური (იარაღი)

ბანალური; ბანალურობა

ბანკნოტი: საბანკო ბილეთი, რომელიც ცენტრალური ბანკების მიერ არის მიმოქცევაში გამოშვებული; შ დ რ.: **ბანკროტი:** გაკოტრებული პირი

ბანს (ის ბავშვს), მ ა გ რ ა მ: **პბანს** (ის ბავშვს ხელბს)

[ბასეინი კ ი ა რ ა] **აუზი**

ბატარეა [და არა ბატარეია, ბატარია]

ბატონი, ქალბატონი: სიტყვები **ბატონი** და **ქალ-**

ბატონი, რომლებიც ქართულ ენაში თავაზიანი მიმართვისას წინ უძღვის პირის სახელს ან გვარს, განსხვავებით პროფესიისა და ხელობა-წოდების სახელთაგან (ექიმი, ინჟინერი, პროფესორი), საზღვრულ სახელებს შეეწყობა თანხმობაზე ფუძეგათავებულ მსაზღვრელთა დარად: მიცემითსა და ვითარებითში – ფუძის სახით, ნათესაობითსა და მოქმედებითში – ი ხმოვნის შენარჩუნებით: **ბატონ ზურაბს / ზურაბად, ბატონი ზურაბის / ზურაბით; ქალბატონ მარიამს / მარიამად, ქალბატონი მარიამის / მარიამით**. მიმართვისას საკუთარი სახელი ფუძის სახით იხმარება: **ბატონო ზურაბ! ქალბატონო მარიამ!**

ბეგრა (ბგერის^ა); **ბგერთი; ბგერობრივი**

ბებია (ბებიის^ა, შინაურულად ბებიას^ი) // **დიდედა** (დიდედის^ა, შინაურულად დიდედას^ი)

ბებიაჩემი, ბებიაშენი, ბებიამისი

[ბეგემოტი კ ი ა რ ა] ბეჰემოთი

ბევრი წერილი, წიგნი, ბავშვი... [და არა ბევრი წერილები, წიგნები, ბავშვები...]: განუსაზღვრელი რიცხვის აღმნიშვნელ სიტყვებთან, როგორებიცაა: **ბევრი, მრავალი, უამრავი, ცოტა** და მისთ., აგრეთვე მსგავსი მნიშვნელობის მქონე ნაცვალსახელებთან – **რამდენი, ამდენი, იმდენი, რამდენიმე, ზოგი (ერთი), ყველა, სხვადასხვა...** – საზღვრული სახელი (ქართული სალიტერატურო ენის ტრადიციის

მიხედვით) მხოლოდობით რიცხვში დგას ისევე, როგორც კონკრეტული რიცხვის აღმნიშვნელ სახელებთან (**ორი წიგნი, ათი მცნება** და ა. შ.). ჩამოთვლილ მსაზღვრელებთან საზღვრულის ხმარება მრავლობითში უმართებულოა

ბეზე (ბეზეს¹)

ბეთჰოვენი [და არა ბეთხოვენი]

ბელეტრისტი: **ბელეტრისტული**; **ბელეტრისტიკა**

ბერკეტი: **ბერკეტული**

ბერმონაზვნობა (ბერმონაზვნობის¹); **ბერმონაზვნური**

ბერმონაზონი (ბერმონაზვნის¹, მრ. **ბერმონაზვნები**)

ბერმუნა (ბერმუნის¹)

ბესტსელერი [და არა ბეტსელერი]

ბეფსტროგანოვი [და არა ბესტროგანოვი] (კულინ.)

ბელურა (ბედურის¹)

ბექდური; **ბექდურად**

ბექელი (ბექდის¹)

ბექემოთი [და არა ბეგემოტი] // **ჰიპოპოტამი**

ბიათლონი; **ბიათლონისტი** [და არა ბიატლონი, ბიატლონისტი] (სპორტ.)

ბიბლია (ბიბლიის¹): **ბიბლიური**

ბიბლიოგრაფია: **ბიბლიოგრაფიული**

ბიბლიოთეკა: **საბიბლიოთეკო** (საქმე)

ბიომეტრია: **ბიომეტრიული** (სურათი)

ბიჟუტერია (ბიჟუტერიის¹): **ბიჟუტერიული**

ბირჟა (ბირჟის¹): **საბირჟო**

ბიულეტენი [და არა ბიულეტინი]

ბიცოლა (ბიცოლას¹, მრ. ბიცოლები)

ბიძა (ბიძის¹, **შინაურულად** ბიძას¹)

ბიძაშვილი; **ბიძაშვილობა**

ბიძაჩემი; **ბიძაშენი**; **ბიძამისი**

ბიძია (ბიძიას¹, მრ. ბიძიები)

ბიჭუნა (ბიჭუნას¹, მრ. ბიჭუნები)

ბლეფი

ბოდიში [და არა ბოდიშით]: ზეპირ მეტყველებაში თავაზიანობის ელფერის გასაძლიერებლად ამბობენ ხოლმე: **ბოდიშით** (რაც უმართებულოა). -თ დაბოლოება ზმნის მრავლობითობას აღნიშნავს და სახელთან ის ზედმეტია

ბოიკოტი; **ბოიკოტირება**: **ბოიკოტირებული**

ბოლოს და ბოლოს [და არა ბოლო-ბოლო]

ბოქსი: 1. ქრომით გამოყვანილი ერთგვარი ტყავი; 2. იგივეა, რაც კრივი; 3. ცალკე სადგომი ერთი ავტომანქანისათვის მრავალადგილიან გარაჟში; 4. საავადმყოფოში – ცალკე გამოყოფილი ადგილი ზოგი ავადმყოფისათვის, – იზოლატორი; 5. მამაკაცის თმის გაკრეჭის მოდელი

ბოშა (ბოშის¹): **ბოშა ქალი** [// **ციგანი**]

ბრალდება: **ბრალდებული**

ბრალეული

ბრალმდებელი (ბრალმდებლის^ა)

ბრენდი (ბრენდიმ, მიც. ბრენდის)

ბრწყინვალე (ბრწყინვალის^ა); **ბრწყინვალე-ბა**

ბუნებრივი, მაგრამ: **ბუნებრიობა** [და არა ბუნებრივობა]

ბურახი [და არა კვასი]

ბულალტერი (ბულალტრის^ა) (// **ბუნჭალტერი**); **საბულალტრო**

ბ

გაამწვავებს; გაამწვავა; გაამწვავოს; გაუმწვავებია

გაასწრებს; გაასწრო (გავასწარი, გაასწარი); **გაუსწრია**

გააუთოებს; გააუთოვა (გავაუთოვე...); **გააუთოოს; გაუუთოებია**

გააფართოებს; გააფართოვა (გავაფართოვე...); **გააფართოოს; გაუფართოებია**

[გააჩნია კი არა] **აქვს**, მაგრამ: **არ გააჩნია; არაფერი გააჩნია**

გაბრწყინება; გაბრწყინებული [და არა გაბრწყინვება, გაბრწყინვებული]

გადაღებს (საქმეს), მაგრამ: **გადასღებს** (მას გრიპს)

გადასცემს; გადასცა [და არა გადაცემს, გადაცა]

გადასწევს; გადასწია; გადასწიოს [და არა გადაწევს, გადაწია, გადაწიოს]

გადაუსხამს [და არა გადაუსხავს, გადაუსხია] (თურმე); იხ. **აუბამს**

გადაწერს (წერილს), მაგრამ: **გადასწერს** (მას ჯვარს)

გადაწყვეტს [და არა გადაწყვიტავს]

გადახურვა (მრ. არა აქვს); უმართებულოა: დაიწყეს შენობების **გადახურვა**. უნდა იყოს: დაიწყეს შენობების **გადახურვა**

გადაჰქონდა; გადაჰქონდეს [და არა გადაჰქონდა, გადაჰქონდეს]

გადაჰყავს; გადაჰყავდა; გადაჰყავდეს [და არა გადაყავს, გადაყავდა, გადაყავდეს]

გადის: ზეპირ მეტყველებაში ხშირად ისმის: რეკლამაზე **გავდივართ; გავდივართ** ანიმაციურ ფილმზე და სხვ. უნდა იყოს: ახლა (ეთერში) **რეკლამის დროა**; ახლა **წარმოგიდგენთ (გიჩვენებთ)** ანიმაციურ ფილმს

[გადმომირეკე, გადმორეკე კი არა] **დამირეკე, დარეკე**: სატელეფონო რეკვასთან დაკავშირებით ზეპირ მეტყველებაში ხშირად ისმის:

ხვალ **გადმოძირეკე**; სალამოს **გადმორეკე**...
გადმოძირეკე, **გადმორეკე** ფორმები რუსულის
კალკია. უნდა იყოს: სალამოს **ღაძირეკე**,
ღარეკე

გადმოსწევს; **გადმოსწია**; **გადმოსწიოს** [და
არა გადმოწევს, გადმოწია, გადმოწიოს]

გადმოუსხამს [და არა გადმოუსხავს, გადმო-
უსხია] (თურმე); იხ. **აუბამს**

გაეკეთებინა; **გაეკეთებინოს** [და არა გაეკე-
თებია, გაეკეთებინოს]

გაეკეთებინებინა; **გაეკეთებინებინოს** [და
არა გაეკეთებინებია, გაეკეთებინებინოს]

გაემგზავრება: ზეპირ მეტყველებაში ზოგჯერ
ისმის: სასიამოვნოა, რომ მათი **ნამუშევრები**
საზღვარგარეთ **გაემგზავრება**; მისი **ნახატები**
ლონდონის გამოფენაზე **გაემგზავრება**... ამ
კონტექსტებში, და საერთოდ, **რა** ჯგუფის სა-
ხელებთან, **გაემგზავრება** ზმნის გამოყენება
უმართებულოა. უნდა იყოს: **ნამუშევრები**
გაიგზავნება

გაერო (გაეროს¹): გაერთიანებული ერების
ორგანიზაცია

[გავს, გავდა, გავდეს კი არა] **ჰგავს**; **ჰგავდა**;
ჰგავდეს

გაიგებს (გაიგო; გაუგია) – **გაიგონებს** (გაი-
გონა; გაუგონია): **გაიგებს**: 1. გონებით ჩა-
სწვდება რამეს, – გაიაზრებს, შეიცნობს, შე-
იგნებს, მიხვდება; ნათქვამის აზრს გაიგებს
(ვერ **გაიგო** ამხანაგის ნათქვამი) // იგრძნობს;

2. შეიტყობს: ჩემს საქციელს, სამარცხვინოს,
ვინ **გაიგებს**, ვინ დამძრახავს (აკაკი); **გაიგო-**
ნებს: 1. სმენით, ყურით აღიქვამს, მოისმენს:
ენაც მას ამბობს, რაც სმენას სხვისაგან **გაუ-**
გონია (აკაკი); 2. დაიჯერებს: ნეტავი **გამე-**
გონა შენი სიტყვა (თ. რაზიკ.)

[გაიმორიტი კი არა] **ჰაიმორიტი**

გაირუჯა [და არა ზაგარი მიილო]

გალერეა (გალერეის¹)

[გალსტუვი კი არა] **ჰალსტუხი**

[გალუცინაცია, გალუცინაციური კი არა] **ჰა-**
ლუცინაცია: **ჰალუცინაციური**

[გამაკი კი არა] **ჰამაკი**

გამგებელი (გამგებლის¹)

გამზირი // **პროსპექტი**

გამოაჭრევენებს; **გამოაჭრევენა**; **გამოუჭ-**
რევენებია [და არა გამოაჭრევიებს, გამო-
აჭრევია, გამოუჭრევიებია]; იხ. **აბმევენებს**

გამომცემელი (გამომცემლის¹)

გამომცემლობა (გამომცემლობის¹)

გამოსალმება (გამოსალმების¹)

[გამოსასვლელი დღე / ტანსაცმელი კი არა] **ღა-**
სვენების / **უქმე დღე**; **საგარეო**, **სადღე-**
სასწაულო ტანსაცმელი

გამოსცემს; **გამოსცემდა**; **გამოსცა** (წიგნი, გა-
ზეთი...)

**გამოყოფს; გამოყო (გამოყოფავი, გამოყოფავი);
გამოუყოფია**

გამოცდის; გამოცადა; გამოუცდია

გამოჰქონდა [და არა გამოქონდა]

გამოჰყავს; გამოჰყავდა [და არა გამოყავს,
გამოყავდა]

გამჰჭვირვალე [და არა გამჭირვალე]

-**გან**: ეს თანდებული ქართულში დაერთვის სახელთა ნათესაობითის (**ის+გან**) ან მოქმედებითის (**ით+გან** → **იდან**) ფორმებს სხვადასხვა ფუნქციით. საერთოა გამოსვლითობის შინაარსი: რისგან? – ხისგან, საიდან? – ხიდან. **-იდან** დაბოლოება იხმარება ადგილის ან დროის სემანტიკით: **ქალაქიდან, დილიდან, ბავშვობიდან** და მისთ. ზოგჯერ **-იდან** არასწორად გამოიყენება **-გან** თანდებულიანი ნათესაობითის ადგილას: გამოთალა ხიდან (უ ნ და ი ყ ო ს: **ხისგან**), იმ **ბავშვიდან** აღარაფერი დარჩა (უ ნ და ი ყ ო ს: **ბავშვისაგან**). **-გან** თანდებულს ნათესაობითი ბრუნვის ფორმასთან სიმრავლისაგან გამორჩევის ფუნქციაც აქვს: **ბავშვებისაგან** ან **ბავშვთაგან** [და არა ბავშვებიდან]; **გამოკითხულთაგან** [და არა გამოკითხულებიდან]. გვხვდება აღრევის საპირისპირო შემთხვევაც: **ჩიხისგან** გამოვიყვანოთ ქვეყანა (უ ნ და ი ყ ო ს: **ჩიხიდან**)

განავითარებს; განავითარა; განუვითარებია
(// **გაავითარებს; გაავითარა; გაუვითარე-**

ბია) [და არა განვითარებს, განვითარა, გაუნვითარებია]; ი ხ. **ავითარებს**
განაზოგადებს; განაზოგადა; განუზოგადებია
[და არა განაზოგადებს, განაზოგადა, გაუნზოგადებია]; ი ხ. **ავითარებს**
განარისხებს; განარისხა; განურისხებია
[და არა განარისხებს, განარისხა, გაუნრისხებია]; ი ხ. **ავითარებს**
განასახიერებს; განასახიერა; განუსახიერებია [და არა განასახიერებს, განასახიერა, გაუნსახიერებია]; ი ხ. **ავითარებს**
განასხვავებს; განასხვავა; განუსხვავებია
[და არა განასხვავებს, განასხვავა, გაუნსხვავებია]; ი ხ. **ავითარებს**
განაცალკევებს; განაცალკევა; განუცალკევებია // **გააცალკევებს; გააცალკევა; გაუცალკევებია** [და არა განაცალკევებს, განაცალკევა, გაუნცალკევებია]; ი ხ. **ავითარებს**
განაცვიფრებს; განაცვიფრა; განუცვიფრებია // **გააცვიფრებს; გააცვიფრა; გაუცვიფრებია** [და არა განაცვიფრებს, განაცვიფრა, გაუნცვიფრებია]; ი ხ. **ავითარებს**
განახორციელებს; განახორციელა; განუახორციელებია [და არა განახორციელებს, განახორციელა, გაუნახორციელებია]; ი ხ. **ავითარებს**

განზოგადება; განზოგადებული [და არა განზოგადოება, განზოგადოებულო]

განლაგება: ზეპირ მეტყველებაში ხშირად ისმის: ფორვარდს შეუძლია, დაცვის მარცხენა ფლანგზეც განლაგდეს; ამ პოზიციაზე განლაგება სხვა ფეხბურთელი; სპორტსმენი ოდნავ უკან არის განლაგებული. **განლაგება** ნიშნავს ამა თუ იმ ადგილზე გარკვეული წესით რაიმე საგნების, ნაგებობათა, ჯარის ნაწილებისა და მისთ. მოთავსებას, განაწილებას. უმართებულთა: **ერთის განლაგება** (მაგ. ფორვარდისა ამა თუ იმ პოზიციაზე). უნდა იყოს: ფორვარდი მარცხენა ფლანგზე დაიკავებს ადგილს (ან დადგება) და ა. შ.

განწყობა (მრ. არა აქვს. უმართებულთა: **განწყობები**): 1. ფსიქ. ამა თუ იმ განცდისა და ქცევისათვის მზადყოფნა; სპეციფიკური მდგომარეობა, რომელიც სუბიექტში მოთხოვნილების დაკმაყოფილების ობიექტური სიტუაციის ზეგავლენის შედეგად ჩნდება (**განწყობის თეორია**); 2. ვინმესთან დამოკიდებულება; ურთიერთობა. შდრ.: **განწყობილება**, რომელიც ამ უკანასკნელი (მეორე) მნიშვნელობით იხმარება ენაში (**მეგობრული განწყობილება**)

[განხილვადი კი არა] **განსახილველი....:** ზეპირ მეტყველებაში ისმის ხოლმე: ეს **განხილვადი** საკითხებია, რაც უმართებულოა. უნდა იყოს: ეს **განსახილველი** საკითხებია; ამ საკითხების

თხების **განხილვა** შესაძლებელია; ეს საკითხები **განხილვა**

[გარემი, ჰარემი კი არა] **ჰარამხანა**

[გარმონია, გარმონიული კი არა] **ჰარმონია: ჰარმონიული**

გარუჯავს; გარუჯა; გაურუჯავს [და არა გაურუჯია]; იხ. **დაუნატავს**

გარუჯვა; გარუჯული

გარშემო: ზეპირ მეტყველებაში ხშირად ისმის: **პროგრამის / პროექტის / საკითხის გარშემო** მსჯელობდნენ..., რაც უმართებულოა. უნდა იყოს: **პროგრამის / პროექტის / საკითხის შესახებ** მსჯელობდნენ..., მაგრამ: **სოფლის გარშემო** ტყვა...

გაცდება; გასცდა; გასცდენია (ის სახლს), მაგრამ: **გაცდება; გაცდა; გამცდარა** (ლექცია)

გასცემს; გასცა (ბრძანება)

გასწევ-გამოსწევს; გასწი-გამოსწია; გაუწევ-გამოუწევია

გასწევს; გასწია [და არა გაწევს, გაწია] (გზაზე); **გაუწევია**

გაუბამს [და არა გაუბავს, გაუბია] (თურმე); იხ. **აუბამს**

[გაუბიცა კი არა] **ჰაუბიცა**

გაულანძღავს [და არა გაულანძღია] (თურმე); იხ. **დაუნატავს**

გაუმადლარი (გაუმადლრის^[ა¹]); **გაუმადლობა**
[გაუპტვანტი კი არა] **ჭაუპტვანტი**
გაუსვამს [და არა გაუსვავს, გაუსვია] (თურ-
მე); იხ. **აუბამს**
გაუყილია; გაეყილა
გაუცვეთია; გაეცვეთა
გაუნარდება; გაუნარდა (**გამიხარდება, გამი-
ხარდა; გაგიხარდება, გაგიხარდა**) [და
არა გაეხარდება, გაეხარდა; გამეხარდება,
გამეხარდა; გაგეხარდება, გაგეხარდა]
გაფართოვდება; გაფართოვდა, მაგრამ: **გა-
ფართოებულა**
[გაქცევაში იმყოფება კი არა] **გაქცეულია** (ექ-
ვმიტანილი)
გაყიდვა: მრ. არა აქვს. უმართებულთა: დაი-
წყეს შემოტანილი სურსათის / სანოვავის **გა-
ყიდვები**. უნდა იყოს: დაიწყეს შემოტანილი
სურსათის / სანოვავის **გაყიდვა**
[გაყიდვაშია კი არა] **იყიდება**; უმართებულ-
თა: წამალი **გაყიდვაშია**. ეს შესიტყვება რუ-
სული გამოთქმის კალკირებულ ვარიანტს
წარმოადგენს. მისი ბუნებრივი ქართული ეკ-
ვივალენტია **იყიდება** (ეს წამალი სხვა აფთი-
აქში **იყიდება**)
გაშიფვრა (გაშიფრავს)
გაშიფრავს; გაშიფრა; გაუშიფრავს
[გაშიში კი არა] **ჭაშიში**
გაწვრთნა; გაწვრთნილი

გაწვრთნის; გაწვრთნა (**გაწვრთენი, გაწვრ-
თენი**); **გაუწვრთნია**
გაწირავს (ამხანაგს), მაგრამ: **შესწირავს** [და
არა შეწირავს] (ის სამშობლოს თავს)
გაპქონდა; გაპქონდეს [და არა გაქონდა, გა-
ქონდეს]
გაპყავს; გაპყავდა [და არა გაყავს, გაყავდა]
გგავს; გგავდა (ის შენ)
გგვრის (ის შენ ღიმილს)
გგმობს (ის შენ)
გგონია (ის შენ)
გღია (ერთი), მაგრამ: **ყრია** (ბევრი): სუბიექტის
რიცხვის მიხედვით ფუძემონაცვლე ზმნებია
გეახლება; გეახლა: თავაზ. 1. მოვა; მოვიდა
შენთან; 2. ჭამს; შეჭამა; თუმცა თანამედროვე
ქართულში არის ტენდენცია ამ ორი მნიშვნე-
ლობის გამიჯვნისა: **გეახლება** ძირითადად
იხმარება პირველი (მოვა; მოვიდა), ხოლო
გეახლება – მეორე (ჭამს; შეჭამს) მნიშვნე-
ლობით
[გეგემონია, გეგემონიური კი არა] **ჭეგემონია:**
ჭეგემონიური
გეგმა: გეგმური [და არა გეგმიური]
[გევხარ კი არა] **ჭგავხარ**
[გემატოლოგია კი არა] **ჭემატოლოგია**
[გემატომა კი არა] **ჭემატომა**
[გემოგლობინი კი არა] **ჭემოგლობინი**

გენეალოგია: გენეალოგიური
გენეზისი: გენეზისური
გენერალი (გენერლის^{რა})
გენერალიტეტი
გენერალური (დირექტორი / ხაზი)
გენერაცია
გენეტიკა: გენეტიკური (კოდი)
გენია (გენიის^{რა})
[გენიალოგია კი არა] **გენეალოგია**
გენიალური (გენიალურად)
[გენიკოლოგი(ა) კი არა] **გინეკოლოგი(ა)**
გენოციდი
[გეპატიტი კი არა] **ჰეპატიტი**
[გერაკლე კი არა] **ჰერაკლე**
[გერალდიკა კი არა] **ჰერალდიკა**
[გერბარიუმი კი არა] **ჰერბარიუმი**
გერბი: გერბიანი [და არა ღერბი, ღერბიანი]
[გერკულესი კი არა] **ჰერკულესი** (ფაფეული)
[გერმაფროდიტი კი არა] **ჰერმაფროდიტი**
[გერმეტული კი არა] **ჰერმეტული**
[გეროიკა, გეროიკული კი არა] **ჰეროიკა: ჰეროიკული**
[გექტარი კი არა] **ჰექტარი**
[გვანან კი არა] **ჰგვანან**
გვგვრის (ის ჩვენ ღიმილს)
[გვრის კი არა] **ჰგვრის** (ღიმილს მას)

[გიბრიდი, გიბრიდული კი არა] **ჰიბრიდი:**
ჰიბრიდული
[გიგიენა, გიგიენური კი არა] **ჰიგიენა: ჰიგიენური**
[გიდრავლიკა, გიდრავლიკური კი არა] **ჰიდრავლიკა: ჰიდრავლიკური**
[გიდროელექტროსადგური კი არა] **ჰიდროელექტროსადგური**
[გიდროლოგია, გიდროლოგიური კი არა] **ჰიდროლოგია: ჰიდროლოგიური**
[გიდროტექნიკა, გიდროტექნიკური კი არა] **ჰიდროტექნიკა: ჰიდროტექნიკური**
[გილზა, გილზი კი არა] **ჰილზი**
გინეკოლოგი; გინეკოლოგია: გინეკოლოგიური
გინესის წიგნი
[გიპერბოლა კი არა] **ჰიპერბოლა**
[გიპერტონია, გიპერტონიული კი არა] **ჰიპერტონია: ჰიპერტონიული**
[გიპერტონიკი კი არა] **ჰიპერტონიკი**
[გიპნოზი კი არა] **ჰიპნოზი: ჰიპნოზური**
[გიპოპოტამი კი არა] **ჰიპოპოტამი**
[გიპოტეზა, გიპოტეზური კი არა] **ჰიპოთეზა: ჰიპოთეზური**
[გიპოტენუზა, ჰიპოთენუზა კი არა] **ჰიპოტენუზა**

[გიპოტეტური, ჰიპოტეტური კი არა] **ჰიპოთეზური**

გირლანდა (გირლანდის^ა)

გირჩა (გირჩის^ა)

გლასე (გლასეს^ი) [და არა გლიასე]: უალკო-
ჰოლო რძიანი სასმელი

გლეჯს (ის ბალახს), მაგრამ: **ჰგლეჯს** (ქარი
კაცს ქუდს)

გლოვობს; იგლოვა; უგლოვია

გმადლობ, გმადლობთ [და არა მადლობთ]

გოგონა (გოგონას^ი, მრ. გოგონები)

[გომეოპათია, გომეოპათიური კი არა] **ჰომეო-
პათია: ჰომეოპათიური**

[გომოსექსუალიზმი კი არა] **ჰომოსექსუა-
ლიზმი**

გონებრივი – **გონივრული; გონებრივი**: გო-
ნებასთან, აზროვნებასთან, აზროვნების
უნართან დაკავშირებული (**გონებრივი** შესა-
ძლებლობა...); **გონივრული**: გონიერის და-
მახასიათებელი, ჭკვიანური (მიიღო **გონივ-
რული** გადაწყვეტილება...)

[გონია კი არა] **ჰგონია** (მას)

[გონორი კი არა] **ჰონორი**

[გონორის კაუზა კი არა] **ჰონორის კაუზა**

[გორიზონტი კი არა] **ჰორიზონტი**

[გორმონი, გორმონული კი არა] **ჰორმონი:
ჰორმონული**

[გოროსკოპი კი არა] **ჰოროსკოპი**

[გოსპიტალი, გოსპიტალიზაცია კი არა] **ჰოს-
პიტალი; ჰოსპიტალიზაცია**

გოჯი [და არა გოჯა]

გრამატიკა (გრამატიკის^ა): **გრამატიკული**

გრამოფონი [და არა გრამაფონი]

გრანდი: გადატ. უწოდებენ სახელგანთქმულ
სპორტსმენებს (განსაკუთრებით გამოჩენილ
ფეხბურთელებს)

გრან-პრი: მთავარი პრიზი

გრანტი: გამოიყენება ამა თუ იმ დარგში მნიშ-
ვნელოვანი პროექტის დასაფინანსებლად

**გრაფიკი – გრაფიკა – გრაფოლოგია; გრა-
ფიკი**: დიაგრამა, ნახაზი, რომელზედაც გამო-
სახულია სხვადასხვა პროცესის რაოდენობრი-
ვი დამოკიდებულება (ტემპერატურის **გრაფი-
კი**, მატარებლების მოძრაობის **გრაფიკი**);
გრაფიკა: 1. ხატვა უსაღებავოდ – ხაზებითა
და შტრიხებით; 2. ასოთა და ციფრთა მოხა-
ზულობა; 3. ლინგვ. მოძღვრება ბგერათა და
ასოთა ურთიერთობის შესახებ; **გრაფოლო-
გია**: ხელის (= ნაწერის) შესწავლა ადამიანის
ხასიათის გამორკვევის მიზნით

გრენს; გრენლა [და არა გრინავს, გრინავდა]

გრიგორიანი [და არა გრიგორიანელი]

გრილა (საერთოდ), მაგრამ: **ჰგრილა** (მას)

გროსმაისტერი [და არა გროსმეისტერი]:
1. ისტ. სასულიერო რაინდული ორდენის

მეთაური; 2. უმაღლესი კვალიფიკაციის მოჭადრაკე

გროტესკი: გროტესკული

გრძელი (გრძლად); **უგრძესი**; **მოგრძო**

გუდა-ნაბადი (გუდა-ნაბადის^{ა1})

[გუმანიზმი კი არა] **ჰუმანიზმი**

[გუმანისტი, გუმანისტური კი არა] **ჰუმანისტი: ჰუმანისტური**

[გუმანიტარული კი არა] **ჰუმანიტარული**

[გუმანოიდი კი არა] **ჰუმანოიდი**

[გუმანურობა კი არა] **ჰუმანურობა**

გყავარ, ვყავარ, მყავხარ [და არა გყევარ, ვყევარ, მყევხარ]

გცალია [და არა ქცალია]

გცივა [და არა ქცივა]

დ

დააბოლოებს; დააბოლოვა (დავაბოლოვე, დააბოლოვე); **დააბოლოოს; დაუბოლოებია**

დააგდებს (ერთს), მაგრამ: **დაყრის** (ზევრს): ობიექტის რიცხვის მიხედვით ფუძემონაცვლე ზმნებია

დააგემოვნებს; დააგემოვნა; დაუგემოვნებია

დააკვლევინებს; დააკვლევინა; დაუკვლევინებია [და არა დააკვლევიებს, დააკვლევივა, დაუკვლევიებია]; იხ. **აბმევინებს**

დააკვრევინებს; დააკვრევინა; დაუკვრევინებია [და არა დააკვრევიებს, დააკვრევივა, დაუკვრევიებია]; იხ. **აბმევინებს**

დაანახვებს; დაანახვა; დაუნახვებია [და არა დაანახებს, დაანახა, დაუნახებია]

დაარტყამს [და არა დაარტყავს]; იხ. **აბამს**

დაასწრებს; დაასწრო (დავასწარი, დაასწარი); **დაუსწრია**

დააწერინებს; დააწერინა; დაუწერინებია [და არა დააწერიებს, დააწერია, დაუწერიებია]

დააწყობს; დააწყო (დავაწყვე, დააწყვე); **დაუწყვია** (წიგნები), მაგრამ: **დადებს; დადო; დაუდვია** (წიგნი): ობიექტის რიცხვის მიხედვით ფუძემონაცვლე ზმნებია

დააჭრევინებს; დააჭრევინა; დაუჭრევინებია [და არა დააჭრევიებს, დააჭრევივა, დაუჭრევიებია]; იხ. **აბმევინებს**

დაახატვინებს; დაახატვინა; დაუნატვინებია [და არა დაახატინებს, დაახატინა, დაუხატინებია]; იხ. **აბარვინებს**

დაახვნევინებს; დაახვნევინა; დაუხვნევინებია [და არა დაახვნევიებს, დაახვნევივა, დაუხვნევიებია]

დააჯილდოებს; დააჯილდოვა; დააჯილდოოს
(**დავაჯილდოო, დააჯილდოო**); **დაუჯილ-**
დობია

[დააჯინა კი არა] **დასვა** (ის), მაგრამ: **დასხა**
(ისინი): ობიექტის რიცხვის მიხედვით ფუ-

ძემონაცვლე ზმნებია
დაბალი (დაბლის^ა); შდრ.: **მდაბალი** (მდაბ-

ლის^ა, მდაბლად): **მდაბალი სალამი; მდა-**
ბალი სული
[დაბალი მოსავალი, დაბალმოსავლიანი კი

არა] **მცირე მოსავალი; მწირმოსავლიანი**
(ნიადაგი)
დაბოლოება (დაბოლოების^ა); **დაბოლოებული**
დაბოლოვდება; დაბოლოვდა; დაბოლოებულა
დაბომბვა; დაბომბილი

დაგემოვნება (დააგემოვნებს)

დაგლეჯს; დაგლიჯა; დაუგლეჯია

დაგრეხს; დაგრიხა; დაუგრეხია

დადებს; დადო; დაუდვია (ერთი), მაგრამ: **და-**
აწყობს; დააწყო; დაუწყვია (ბევრი): ობი-

ექტის რიცხვის მიხედვით ფუძემონაცვლე
ზმნებია; შდრ.: **დასდებს** (მას პატისს)

დაებადებინა; დაებადებინოს [და არა დაება-

დებია, დაებადებინოს]
დაემხო; დაემხო; დამხობილა (იგი); შდრ.:
დაემხო; დაემხო; დამხობია (იგი მას)

დაენაძლევა; დაენაძლევა; დაენაძლევის
(**დავენაძლევა, დაენაძლევა**); **დანაძლე-**
ვებია

დაეშავებინა; დაეშავებინოს [და არა დაეშა-

ვებია, დაეშავებინოს]
დაეშენებინა; დაეშენებინოს [და არა დაე-

შენებია, დაეშენებინოს]
დაეწერინებინა; დაეწერინებინოს [და არა

დაეწერინებია, დაეწერინებინოს]
დაეჭრევინებინა; დაეჭრევინებინოს [და

არა დაეჭრევინებია, დაეჭრევინებინოს]
დაეხატვინებინა; დაეხატვინებინოს [და

არა დაეხატვინებია, დაეხატვინებინოს]
დავიწროვდება; დავიწროვდა; დავიწროებუ-
ლა

დავობს; დავობდა; იდავა; უდავია

დათანხმდება (თანხმობას განაცხადებს); **და-**
თანხმდა; დათანხმებულა, მაგრამ: **და-**
სთანხმდება; დასთანხმდა; დასთანხმებია
(ის მას)

დათვრება; დათვრა (**დავთვერი, დათვერი**);
დამთვრალა

დათმობა: მრ. არა აქვს. უმართებულოა: **და-**
თმობის პოლიტიკა. უნდა იყოს: **დათმობის**
(კომპრომისის) პოლიტიკა

დაიბნევა; დაიბნა (**დავიბენი, დაიბენი**); **დაბ-**
ნეულა

დაიგულებს; დაიგულა; დაუგულებია [და არა დაიგულევს, დაიგულვა, დაუგულვე-
ბია]

**დაიკლებს; დაიკლო (დავიკელი, დაიკელი);
დაუკლია**

**დაიკრავს; დაიკრავდა; დაიკრა (დავიკარი,
დაიკარი); დაუკრავს**

**დაიკრებს; დაიკრებდა; დაიკრიბა; დაუკრე-
ბია // დაიკრეფს (გულზე ხელებს)**

**დაიმართლებს; დაიმართლვა (დავიმართო-
ვე...); დაიმართლოს; დაუმართლებია**

**დაიპყრობს; დაიპყრო (დავიპყარი, დაიპყა-
რი); დაუპყრია**

**დაირქმევს (დავირქმევ, დაირქმევ) [და არა
დაირქვამს, დავირქვამ, დაირქვამ]; დაირქვა;
დაურქმევია (სახელი)**

დაისვამს [და არა დაისვავს, დაისმევს]
(ერთს), მაგრამ: **დაისხამს** (ზევრს): ობიექ-
ტის რიცხვის მიხედვით ფუძემონაცვლე
ზმნებია

**დაიხმარს (// დაიხმარებს); დაიხმარა; დაუხ-
მარებია**

დაიხოცა (ხალხი), მაგრამ: **მოკვდა** (კაცი): სუ-
ბიექტის რიცხვის მიხედვით ფუძემონაცვლე
ზმნებია

დაიჯესტი

დაკავშირებით: პარლამენტთან / მინისტრთან...
დაკავშირებით [და არა პარლამენტთან /
მინისტრთან... მიმართებაში]; იხ. [მიმართე-
ბაში...]

დაკარგავს; დაკარგა; დაუკარგავს [და არა
დაუკარგია]; იხ. **დაუნატავს**

[დაკარგვია, დაკარგვოდა კი არა] **დაპკარგვია;**
დაპკარგოდა (მას)

დალაშქრავს; დალაშქრა; დაულაშქრავს: ზე-
პირ მეტყველებაში ისმის ხოლმე: მან (ფეხ-
ბურთელმა) **დალაშქრა** მეტოქის კარი; მას შე-
ეძლო კიდევ ერთხელ **დაელაშქრა** მოწინააღ-
მდეგის კარი. **დალაშქრავს** ნიშნავს: 1. ლაშ-
ქრით შეესევა და აიკლებს (ქალაქს, ციხეს...);
2. დაიპყრობს (მწვერვალს). უმართებულოა
ამ ფორმის გამოყენება ფეხბურთელის მიერ
ბურთის კარში გატანის მნიშვნელობით. უნდა
იყოს: **ბურთი გაიტანა**

დალევს; დალია; დაულევია, მაგრამ: სვამს:
დროის მიხედვით ფუძემონაცვლე ზმნებია

დამკაბადონებელი (დამკაბადონებლის^ა)

დამნაშავე (დამნაშავის^ა)

დამპროექტებელი (დამპროექტებლის^ა)

დამპყრობელი (დამპყრობლის^ა)

დამსწრე (დამსწრის^ა)

დამხმარე (დამხმარის^ა)

**დაპროგრამება // პროგრამირება; დაპროგრა-
მებული // პროგრამირებული**

დარწმუნდება; დარწმუნდა; დარწმუნებულა
დასავლეთი (ევროპა...)

დასაკრეული // **დასაკრავი**: 1. რაც უნდა და-
ჰკრან; დასარტყმელი; 2. რაც უნდა დააკრან
(რამეზე); 3. რაც, რაზედაც ან რითაც უნდა
დაუკრან (საკრავი)

დასასრულ: ეს სიტყვა სტატიისა თუ მოხსენების
შემაჯავებელ ნაწილში გვხვდება დამოუკი-
დებლად (**დასასრულ**, მოკლედ შევაჯამოთ მი-
ღებული შედეგები), **დასასრულს** კი მხოლოდ
იმ შემთხვევაში გვაქვს, თუ მას წინ უძღვის
სახელის ნათესაობითი ბრუნვის ფორმები
(სხდომის / კონცერტის **დასასრულს**)

დასდებს (მას პატივს), მაგრამ: **დადებს** (წიგნს)
დასვამს; დასვა; დაუსვამს (ერთი), მაგრამ:
დასხამს; დასხა; დაუსხამს (ბევრი): ობიექ-
ტის რიცხვის მიხედვით ფუძემონაცვლე
ზმნებია

დასვენების [და არა გამოსასვლელი] / **უქმე**
(დღე)

დასთანხმდება; დასთანხმდა; დასთანხმებია
(ის მას), მაგრამ: **დათანხმდება; დათან-
ხმდა; დათანხმებულა** (ის)

დასხდა (ხალხი), მაგრამ: **დაჯდა** (ბავშვი)

დატოვებს; დატოვა; დაუტოვებია

დატოვებული [და არა დატოვილი]

დაუბამს [და არა დაუბავს, დაუბია] (თურმე);
იხ. **აუბამს**

**დაუვიწყებს; დაუვიწყა; დაუვიწყებია; დაე-
ვიწყებინა** [და არა დაევიწყებია, დაევიწყა,
დაევიწყა]

დაუთოვდება; დაუთოვდა; დაუთოებულა

დაუკლავს (ქათამი), მაგრამ: **დაუკლია** (წონა-
ში)

დაურტყამს [და არა დაურტყავს, დაურტყია]
(თურმე); იხ. **აუბამს**

დაუსვამს [და არა დაუსვავს, დაუსვია] (თურ-
მე); იხ. **აუბამს**

დაუსხამს [და არა დაუსხავს, დაუსხია] (თურ-
მე); იხ. **აუბამს**

დაუწვავს [და არა დაუწვამს, დაუწვია]
(თურმე); იხ. **დაუხატავს**

დაუხატავს [და არა დაუხატია]: სალიტერა-
ტურო ნორმების მიხედვით, **-ავ** თემისნიშნი-
ან ზმნებში I თურმეობითის წარმოებისას ეს
სუფიქსი (**-ავ**) შენარჩუნდება, რაც დოკუმენ-
ტურად დადასტურებულია ყველა დროის
ქართული კლასიკური მწერლობისა და ხალ-
ხური შემოქმედების (ხალხური პოეზია, ან-
დაზები) მონაცემებით

**დაფინანსება // ფინანსირება; დაფინანსებუ-
ლი // ფინანსირებული**

დაფლეთს [და არა დაფლითავს]; **დაფლითა;**
დაუფლეთია; დაეფლითა

[დაქონდა კი არა] **დაჰქონდა**

დაქრის; დაქროლა

[დაყავდა კი არა] **დაჰყავდა**

[დაყვება კი არა] **დაჰყვება** (მას)

დაყოფს; დაყო (დაკვაკვი, დაყავი); **დაუყვია**

დაყრის (ბევრს), მაგრამ: **დააგდებს** (ერთს):
ობიექტის რიცხვის მიხედვით ფუძემონაცვლე ზმნებია

დაძლევს; დაძლია; დაუძლევია

დანოცავს (ბევრს), მაგრამ: **მოკლავს** (ერთს):
ობიექტის რიცხვის მიხედვით ფუძემონაცვლე ზმნებია

დაჯილდოება; დაჯილდოებული

დაჯილდოვდება; დაჯილდოვდა; დაჯილდოებულა

დაჰკარგვია; დაჰკარგოდა (მას)

დაჰკითხავს; დაჰკითხა; დაუკითხავს

დაჰპირდება; დაჰპირდა; დაჰპირებია (ის მას მას)

დაჰქონდა; დაჰქონდეს

დაჰყაბულდება; დაჰყაბულდა; დაჰყაბულდება; დაჰყაბულდებოდა

დაჰყავს; დაჰყავდა

დაჰყვება; დაჰყვავს; დაჰყოლია (მას)

დგახარ [და არა დგეხარ]; იხ. **ვგავარ**

დებატები (მრ.): აზრთა გაცვლა-გამოცვლა საჯაროდ; კამათი, პაექრობა

დებიუტი: 1. პირველი გამოსვლა სამოღვაწეო ასპარეზზე; 2. პირველი სვლები ჭადრაკში. ამ სიტყვასთან (დებიუტი) მსაზღვრელად **პირველი** ზედმეტია

დებს; დადებს; დაღო (დავდე, დადე); **დაუდვია**

დეგენერაცია

დეგრადაცია

დეგრადირება; დეგრადირებული

დეგუსტაცია // **დაჭაშნიკება:** კვების პროდუქტების (ღვინის, ჩაის...) გემოს გასინჯვა ხარისხის გასარკვევად; **დეგუსტატორი**

დედა (დედის^ა, შინაურულად დედას^ი)

დედაბერი (დედაბრის^ა): **დედაბრული** (დედაბრულად)

დედანი // **ორიგინალი**

დედოფალა (დედოფალას^ი) // **თოჯინა**

დედოფალი (დედოფლის^ა): **სადედოფლო**

დევს (ერთი), მაგრამ: **აწყვია** (ბევრი)

[დეზინტერია, დიზინტერია კი არა] **დიზენტერია**

დეზინფექცია [და არა დიზინფექცია]: **დეზინფექციური; სადეზინფექციო**

დეზოდორატორი [და არა დეზადორატორი]

დეიდა (დეიდის^ა, შინაურულად დეიდას^ი)

დეიდაშვილი

დეიურე (საპირისპ. **დე ფაქტო**)

დეკლამაცია: ლიტერატურული ნაწარმოების გამომეტყველებითი კითხვა, მხატვრული კითხვა

დეკლარაცია: **დეკლარაციული**

დეკოლტე (დეკოლტეს¹)

დეკორაციული (დეკორაციასთან დაკავშირებული) – **დეკორატიული** (მცენარეები)

დელეგაცია

დელეგირება (დელეგატად გაგზავნა): **დელეგირებული**

დელიკატესი (დელიკატესს): განსაკუთრებით გემრიელი, რჩეული საჭმელი

დელიკატური: 1. თავაზიანი, ზრდილობიანი (**დელიკატური** ადამიანი); 2. რაც ფრთხილსა და წინდახედულ მოპყრობას, ფაქიზ დამოკიდებულებას მოითხოვს (**დელიკატური** საკითხი)

დელიკატურობა: თავაზიანობა, ზრდილობიანობა

დემაგოგი: **დემაგოგური**

დემაგოგია: **დემაგოგიური**

დემარკაცია: **დემარკაციული**; **სადემარკაციო**

დემარში: დიპლ. ერთი სახელმწიფოს მთავრობის, საგარეო საქმეთა უწყების ან დიპლომატიური წარმომადგენლის მიმართვა მეორე სახელმწიფოსადმი (ნოტა, განცხადება, თხოვნა, პროტესტი)

დემისეზონური

დემონსტრაციული; დემონსტრაციულად [და არა დემონსტრატიული, დემონსტრატიულად]

დემონსტრირება: **დემონსტრირებული**

დემორალიზაცია // **დემორალიზება:** **დემორალიზებული**

დემოსი (დემოსს)

დეპარტამენტი: 1. ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული, ოლქი (**სახელმწიფო დეპარტამენტი**); 2. განყოფილება

დეპორტაცია // **დეპორტირება** (ქვეყნიდან იძულებით გასახლება): **დეპორტირებული**

დეპრესია: **დეპრესიული**

დესტაბილიზაცია // **დესტაბილიზება:** **დესტაბილიზებული**

დესტრუქცია (დაშლა, დარღვევა): **დესტრუქციული**

დე ფაქტო (საპირისპ. **დე იურე**)

დეფექტი: **დეფექტური** [და არა დეფექტური]

დეფინიცია (ამა თუ იმ ცნების განსაზღვრა სპეციფიკური ნიშნის მიხედვით): **დეფინიციური**

დეფისი [და არა დეფიზი]

დეფიციტი; უმართებულთა: ესა თუ ის მედიკამენტი (საქონელი) **დეფიციტშია**, უნდა

ი ყ ო ს : ამა თუ იმ მედიკამენტის (საქონლის)
ნაკლებობა; დეფიციტია; ი ხ. - ში
დიაბეტი; დიაბეტიკი
დიაგნოსტიკა: დიაგნოსტიკური
დიაგნოსტიკოსი [// დიაგნოსტი]
დიაგონალი: დიაგონალური
დიალექტიკური – დიალექტური; დიალექტიკური: დიალექტიკაზე დაფუძნებული (დიალექტიკური მატერიალიზმი); **დიალექტური:** დიალექტისათვის, ენის ამა თუ იმ კილოსათვის დამახასიათებელი (დიალექტური ლექსიკონი)
დიალოგი: დიალოგური
დიასპორა (დიასპორის^{რა}) // **სათვისტომო**
დიახ (დიახ, ასეა): **დიახაც** (სწორედაც რომ)
დიდედა (დიდედის^{რა}, შინაურულად დიდედას^{რა}) // **ბებია** (ბების^{რა}, შინაურულად ბებიას^{რა})
დიზანი; დიზანერი
დიზენტერია [და არა დიზინტერია, დეზინტერია]
 [დიზინფექცია კი არა] **დიზინფექცია**
დილა; დილა-საღამოს
დილექტანტი: დილექტანტური
დილექტანტობა
დინამიკა: დინამიკური

დინასტია: დინასტიური
დიპლომანტი – დიპლომატი; დიპლომანტი: სტუდენტი, რომელიც სადიპლომო შრომას ამზადებს; **დიპლომატი:** პირი, რომელიც დიპლომატიურ მოღვაწეობას ეწევა
დიპლომატია: დიპლომატიური (კორპუსი)
დიპლომატიკა: დიპლომატიკური (საბუთები)
დისერტანტი
დისერტაცია: სადისერტაციო
დისკეტი
დისკომფორტი: დისკომფორტული
დისკრედიტაცია // დისკრედიტირება: დისკრედიტირებული
დისკრიმინაცია // დისკრიმინირება: დისკრიმინირებული
დისკურსიული
დისკუსია (დისკუსიის^{რა}): **სადისკუსიო** (საკითხი)
დისლოკაცია: დისლოკაციური // სადისლოკაციო
დისონანსი: დისონანსური
დისპლეი (დისპლეიმ, მ ი გ. დისპლეის)
დისპუტანტი
დისპუტი: საჯარო პაექრობა, კამათი ამა თუ იმ საკითხის, პრობლემის შესახებ

დისტანცია: დისტანციური
დისშვილი // დისწული
დიფთერია // დიფთერიტი [და არა დიფტერია, დიფტერიტი]
დიქტოფონი [და არა დიქტაფონი]
დიჯეი (დიჯეიმ, მიც. დიჯეის)
დოგმა: დოგმატური
დოგმატიკა: დოგმატიკური
დოკუმენტაცია
დოკუმენტი: დოკუმენტური [და არა დოკუმენტალური]
დოკუმენტირებული: ილუსტრაციებით დამოწმებული (დოკუმენტირებული ლექსიკონი)
დოსიე (დოსიეს¹)
დოქტორანტურა (დოქტორანტურის¹)
დოქტრინა (დოქტრინის¹)
დოლი // მარულა
დრამა: დრამატული; დრამული; სადრამო
დრამატიზაცია // დრამატიზება: დრამატიზებული [და არა დრამატიზირებული]
დრამატურგი; დრამატურგია: დრამატურგიული
დრო (დროის¹ // დროს¹)
დღედაღამ, მაგრამ: **დღე და ღამე** // დღისით და ღამით (მუშაობა)

დღესდღეობით [და არა დღესდღეისობით]
დღე-ღამე (დღე და ღამე), მაგრამ: **დღეღამური,** სადღეღამისო

ე

ეაშა [და არა იაშა] // ესიაშონა
ეგ (მაგან, მაგას...)
ეგეთი
ეგზალტაცია // **ეგზალტირება:** ეგზალტირებული
ეგზეპლარი // ცალი
ეგზოტერიკული – ეზოტერიკული; **ეგზოტერიკული:** რაც საიდუმლოებას არ წარმოადგენს და განკუთვნილია ყველასათვის;
ეზოტერიკული: რაც განკუთვნილია მხოლოდ იმათთვის, ვისაც გაენდვნენ
ეგზოტიკა: ეგზოტიკური [და არა ეგზოტიკა, ეგზოტიკური]
ეგიდა (ეგიდის¹)
ეგოცენტრიზმი (ეგოცენტრიზმმა)
ეგრე
 [ეგრეთი კი არა] **ეგეთი**
ეგრეთ წოდებული (ე. წ.) [და არა ეგრედ წოდებული]

ედო (მედო, გედო)

ევროკავშირი

ეზრდება [და არა ეზდება] (შვილი)

ეთიკა: ეთიკური

[ეთიკეტი, ეთიკეტური კი არა] **ეტიკეტი:**

ეტიკეტური

ეთნიკური [და არა ეთნიური]

ეთქმება // ეთქმის

ეიგივება; ეიგივა; ეიგივოს

ეიფორია: ეიფორიული

ეკვივალენტი: ეკვივალენტური [და არა ექვივალენტი, ექვივალენტური]

[ეკვოტიკა კი არა] **ეგზოტიკა**

ეკითხება; ეკითხებოდა; ეკითხებოდეს

ეკოლოგია (ეკოლოგიის^ა): **ეკოლოგიური**

ეკონომიური (მომჭირნე, მაგ., **ეკონომიური ხარჯვა**) – **ეკონომიკური** (**ეკონომიკური პოლიტიკა**)

ელასტიკური [და არა ელასტიური]

ელემენტარული; ელემენტარულობა

ელიტა (ელიტის^ა): **ელიტარული** (// **ელიტური**)

ემბლემა (ემბლემის^ა): **ემბლემური**

ემდურის [და არა ენდურის]

ემიგრანტი – იმიგრანტი – მიგრანტი; ემიგრანტი: სამშობლოდან სხვა ქვეყანაში იძუ-

ლებით ან ნებაყოფლობით გადასახლებული პირი; ემიგრაციაში მყოფი; **იმიგრანტი:** ამა თუ იმ ქვეყანაში დასახლებული უცხოელი; **მიგრანტი:** ადამიანი, რომელიც იცვლის საცხოვრებელ ადგილს (ქვეყანას)

ენამახვილი: ენამახვილური

ენამწარე (ენამწარის^ა)

ენამჭევრი: ენამჭევრული

ენაძლევება [და არა ენიძლევება]

ეპარქია: საეპარქიო

ეპიგონი: ეპიგონური

ეპიგრაფიკა: ეპიგრაფიკული

ეპიდემია: ეპიდემიური

ეპიდემიოლოგია: ეპიდემიოლოგიური

ეპიკა: ეპიკური

ეპილეფსია: ეპილეფსიური

ეპისკოპოსი: საეპისკოპოსო

ეპიცენტრი (მიწისძვრის **ეპიცენტრი**)

ეპონიმი: ეპონიმიური

ეპოპეა (ეპოპეის^ა)

ეპოქა (ეპოქის^ა): **ეპოქალური** [და არა საეპოქო]

ერთი და იგივე: ორივე ეს სიტყვა (**ერთი, იგივე**) ცალ-ცალკე იბრუნება (**ერთმა, ერთს..., იმავემ, იმავეს...**): **ერთი და იგივე, ერთმა და იმავემ, ერთსა და იმავეს** და ა. შ.

ერთი და იგივე კაცი: ამ შემთხვევაში ერთი და იგივე მსაზღვრელია. სახელობითში დასმულ სახელთან უნდა იყოს: ერთი და იგივე (კაცი), სხვა ბრუნვებში კი ერთი იცვლება, იგივე კი მუდამ იმავე ფორმით იქნება წარმოდგენილი (ერთი და იგივე კაცი, ერთმა და იმავე კაცმა, ერთსა და იმავე კაცს...)

ერთი მხრივ // ერთი მხრით [და არა ერთის მხრივ, ერთის მხრით]

ერთმორწმუნე (ერთმორწმუნის^ა)

ერთფეროვანი: ერთფეროვნება

ერთხელ [და არა ერთჯერ] („ასჯერ გაზომე და ერთხელ გაჭერი“), მაგრამ: **ერთჯერ ერთი** (მათ.). აქედან: **ერთჯერადი** (ჩაი, ყავა, შპრიცი...)

ერთროციტები (მრ.)

ერკვევა; ერკვეოდა; ერკვეოდეს

ეროვნული [და არა საეროვნო] // **ნაციონალური**

ერუდიტი; ერუდიცია

ერქვა [და არა ქვიოდა, ჰქვიოდა]

[ესე, ესევე კი არა] **ასე, ასევე**

[ესეთი, ესეთივე კი არა] **ასეთი, ასეთივე**

[ესეთნაირი, ესეთნაირად კი არა] **ასეთნაირი, ასეთნაირად**

ესეღ [და არა ესე, ესსე]

ესკადრა – ესკადრილია – ესკადრონი; ესკადრა: სამხედრო ხომალდების მსხვილი შენაერთი; **ესკადრილია:** სამხედრო-საავიაციო შენაერთი, რომელიც თვითმფრინავების რამდენიმე რაზმისგან შედგება; **ესკადრონი:** ცხენოსანი ჯარის ერთეული

ესკალატორი – ექსკავატორი; ესკალატორი: მოძრავი კიბე (მეტროპოლიტენის **ესკალატორი**); **ექსკავატორი:** მიწის სათხრელი მანქანა

ესკალაცია (ესკალაციის^ა)

ესკორტი [და არა ექსკორტი] (დაცვა)

ესკორტირება [და არა ექსკორტირება]

ეს ყველაფერი (ამ ყველაფერმა, ამ ყველაფერს, ამ ყველაფრის...): ზეპირ მეტყველებაში ხშირად ისმის: **ეს ყველაფერი** აისახა ჩვენს ცხოვრებაზე; **ამ ყველაფერმა** თავი მოგვაბეზრა; **ამ ყველაფერს** ახლავე მოგახსენებთ; **ამ ყველაფრის** გამო ძალიან დავიღალეთ... უმჯობესია: **ყოველივე ეს** აისახა ჩვენს ცხოვრებაზე; **ყოველივე ამან** თავი მოგვაბეზრა; **ყოველივეს (ამას)** ახლავე მოგახსენებთ; **ყოველივე ამის** გამო ძალიან დავიღალეთ...

ეტიკეტი: ეტიკეტური [და არა ეთიკეტი, ეთიკეტური]

ეტიმოლოგია – ეტიოლოგია; ეტიმოლოგია: ლინგვ. ენათმეცნიერების დარგი, რომელიც სიტყვის წარმომავლობას სწავლობს; **ეტიო-**

ლოგია: 1. მოძღვრება დაავადებათა მიზეზების შესახებ, 2. ამა თუ იმ დაავადების გამომწვევი მიზეზი

ეუთო: ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია

ეუცხოება (მეუცხოება, გეუცხოება); ეუცხოვა; ეუცხოოს

ეფექტი: ეფექტური

[ექვივალენტი, ექვივალენტური კი არა] **ეკვივალენტი: ეკვივალენტური**

ექო [და არა ეხო]

ექოსკოპია [და არა ეხოსკოპია]

ექსკლუზივი: ექსკლუზიური (ექსკლუზიური ინტერვიუ: ამა თუ იმ ჟურნალის, გაზეთის, ტელევიზიისა და რადიოსათვის საგანგებოდ მიცემული ინტერვიუ)

ექსკურსი: ძირითადი საკითხისაგან გადახვევა გზადაგზა წამოჭრილი სხვა საკითხების გასაშუქებლად; წიაღსვლა (ვრცელი **ექსკურსის** შემდეგ მომხსენებელი დაუბრუნდა მთავარ საკითხს)

ექსკურსია: საექსკურსიო

ექსპანსია (ახალი ტერიტორიების დაპყრობისაკენ მისწრაფება): **ექსპანსიური**

ექსპატრიაცია // ექსპატრიირება: სამშობლოდან გასახლება, ჩვეულებრივ, მოქალაქეობის გამოცვლით

ექსპერიმენტი: ექსპერიმენტული

ექსპერტი: ექსპერტული; საექსპერტო

ექსპლუატატორი: ექსპლუატატორული

ექსპლუატაცია: ექსპლუატაციური

ექსპლუატირება: ექსპლუატირებული

ექსპოზიცია (ექსპოზიციის¹)

ექსპონატი (მუზეუმში გამოსაფენი საგანი) –

ექსპონენტი (ექსპონატის მფლობელი; გამომგენი)

ექსპორტი: ექსპორტული // საექსპორტო

ექსპორტიორი [და არა ექსპორტერი]

ექსპორტირება: ექსპორტირებული

ექსპრეზიდენტი

ექსპრესია: ექსპრესიული

ექსპრესიულობა [და არა ექსპრესულობა]

ექსპრომტი (ექსპრომტად)

ექსტენსიური (ექსტენსიურად)

ექსტერიერი

[ექსტერიტორიალობა კი არა] **ექსტერიტორიულობა**

ექსტერნი: მოსწავლე, რომელიც სასწავლებელში არ ირიცხება და ისე აბარებს გამოცდას

ექსტრავაგანტური: არაჩვეულებრივი, უცნაური

ექსტრაორდინარული

ექსტრემალური // ექსტრემული

ექსტრემისტი: ექსტრემისტული

ექსცენტრიკი // ექსცენტრიკოსი

ექსცენტრიკული

ეწია (იგი ბედს) – **ეწვია** (სტუმარი მას)

ეჭიდავება; ეჭიდავა; ეჭიდაოს (ვეჭიდაო, ეჭიდაო)

ეხვეწება; შეეხვეწება; შეეხვეწა; შეეხვეწენ [და არა შეეხვეწეს]

[ეხლა, ეხლავე კი არა] **ახლა, ახლავე**

[ეხლანდელი კი არა] **ახლანდელი**

[ეხლახან, ეხლახანს კი არა] **ახლახან**

[ეხო კი არა] **ექო**

[ეხოსკობია კი არა] **ექოსკობია**

3

ვა-ბანკი

ვავადმყოფობ [და არა ავადმყოფობ]

ვალუტა [და არა ვალიუტა]

ვარდება (ერთი), მაგრამ: **ცვივა** (ბევრი): სუბიექტის რიცხვის მიხედვით ფუძემონაცვლე ზმნებია

ვარდისფერი (ვარდისფრად)

ვარიანტი: ვარიანტული

ვარიაცია (ვარიაციის¹): **ვარიაციული**

ვარიირება

ვარიირებს; ვარიირებდა

ვაქცინა (ვაქცინის¹): **სავაქცინო**

ვაჭარი (ვაჭრის¹): **ვაჭრული**

ვახშამი (ვახშმის¹, ვახშმად)

ვგავარ [და არა ვგევარ], **ვღვავარ** [და არა ვღვევარ], **ვყავარ** [და არა ვყევარ]: **ვარ, ხარ** მეშველი ზმნებით ნაწარმოები რამდენიმე ზმნის I და II პირის ფორმებში – **ვღვავარ, ღვახარ; ვგავარ, ჰგავხარ; ვყავარ, ჰყავხარ** – ზოგჯერ ფუძისეული ა ხმოვნის ნაცვლად ე-ს ხმარობენ, თუმცა III პირის ფორმა ცხადყოფს შეცდომას (შ დ რ.: **ღვას, ჰგავს, ჰყავს**)

ვეგეტარიანელი; ვეგეტარიანელობა

ვეგეტატიური (ნევროზი) – **ვეგეტაციური** (გამრავლება)

ვეებერთელა (ვეებერთელას¹)

ვენა (ვენის¹): **ვენების დაავადება**

ვერანდა (ვერანდის¹)

ვერნისაჟი

ვერცხლისფერი (ვერცხლისფრად)

ვესტიბული

ვეტერანი: ვეტერანული

ვეტერინარი: ვეტერინარული; სავეტერინარო

ვეტო (ვეტოს¹): აკრძალვის უფლება (ოფიციალური)

ვთანამშრომლობ(თ) [და არა თანავშრომლობ(თ)]

[ვიბეჭდები (ჟურნალში...) კი არა] **ვბეჭდავ** (ჟურნალში... სტატიას...) ან **იბეჭდება** (ჟურნალში... ჩემი სტატია...). ზეპირ მეტყველებაში დროდადრო ისმის: **ვიბეჭდები, ვყალიბდები, ვკონკრეტდები, ვმეორდები**, რაც მხოლოდ შემდეგ კონტექსტებშია მართებული: **ვყალიბდები პიროვნებად; ვიბეჭდები ლექსი** (გაპიროვნებისას)...

ვიზა (ვიზის¹); **ვიზირება: ვიზირებული**

ვიზიტი; ვიზიტორი [და არა ვიზიტორი]

ვიზუალური (მხედველობითი)

ვინ (სახ. ვინ, მოთხრ. ვინ, მიც., ნათ. ვის...)

ვინმე (მოთხრ. ვინმემ, მიც., ნათ. ვინმეს, მოქმ. ვინმეთი, ვით. ვინმედ, მრ. ვინმეები)

ვირტუოზი (რაიმე საქმეში უაღრესად დახელოვნებული ადამიანი): **ვირტუოზული**

ვისაღმი // ვისღამი

ვისზე [და არა ვიზე] (ფიქრობ); **ვისში** (შეგაქვს ეჭვი)

ვილა (// **ვინლა**) (მოთხრ. ვილამ, მიც. ვილას (// ვისლა), ნათ. ვილას¹, მოქმ. ვილათი, ვით. ვილად)

ვილაცა (ვილაცის¹ [// ვილაცას¹], მრ. ვილაცები) [და არა ვილაცეები]

ვკივი [და არა ვკივივარ]: ზმნათა ერთ ჯგუფთან (**ვტირი, ტირი; ვყვირი, ყვირი; ვმღერი,**

მღერი; ვკივი, კივი; ვჩივი, ჩივი; ვბღავი, ბღავი; ვჩხავი, ჩხავი...) პირველ და მეორე პირში დამხმარე ზმნების (**ვარ, ხარ; ვართ, ხართ**) გამოყენება ზედმეტია

[ვკონკრეტდები (ამ საკითხთან დაკავშირებით) კი არა] **ვაკონკრეტებ** (ამ საკითხს)

[ვმეორდები (მსჯელობაში...) კი არა] **ვიმეორებ** (მსჯელობაში... ამა თუ იმ აზრს)

ვმღერი, მღერი [და არა ვმღერივარ, მღერი-ხარ]; იხ. **ვკივი**

[ვნათელყოფ კი არა] **ნათელყოფ**

ვოიაჟი; ვოიაჟორი

ვრცელი (ვრცლად)

[ვსრულყოფ კი არა] **სრულყოფ**

ვსხედვართ (ჩვენ) [და არა ვზივართ]: **ზის და სხედან** სუბიექტის რიცხვის მიხედვით ფუძემონაცვლე ზმნებია; **ვზივართ, ზიხართ, ზიან** უმართებულო ფორმებია. ერთადერთი გამონაკლისი, როდესაც **ზიხართ** შეიძლება სწორად იხმარებოდეს, ის შემთხვევაა, როცა II პირის ფორმა ერთს აღნიშნავს, მაგრამ მას თქვენობით მიმართავენ (მაგ.: ქალბატონო, **თქვენ** ახალშედებილ სკამზე **ზიხართ**)

ვტირი, ტირი [და არა ვტირივარ, ტირიხარ]; იხ. **ვკივი**

ვტყუი, ტყუი [და არა ვტყუივარ, ტყუიხარ]; იხ. **ვკივი**

[ვუარყოფ კი არა] **უარყოფ**

[ვუგულებელყოფ კი არა] **უგულებელყოფ**
 [ვუზრუნველყოფ კი არა] **უზრუნველყოფ**
 [ვუკვდავყოფ კი არა] **უკვდავყოფ**
ყყავარ, ჰყავხარ [და არა ვყევარ, ყევხარ]; იხ.
ვგავარ
ვყვირი, ყვირი [და არა ვყვირივარ, ყვირი-
 ხარ]; იხ. **ვკივი**
 [ვშეურაცხყოფ კი არა] **შეურაცხყოფ**
ვშუამავლობ [და არა შუავმავლობ]
ვშუამდგომლობ [და არა შუავმდგომლობ]
ვჩივი, ჩივი [და არა ვჩივივარ, ჩივიხარ]; იხ.
ვკივი
 [ვცხადყოფ, ვცხადყოფ კი არა] **ცხადყოფ**
ვხელმძღვანელობ [და არა ხელვმძღვანე-
 ლობ]
 [ვხელყოფ კი არა] **ხელყოფ**

ზ

[ზაგარი მიიღო კი არა] **გაირუჯა** (მზეზე)
 - **ზე**: ეს თანდებული ხშირად უმართებულოდ
 გამოიყენება: მუშაობს **ბენზინზე**, **გაზზე** (უნ-
 და იყოლს: **ბენზინით**, **გაზით**); გამოცდა **სიმ-
 ტკიცზე** (უნდა იყოლს: **სიმტკიცის** გამოცდა);
გიორგიზე არ მივითხავს, იცის თუ არა ეს ამ-

ბავი. უნდა იყოლს: **გიორგისთვის** არ მივი-
 თხავს, იცის თუ არა ეს ამბავი, მაგრამ: სწო-
 რედ **გიორგიზე** (გიორგის შესახებ) მოგახსე-
 ნებდით

ზებრა (ზებრას^ი)
ზეგაულება // ზემოქმედება
ზელს; ზილა; უზელია
ზემთ [და არა ზემოდ] // **ზევით**, მაგრამ:
 როგორც **ზემთ აღნიშნეთ...**
 [ზიან კი არა] **სხედან**; იხ. **ვსხედვართ**
 [ზილავს კი არა] **ზელს**
ზის (ის), მაგრამ: **სხედან** (ისინი): სუბიექტის
 რიცხვის მიხედვით ფუძემონაცვლე ზმნებია;
 იხ. **ვსხედვართ**
ზმნა (ზმნის^ა): **ზმნური**
ზოგიერთი საკითხი, ბავშვი... [და არა ზო-
 გიერთი საკითხები, ბავშვები...]; იხ. **ამდენი**
ზოგი წიგნი, მეგობარი... [და არა ზოგი
 წიგნები, მეგობრები...]; იხ. **ამდენი**
ზრდის; ზრდიდა; ზრდიდეს
ზურმუხტი სფერი (ზურმუხტისფრად)

თ

-თა-გან: ასეთი დაბოლოებით, ჩვეულებრივ, ნათესაობითი ბრუნვის **-გან** თანდებულიანი ფორმები იხმარება მრავლობით რიცხვში: **ბავშვთაგან, დამსწრეთაგან...** (შდრ.: **ბავშვ-თა-გან-ი, დამსწრე-თა-გან-ი** და მისთ.). **ჩვენ, თქვენ, მათ** თავისთავად მრავლობითის გამომხატველი ფორმებია, ამიტომ **-გან** თანდებულიანი წინ მრავლობითის **-თა** სუფიქსი აქ ზედმეტია. უნდა იყოს: **ჩვენგანი, თქვენგანი, მათგანი** [და არა ჩვენთაგანი, თქვენთაგანი, მათთაგანი]

თავგადასავალი (თავგადასავლის^ა): **სათავგადასავლო**

თავლები; თავლებობა [და არა თავმდები, თავმდებობა]

თავმდგომი [და არა თავსმდგომი]

თავური [და არა თაური] (დარტყმა)

თავშესაფარი (თავშესაფრის^ა)

თალმუდი; თალმუდიზმი; თალმუდიისტი

თამადა (თამადის^ა); **სათამადა**

თანამდები (ძვ. მოვალე) – **თანამდევნი** (რაც ან ვინც თან სდევს ვინმეს)

თანამონაწილე (თანამონაწილის^ა)

თანამოსაუბრე (თანამოსაუბრის^ა)

თანაუგრძნობს [და არა უთანაგრძნობს]

თაოსანი // ინიციატორი

თარგმანი – თარგმნა: თარგმანი (თარგმანის^ა): ერთი ენიდან მეორეზე გადაღებული ტექსტი ან სიტყვა („ვეფხისტყაოსნის“... რუსული **თარგმანი**); **თარგმნა** (თარგმნის^ა): ერთი ენიდან მეორეზე გადაღება („ვეფხისტყაოსნის“... რუსულად თარგმნა იოლი არ არის)

თასმა (თასმის^ა)

თაყვანება (თაყვანების^ა) // **თაყვანისცემა**

თაყვანიშემცემელი (თაყვანისმცემლის^ა); **თაყვანიშემცემლობა**

თბილისელი (თბილისელის^ა, მრ. თბილისელები): ამ ტიპის სახელები **სასაუბრო მეტყველებაში** შეკუმშული ვარიანტებითაც გვხვდება (ძირითადად მრავლობით რიცხვში): **თბილისლები, ქუთაისლები, ბათუმელები, სოხუმელები...**

თეატრი: სათეატრო

თეატრალი; თეატრალური

თეატრალიზებული

თებერვალი (თებერვლის^ა)

თემა (თემის^ა) – **თემატიკა** (თემატიკის^ა);

თემა: საკითხი, რომელსაც ეხება თხზულება, საუბარი; **თემატიკა:** თემათა ერთობლობა, თემათა სისტემა

თვალი (თვალის^ა, მრ. თვალები): მხედველობის ორგანო, მაგრამ: **თვალი** (თვლის^ა, მრ. თვლები): ძვირფასი ქვა; ურმის ბორბალი

თვე (თვის^ა, მრ. თვეები); **თვიური** (ხელფასი)

თვისება (თვისების^ა): **თვისებრივი**
თითოეული [და არა თვითოეული, თვითეული,
თითეული]
თონე (თონის^ა) // **თორნე** (თორნის^ა)
[თოქშოუ, ტოვშოუ კი არა] **ტოქშოუ**
თრომბი [და არა ტრომბი]
**თქვენ გამო / გარდა / გვერდით / მიერ / შე-
სახებ / წინაშე...** [და არა თქვენს გამო /
გარდა / გვერდით / მიერ / შესახებ / წინაშე...]
თქვენგანი [და არა თქვენთაგანი]; იხ. -**თა-
გან**
თქვენი მხრიდან [და არა თქვენის მხრიდან]
თხელი (თხლად)
[თხოვს კი არა] **სთხოვს**
თხუნელა (თხუნელას^ა)



იაღვარი (იაღვარის^ა)
იავარყოფს (იავარყოფი, იავარყოფი)
იავნანა (იავნანას^ა)
[იამა კი არა] **ეამა**
იარა (იარის^ა)
იაჰვე (// იელოვა)
იგებს [და არა გებულობს]

იგივე; მსაზღვრელად ხმარებისას: **იგივე** საკი-
თხი, **იმავე** საკითხმა / საკითხს / საკითხის /
საკითხით / საკითხად
იგნორირება: იგნორირებული
იდაყვი [და არა ნიდაყვი]
იღვება; იღვა (ვიღექი, იღექი); **იღვეს**
იღვა (იღვის^ა): **იღეური; იღეურობა**
იღვალე: იღვალური [და არა იღვალური]
იღვალესტი: იღვალესტური
იღენტური; იღენტურობა
იღეოგრაფია: იღეოგრაფიული (წერა)
იღეოლოგია: იღეოლოგიური
იდილია: იდილიური
იეზიდი: იეზიდური
იეზუიტი: იეზუიტური; იეზუიტობა
იერარქია (იერარქიის^ა): **იერარქიული**
იეროგლიფი: იეროგლიფური
იეროგლიფიკა: იეროგლიფიკური
იერსახე (იერსახის^ა)
იზამს [და არა იზავს]; იხ. **აბამს**
ითმენს; ითმინა; უთმენია
იისფერი (იისფრად)
ილუზია (ილუზიის^ა): **ილუზიური // ილუზო-
რული**
იმათგანი [და არა იმათთაგანი]; იხ. -**თა-გან**

იმათ თქვეს [და არა იმათმა თქვეს]; იხ. **მათ თქვეს**

იმანვე [და არა იგივემ]; **იმასვე** [და არა იგივეს]; **იმისვე** [და არა იგივესი]; **იმით-ვე** [და არა იგივეთი]; **იმაღვე** [და არა იგივედ]

იმატებს; იმატა; უმატია

იმღენი / მაგღენი / რამღენი ბავშვი, ამბავი, წიგნი... [და არა იმღენი / მაგღენი / რამღენი ბავშვები, ამბები, წიგნები...]; იხ. **ამღენი**

იმიჯი; იმიჯმეიკერი

იმპერატივი: იმპერატიული

იმპერია (იმპერიის^ა): **იმპერიული**

იმპინენტი

იმპორტი: იმპორტული

იმპორტიორი

იმპორტირება: იმპორტირებული

იმპროვიზაცია (იმპროვიზაციის^ა): 1. რამის (მაგ., მუსიკალური ნაწარმოების, ლექსის...) შეთხზვა შესრულების მომენტში წინასწარ მოუმზადებლად; 2. ასე შექმნილი ნაწარმოები; 3. საუბ. გადატ. რამის მოწყობა მოუმზადებლად, სახელდახელოდ

იმპროვიზაციული

იმპროვიზება: იმპროვიზებული [და არა იმპროვიზირება, იმპროვიზირებული]

იმპულსი: 1. ფიზიკ. უნებლიე მოძრაობა, ნერვის გაღიზიანებით გამოწვეული; 2. ბიძგი,

მოტივი, მიზეზი, რომელიც ადამიანის რაიმე მოქმედებას იწვევს

იმპულსური; იმპულსურობა

იმტვრევა (ბევრი), მაგრამ **ტყდება** (ერთი): სუბიექტის რიცხვის მიხედვით ფუძემონაცვლე ზმნებია

[იმფანტილიზმი, იმფანტილური კი არა] **ინფანტილიზმი, ინფანტილური**

[იმფლაცია კი არა] **ინფლაცია**

[იმფორმანტი, იმფორმატიკა, იმფორმაცია, იმფორმირებული კი არა] **ინფორმანტი, ინფორმატიკა, ინფორმაცია, ინფორმირებული**

იმყოფება: ზეპირ მეტყველებაში ხშირად ისმის: მუზეუმი (უნივერსიტეტი, ცირკი...) **იმყოფება** ცენტრალურ ქუჩაზე. უნდა იყოს: მუზეუმი (უნივერსიტეტი, ცირკი...) **მდებარეობს ცენტრალურ ქუჩაზე, მაგრამ:** შვებულებაში **იმყოფებოდა;** ამჟამად თეატრის დასი საგასტროლოდ **იმყოფება...**

ინაუგურაცია (ინაუგურაციის^ა) [და არა ინაგურაცია]

ინგრედიენტი

ინდიელი – ინდოელი; ინდიელები: ამერიკის მკვიდრი ტომები; **ინდოელები:** ინდოეთის ძირითადი მოსახლეობა

ინდივიდი; ინდივიდუალური

ინდიკატორი: 1. საზომი ხელსაწყო მანქანებში;
2. ქ.ი.მ. ნივთიერება, რომელიც ამჟღავნებს ამა
თუ იმ ქიმიური ნაერთის თვისებას (მაგ.,
ლაკმუსი)

ინდიფერენტიზმი [და არა ინდიფერენტიზმი]

ინდიფერენტული [და არა ინდიფერენტული]

ინდუქცია: ინდუქციური

ინდუცირება: ინდუცირებული

ინებე(თ): თავაზიანი ფორმაა თხოვნა-ბრძანე-
ბის გამომხატველი ზმნებისა – **აიღე(თ),**
გამოშართვი(თ)

ინერტული; ინერტულობა

ინერცია: ინერციული

ინვესტიცია // ინვესტირება (კაპიტალის გრძელ-
ვადიანი დაბანდება): **ინვესტირებული**

ინვესტორი

ინიციალები (მ რ.)

ინიციატივა // თაოსნობა

ინიციატორი // თაოსანი

ინკასანტი: პირი, რომელიც ურიცხავს ბანკს
თანხას ინკასოს წესით გასაცემად; შ დ რ.: **ინ-**
კასატორი: მოლარე, რომელიც იღებს ან გა-
სცემს ფულს

ინკასაცია // ინკასირება: სათანადო დოკუმენ-
ტის წარდგენით ფულის მიღება

ინკასო: ფულის მიღება ბანკის დავალებით

ინჟინერი (ინჟინრის^{რა}): **საინჟინრო; ინჟინ-**
რული

ინსპექტირება: ინსპექტორული მეთვალყურე-
ობის გაწევა; რაიმე დაწესებულების, ორგანი-
ზაციის საქმიანობის შემოწმება

ინსპექტორი: ინსპექტორული

ინსპირაცია: 1. ვინმესთვის რამის შთაგონება;
2. წაქეზება, შეგულიანება

ინსპირირება: ინსპირირებული

ინსტანცია: ერთმანეთს დაქვემდებარებული
საფეხურები (სასამართლო, ადმინისტრაცი-
ული და სხვ.)

ინსტინქტი; ინსტინქტური; ინსტინქტურად
[და არა ინსტიქტი, ინსტიქტური, ინსტიქ-
ტურად]

ინსტრუმენტი: ინსტრუმენტული [და არა
ინსტრუმენტალური]

ინსტრუმენტირება: მ უ ს. მუსიკალური ნაწარ-
მოების გადაღება ინსტრუმენტული ანსამ-
ბლისა ან ორკესტრისათვის

ინსტრუქცია (ინსტრუქციის^{რა}): **ინსტრუქცი-**
ული

ინტეგრაცია // ინტეგრირება: ინტეგრირებუ-
ლი

ინტელექტი

ინტელექტუალი: ინტელექტუალური

ინტელექტუალიზებული

ინტელიგენტი: ინტელიგენტური

ინტელიგენცია [და არა ინტელეგენცია, ინტილიგენცია]

ინტენდანტი

ინტერვიუ; ინტერვიუერი

ინტერნატი – ინტერნეტი; ინტერნატი: მოსწავლეთა საერთო საცხოვრებელი (სასწავლებელთან არსებული); **ინტერნეტი:** მსოფლიოს საინფორმაციო კომპიუტერული ქსელი

ინტერპოლი: სისხლის სამართლის პოლიციის საერთაშორისო ორგანიზაცია

ინტერპრეტაცია // ინტერპრეტირება; ინტერპრეტატორი

ინტრიგა (ინტრიგის^ა); **ინტრიგანი: ინტრიგანული; ინტრიგანობა**

ინტუიცია: ინტუიციური [და არა ინტუიტიური]

ინფანტილიზმი (ინფანტილიზმმა); **ინფანტილური**

ინფილტრაცია [და არა იმფილტრაცია]

ინფლაცია [და არა იმფლაცია]; **ინფლაციური**

ინფორმატიკა (ინფორმატიკის^ა)

ინფორმაცია: ინფორმაციული; საინფორმაციო

ინფორმირება: ინფორმირებული

ინციდენტი [და არა ინცინდენტი]

იპოვის; იპოვა; უპოვია [და არა იპოვნის, იპოვნა, უპოვნია]

იპოთეკა: იპოთეკური

ირაო: წარნარად ფრენა (დიდი ფრინველისა)

ირქმევს (სახელს)

ისვამს [და არა ისვავს, ისმევს]; იხ. **აბამს**

ისტერია (დაავადება): **ისტერიული** (ისტერიული ავადმყოფი) – **ისტერიკა** (დაავადების შეტევა); **ისტერიკული** (ისტერიკული შეტევა, მდგომარეობა, სიცილი)

ისტერიკულად (იცინის)

ისწრაფვის; ისწრაფოდა

იუმორი

იუმორისტი: იუმორისტული

იუმორისტიკა: იუმორისტიკული (ლიტერატურა)

იუნესკო (იუნესკოს^ა): გაერთიანებული ერების ორგანიზაცია განათლების, მეცნიერებისა და კულტურის დარგში

იქნეს (ვიქნე, იქნე)

ილბალი (ილბლის^ა)

იღებს (ავადმყოფს ექიმი)

იღვწის; იღვწოდა; იღვწოდეს; იღვაწა; უღვაწა

იყიდდა [და არა იყიდიდა]

იშვიათი (იშვიათად) [და არა საიშვიათო, საიშვიათოდ]

იშოვის; იშოვა; უშოვია [და არა იშოვნის, იშოვნა, უშოვნია]

იცვამს [და არა იცმევს], მაგრამ: **აცმევს**
(ბავშვს ტანსაცმელს)

იცხებს (შუბლზე ზეთს) – **იცხობს** (თავისთვის
ნამცხვარს)

იძახის: ზეპირ მეტყველებაში ეს ფორმა ხშირად
გამოიყენება **ამბობს**, **ამტკიცებს** ზმნების პა-
რალელურად ან მათ მაგივრად: **ისინი სულ
იძახიან, რომ...** (უნდა იყოს: **ამბობენ,
ამტკიცებენ, რომ...**); **მე ვიძახი, რომ...** (უნდა
იყოს: **ვამბობ, ვამტკიცებ, რომ...**); **წინასწარ
იძახი** (უნდა იყოს: **ამბობ, ამტკიცებ**) და ა. შ.
იძახის ნიშნავს **ხმამაღლა, ყველას გასაგონად
თქმას, დაძახებას, ყვირილს**. უმართებულოა
იძახის ზმნის გამოყენება ნეიტრალური **ამ-
ბობს** ან **ამტკიცებს** ზმნათა მნიშვნელობით

იწვება; იწვა (ვიწექი, იწექი)

იწვება // იწვის; იწვებოდა // იწვოდა (შეშა)

იწყებს (მუშაობას) – **იწყობს** (წიგნებს თავის-
თვის)

იხმარება [და არა ხმარებაშია]; იხ. [**ხმარება-**
ში...]

ინოცება (ბევრი), მაგრამ: **კვდება** (ერთი): სუ-
ბიექტის რიცხვის მიხედვით ფუძემონაცვლე
ზმნებია

3

[კაზარმა კი არა] **ყაზარმა** (ყაზარმის^ა)

კათოლიკე (კათოლიკის^ა)

კათოლიკოსი (**კათოლიკოს**–პატრიარქი ილია II)

// **კათალიკოსი** (ანტონ **კათალიკოსი**)

კამარა (კამარის^ა)

კამეა (კამეის^ა)

კამელია (კამელიის^ა)

კამერა (კამერის^ა): **კამერული**

კამპანია – **კომპანია; კამპანია**: ერთობლივ,
კოლექტიურ ღონისძიებათა მიმდინარეობა
(საარჩევნო **კამპანია**) ან ერთ საბრძოლო ასპა-
რეზე გაჩაღებული ომი, ლაშქრობა, რომე-
ლიც სათანადო გეოგრაფიულ სახელს უკავ-
შირდება (ყირიმის **კამპანია**); **კომპანია**: სა-
ვაჭრო, სამრეწველო, სატრანსპორტო და სხვა
სახის გაერთიანება, ამხანაგობა (მაგ., ავია-
კომპანია). მსგავსი გაერთიანებებია: **ფირმა,
სინდიკატი, ტრესტი...** **კომპანია** აღნიშნავს აგ-
რეთვე მეგობარ-ამხანაგთა საზოგადოებას
(მაგ., თქვენს **კომპანიაში** თავს კარგად
ვგრძნობ)

[კამპანიონი კი არა] **კომპანიონი**

[კამპოტი კი არა] **კომპოტი**

კანდიდატი – **კანდიდატურა; კანდიდატი**:

1. პირი, რომელიც დასახელებულია რაიმე

თანამდებობაზე ასარჩევად, დასანიშნად ან მისაღებად (დეპუტატობის **კანდიდატი**, დირექტორობის **კანდიდატი**); 2. სამეცნიერო ხარისხი (მედიცინის მეცნიერებათა **კანდიდატი...**); **კანდიდატურა**: კანდიდატად წარდგენა (მხარს ვუჭერთ თავმჯდომარის **კანდიდატურას**; მისი **კანდიდატურა** მისაღებია)

კანიბალი: 1. კაციჭამია ველური; 2. გადატ. დაუნდობელი, სისხლისმსმელი ადამიანი

კანტატა (კანტატის^ა)

კანფეტი (კანფეტმა) – **კონფეტი** (კონფეტიმ);

კანფეტი: საკონდიტრო ნაწარმი, ტკბილეული; **კონფეტი**: ქალაქის ფერად-ფერადი პაწაწინა, მრგვალი ნაჭრები, რომლებსაც საზეიმო შეხვედრებზე გასართობად თავზე აყრიან ერთმანეთს

კანცელარია: **კანცელარიული**

კანცეროგენური

კაპიტულაცია

[კარაკული კი არა] **კრაველი**

(**კარალიოკი** //) **კოროლიოკი**

კარგი! [და არა კარგით!]: ამ სიტყვას სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს და მათ შორის ერთ-ერთია **თანხმობის გამოსატყა**. მის სინონიმად გამოიყენება აგრეთვე **კეთილი**. ზეპირ მეტყველებაში **კარგის** ამ ფუნქციით ხმარებისას ზოგჯერ ისმის მრავლობითის -თ დაბოლოება: **კარგით!** (თავაზიანობის ელფერის

შესამატებლად), რაც გაუმართლებელია: აღნიშნული დაბოლოება ზმნის მრავლობითობის მაწარმოებელია და არა სახელისა. **კარგით** უმართებულო ფორმაა (ისევე, როგორც **ბოდიშით!**)

კარდინალური [და არა კარდინარული]

კარდიოლოგი(ა) [და არა კარდეოლოგი(ა)]:

კარდიოლოგიური

[კარდონი კი არა] **მუყაო**

კარი (მრ. კარები)

კარიესი (კარიესს)

კასტინგი: კანდიდატურის შერჩევა (ფილმში, მოდის ჩვენებაზე)

კაფე (კაფეს^ი)

კაფია (კაფიას^ი)

კაშნე (კაშნეს^ი)

კბეჩს [და არა კბიჩავს, კბეჩავს]

კეთილინებეთ [და არა ნება იბოძეთ],

მაგრამ: **ნება მიბოძეთ**

კენჭისყრა [და არა კენჭისყრები]; იხ. **მუსიკა**

კერა (კერის^ა)

კერამიკა: **კერამიკული**

კერია (კერიის^ა)

კერკეტა // **კერკეტი**

კერპი [და არა კუმირი]

კერპობს (**კკერპობ**, **კერპობ**); **კერპობდა**;

კერპობდეს

კვალიტატიური (თვისებრივი) – **კვანტიტატიური** (რაოდენობრივი)

კვალიფიკაცია 1. საგნების, მოვლენების განსაზღვრა, შეფასება; 2. პროფესიული ცოდნის დონე; **კვალიფიკაციური**: კვალიფიკაციასთან (მნიშ. 1) დაკავშირებული; კვალიფიკაციის გამრკვევი, განმსაზღვრელი; შდრ.: **კვალიფიციური**: მაღალი კვალიფიკაციის (მნიშ. 2) მქონე; დაოსტატებული, დახელოვნებული

კვართი (კვართთან): პერანგი

კვარტალი: **კვარტალური** (ანგარიში)

კვარცხლბეკი // **პიედესტალი**

[კვასი კ ი არ ა] **ბურახი**

კვლევა (კაცი), მაგრამ: **იხილება** (ხალხი): სუბიექტის რიცხვის მიხედვით ფუძემონაცვლე ზმნებია

კვეთს (ის გზას), მაგრამ: **ჰკვეთს** (ის მას თავს)

კვერთხი; **კვერთხიანი**

კვირა (კვირის^ა, მრ. კვირები)

კვორუმი [და არა ქვორუმი]

კვოტა [და არა ქვოტა]

კიღია (ფარდა), მაგრამ: **ჰკიღია** (მას ჯვარი)

კივი [და არა კივიხარ]; იხ. **კვივი**

კივი (კვივი, მიც. კივის, მრ. კივიები): ეგზოტიკური ხილი

[კითხავს, კითხა კ ი არ ა] **ჰკითხავს**, **ჰკითხა**

კი(ი) (კვივი, მიც. კიის): ბილიარდის სათამაშო ჯოხი

კინოფილმი „მამლუქი“, **კინოფილმმა** „მამლუქმა“; **კინოფილმი** „მამლუქს“ / „მამლუქის“ / „მამლუქით“ / „მამლუქად“; „მამლუქში“, მაგრამ: **კინოფილმი** / **კინოფილმმა** / **კინოფილმს** / **კინოფილმის** / **კინოფილმით** / **კინოფილმად**; **კინოფილმში** „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“

კლავს (ერთს), მაგრამ: **ხოცავს** (ზევრს): ობიექტის რიცხვის მიხედვით ფუძემონაცვლე ზმნებია

კლდე (კლდის^ა)

კლიენტი: მუდმივი მუშტარი, დამკვეთი (საპაროკმახეროს, ადვოკატის, სავაჭრო ორგანიზაციის... **კლიენტი**); შდრ.: **ჰაციენტი**: ავადმყოფი მკურნალი ექიმისათვის

კოლაჟი

კოლიზია (კოლიზიის^ა): საპირისპირო ძალებისა თუ ინტერესების შეჯახება

კოლოკვიუმი (კოლოკვიუმმა) [და არა კოლოქვიუმი]

კოლონა (კოლონის^ა)

კოლონადა (კოლონადის^ა)

კოლონია: **კოლონიური**

კოლოსეუმი [// **კოლიზეი**]

კომბინატორი: **კომბინატორული**

კომბინაცია: **კომბინაციური**

კომისია: **საკომისიო**

კომპანია – კამპანია; იხ. **კამპანია** – **კომპანია**

კომპანიონი [და არა კამპანიონი]

კომპაქტური; **კომპაქტურობა**

კომპენსაცია; **კომპენსირება**: **კომპენსირებული**

კომპეტენტური; **კომპეტენტურობა**

კომპეტენცია

კომპილაცია (ნაშრომი, რომელიც აგებულია სხვადასხვა ავტორისაგან ნასესხები მასალებით და არ შეიცავს დამოუკიდებელ გამოკვლევასა და დასკვნებს): **კომპილაციური**

კომპიუტერი: **კომპიუტერული**; **საკომპიუტერო**

კომპიუტერიზაცია

კომპლექსი – **კომპლექტი**; **კომპლექსი**:

1. ერთგვაროვან საგანთა ან მოვლენათა ერთობლიობა, რომელიც ერთ მთლიანს წარმოადგენს (სწავლებასთან დაკავშირებულ საკითხთა **კომპლექსი**);
2. არქიტ. ნაგებობათა წყება, რომელთაც საერთო დანიშნულება აქვთ (საცხოვრებელ შენობათა **კომპლექსი**);
3. ლინგვ. რამდენიმე ბგერისაგან შედგენილი ჯგუფი (თანხმოვანთა ბუნებრივი **კომპლექსი**); **კომპლექტი**: სრული შემადგენლობა, სრული რიცხვი საგანთა, რომლებიც გარკვეული დანიშნულებით იხმარება (სახელმძღვანელოების სრული **კომპლექტი**)

კომპლექსური – **კომპლექტური**; **კომპლექსური**:

სური: ერთმანეთთან დაკავშირებული, შეთანხმებული, მთლიანი (**კომპლექსური** ღონისძიებები); **კომპლექსური მეთოდი**: სწავლების მეთოდი, რომლის მიხედვითაც სხვადასხვა საგნის სწავლება სისტემურად, ერთმანეთთან მიმართებით ხდება; **კომპლექტური**: სხვადასხვა საგნისაგან შედგენილი (**კომპლექტური** პროდუქტი)

კომპლექცია: სხეულის აგებულება, მოყვანილობა

კომპლიმენტი: **კომპლიმენტური** [და არა კონპლიმენტი, კონპლიმენტური] // **ქათინაური**

კომპოტი

კომპრესი (კომპრესს)

კომპრომეტაცია // **კომპრომეტირება**: **კომპრომეტირებული** [და არა კომპრომენტაცია, კომპრომენტირება, კომპრომენტირებული]

კომპრომისი (კომპრომისს): **კომპრომისული**

კომუნიკე (კომუნიკეს^ი): 1. ოფიციალური ცნობა (მთავრობისა, პოლიტიკური ორგანიზაციისა) ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით; 2. ოფიციალური ცნობა სახელმწიფოთა მოლაპარაკების შედეგების შესახებ (შეიცავს მოლაპარაკების მონაწილე მხარეთა მიერ შეთანხმებულ ტექსტს)

[კომფედერატი, კომფედერაცია კი არა] **კონფედერატი; კონფედერაცია**
[კომფენსია, კომფენსიური, კომფენსიონალური კი არა] **კონფესია; კონფესიური; კონფესიონალური**
[კომფერანსი, კომფერანსიე კი არა] **კონფერანსი; კონფერანსიე**
[კომფერენცია კი არა] **კონფერენცია**
[კომფიგურაცია კი არა] **კონფიგურაცია**
[კომფიდენციალური კი არა] **კონფიდენციალური**
[კომფისკაცია, კომფისკებული კი არა] **კონფისკაცია; კონფისკებული**
[კომფლიქტი, კომფლიქტური კი არა] **კონფლიქტი; კონფლიქტური**
[კომფორმიზმი, კომფორმისტი კი არა] **კონფორმიზმი; კონფორმისტი**
კომფორტი; კომფორტული [და არა კონფორტი, კონფორტული]
[კომფრონტაცია კი არა] **კონფრონტაცია**
კონგლომერატი [და არა კონგლომერანტი]
კონდიცია; კონდიციური; კონდიციურობა
კონდიციონერი
კონვერტირება; კონვერტირებული
კონიექტურა – კონიუნქტურა; კონიექტურა: ძნელად გასარჩევი ტექსტის წაკითხვა;

კონიუნქტურა: 1. შექმნილი ვითარება, მდგომარეობა; 2. სასაქონლო მეურნეობის დამახასიათებელ ნიშან-თვისებათა ერთობლიობა
კონკრეტიზაცია // კონკრეტიზება; კონკრეტიზებული
კონსენსუსი [და არა კონსესუსი, კონცესუსი]
კონსოლიდაცია // კონსოლიდირება; კონსოლიდირებული [და არა კონსოლიდიზირებული]
კონსპირაცია (კონსპირაციის^ა): **კონსპირაციული**
კონსპირირება; კონსპირირებული
კონსულტაცია (კონსულტაციის^ა): **საკონსულტაციო**
კონტაქტი; კონტაქტური; საკონტაქტო
კონტექსტი; კონტექსტური
კონტინგენტი [და არა კონტიგენტი]
კონტინენტი; კონტინენტური
კონტრაბანდა; კონტრაბანდული
კონტრაბანდისტი; კონტრაბანდისტული
კონტრასტი; კონტრასტული
კონტრაქტი; კონტრაქტული; საკონტრაქტო
კონტროლირებული // გაკონტროლებული
კონფედერატი: კონფედერაციაში შემავალი სახელმწიფო ან ორგანიზაცია

კონფედერაცია: 1. ორგანიზაციათა კავშირი, გაერთიანება; 2. მუდმივი კავშირი დამოუკიდებელ სახელმწიფოთა, რომელთაც მოეპოვებათ საერთო ორგანოები (საგარეო პოლიტიკისა თუ სამხედრო საქმეების გასაძლელად)

კონფერანსი – კონფერანსიე (კონფერანსიეს¹); **კონფერანსი:** თეატრ. მოკლე საოხუნჯო მოთხრობა, რომელსაც კონფერანსიე ჰყვება (საზოგადოების გასართობად); **კონფერანსიე:** თეატრ. წარმოდგენის (საესტრადო, საცირკო...) მონაწილე პირი, რომელიც აცნობს მაყურებელს შესასრულებელი პროგრამის ნომერს და ამავდროულად ართობს მას (საკუთარი სახუმარო მონათხრობებით)

კონფერენცია: საკონფერენციო

კონფესია (კონფესიის¹): **კონფესიური**

კონფესიონალიზმი: ამა თუ იმ სარწმუნოებრივი მოძღვრების მტკიცე დაცვა

კონფიგურაცია: კონფიგურაციული

კონფიდენციალური (კონფიდენციალური საუბარი)

კონფისკაცია: ქონების იძულებითი, უსასყიდლო ჩამორთმევა

კონფისკებული: 1. ჩამორთმეული; 2. ხმარებიდან ამოღებული, აკრძალული

კონფლიქტი: 1. სერიოზული უთანხმოება, განხეთქილება; საწინააღმდეგო ინტერესების, შეხედულებათა, მისწრაფებათა შეჯახება;

2. ლიტ. საზოგადოებრივი წინააღმდეგობანი, უკუფენილი მხატვრულ ნაწარმოებში (პოემას საფუძვლად უდევს **კონფლიქტი** თემსა და პიროვნებას შორის)

კონფლიქტური

კონფორმიზმი; კონფორმიზტი

კონფორტაცია: კონფორტაციული

კონფუზი: უხერხულობის განცდა, დარცხვენა

კონცენტრატი [და არა კონცენტრანტი]:

1. გამდიდრებული მადანი; 2. საქონლის მეტად ყუათიანი საკვები (მარცვლეული, ქათო, ღერღილი...); 3. ნახევრად შემზადებული, გამხმარ-დაწნეხილი საკვები პროდუქტი ადამიანისათვის

კონცენტრაცია: 1. რამის მოგროვება, თავმოყრა, ერთად დაჯგუფება; 2. გადატ. რამეზე ყურადღების გამახვილება, მიპყრობა; 3. ქიმ. ხსნარის გაჯერების ხარისხის გაზრდა გამხსნელის რაოდენობის შემცირებით; 4. ქიმ. ხსნარის გაჯერების ხარისხი; 5. მთ.-მად. მადნეულიდან გამოყოფა მისი უფრო საჭირო ნაწილისა შემდგომი დამუშავების ან გამოყენების მიზნით; მადნეულის გამდიდრება

კონცენტრირება: კონცენტრირებული

კონცერტმაისტერი [და არა კონცერტმესტერი]

კონცესია: კონცესიური; კონცესიონერი

კონცეფცია: კონცეფციური (// კონცეპტუალური)

კოპალა (კოპალას¹): ხევსურთა და ფშაველთა წარმართული ღვთაება

[კოპიო კი არა] პირი // ასლი

კორესპონდენტი [და არა კორესპოდენტი]

კორესპონდენცია [და არა კორესპოდენცია]

კორექტივი – **კორექტურა**; **კორექტივი**: შესწორება (დადგენილების ტექსტში **კორექტივი** შეიტანეს); **კორექტურა**: 1. სტამბაში აწყობილი ტექსტის გასწორება (**კორექტურაზე** მუშაობს); 2. ანაწყობის ანაბეჭდი, რომელიც უნდა გასწორდეს (გამოგზავნეთ წერილის **კორექტურა**)

კორექტული – **კორექტურული**; **კორექტული**: სწორი, მოსაწონი (**კორექტული** საქციელი); **კორექტურული**: კორექტურასთან დაკავშირებული (**კორექტურული** შეცდომა)

კოროლიოკი (// კარალიოკი)

კორპორაცია: კორპორაციული

კორტეჟი

კორუფცია: კორუფციული

კორუფციონებული (// კორუმპირებული)

კოსმეტიკა: კოსმეტიკური

[კოსმიური კი არა] **კოსმოსური**

კოსმოგონია: კოსმოგონიური

კოსმოპოლიტი: კოსმოპოლიტური

კოსმოპოლიტიზმი (კოსმოპოლიტიზმმა)

კოსტიუმი [და არა კოსტუმი]

კრაველი [და არა კარაკული]

კრავს (ის ბარვს), მაგრამ: **ჰკრავს** (ის მას ხელს)

კრაზანა (კრაზანის¹)

კრებს – **კრეფს**; **კრებს**: აგროვებს, თავს უყრის ხალხს (**შეკრიბა**); **კრეფს**: აგროვებს ხილს, გადასახადს (**აკრიფა**, **დაკრიფა**, **მოკრიფა**)

კრივი // **ბოქსი** (მნიშვ. 2); იხ. **ბოქსი**

კრიმინალი: სისხლის სამართლის დანაშაული (და არა დამნაშავე); **კრიმინალური**

კრიმინალისტი: კრიმინალისტიკის სპეციალისტი

კრიმინალისტიკა: მოძღვრება სისხლის სამართლის შესახებ; სისხლის სამართლის მეცნიერების დარგი

კურდელი (კურდელის¹)

კურთხევა, მაგრამ: **აკურთხებს**

კურიოზი: **კურიოზული**

კურნავს; **კურნავდა**; **კურნავდეს**

[კუროპალატი კი არა] **კურაპალატი**

ლ

ლაბორატორია [და არა ლაბარატორია]

ლაგუნა (ლაგუნის^ა)

ლაგა (ლაგის^ა)

ლაზერი: **ლაზერული**

ლათინურ-ამერიკული [და არა ლათინო-ამერიკული] (სიმღერა, ცეკვა...)

ლაიტმოტივი [და არა ლეიტმოტივი]

ლაკონიური: **ლაკონიურობა**

ლანდშაფტი

ლაჟვარდისფერი (ლაჟვარდისფრად)

პერიფერია: ქვეყნის განაპირა, ცენტრიდან დაშორებული მხარე (**პერიფერიაში** მცხოვრები)

პერიფერიული: პერიფერიაში მყოფი, მდებარე, ცენტრისგან დაშორებული (**პერიფერიული** თეატრების რეპერტუარი); მე დ. **პერიფერიული** ნერვული სისტემა, **პერიფერიული** სისხლძარღვები

პერმანენტი: **პერმანენტული** (პერმანენტულად)

პერსონა გრატა

პერსონალი (რაიმე დაწესებულების, საწარმოს და მისთ. პირადი შემადგენლობა; ერთი და იმავე პროფესიის ადამიანთა ერთობლიობა) – **პერსონალია** (მწერლის / პოლიტიკური მოღვაწის... ბიოგრაფიული მონაცემების შემცველი სტატია / მონაკვეთი... ენციკლოპედიაში / ანთოლოგიაში / საიუბილეო კრებულში...)

პერსონალი ზემა

პერსონალი ზმი

პერსონალი სტი

პერსონალური

პერსონა ნონ გრატა

პერსონაჟი

პერსონიფიკაცია (// **პერსონალიზაცია**)

პერსონიფიცირება: პერსონიფიცირებული

პერსპექტივა: პერსპექტიული

პერტურბაცია: ცის სხეულის გზის შეცვლა; გადატ. მოვლენათა ჩვეულებრივი მსვლელობის მოულოდნელი დარღვევა

პერფექტი: გრამატ. ნამყო სრული დრო ზმნისა; შდრ. **პრეფექტი:** 1. ისტ. ძველ რომში – ზოგი ადმინისტრაციული ან სამხედრო თანამდებობის სახელწოდება; 2. საფრანგეთსა და სხვა ქვეყნებში – უმაღლესი სახელმწიფო მოხელე; 3. ქალაქის პოლიციის უფროსის სახელწოდება ზოგ ქვეყანაში

პეტიცია: წერილობითი კოლექტიური თხოვნა, შუამდგომლობა ხელისუფლებისადმი

პიარი: სარეკლამო კამპანია ეკონომიკურ და პოლიტიკურ ბრძოლასა თუ პაექრობაში გამარჯვებისათვის; „შავი პიარი“ გამოიყენება ამა თუ იმ პოლიტიკური მოღვაწის (ძირითადად კონკურენტის) იმიჯის, რეპუტაციის შესაღებად

პიგმენტაცია

პიგმენტი: პიგმენტური

პიედესტალი [და არა პედესტალი] // **კვარცხლბეკი**

პიესა (პიესის¹)

პიკანტური: 1. ცხარე გემოსი, მადის აღმძვრელი; 2. საინტერესო, მიმზიდველი, გრძნობათა აღმძვრელი (**პიკანტური** გარეგნობა)

პიკეტი; პიკეტირება: პიკეტირებული

პილოტაჟი

პილოტირება: პილოტირებული

პირადი – პირადული; პირადი: საკუთარი საგნებისა და მისთ. აღსანიშნავი (**პირადი** ნივთები, **პირადი** საქმე); **პირადული:** ადამიანის შინაგან სამყაროსთან დაკავშირებული (**პირადული** პრობლემები)

პირამიდა (პირამიდის¹): **პირამიდული**

[პირდება, პირდებოდა, პირდებოდეს კი არა]

ჰპირდება; ჰპირდებოდა; ჰპირდებოდეს

პირველშიზეზი

პირველსახე (პირველსახის¹)

პირველწყარო // პირველი წყარო

პირი – პიროვნება; პირი: ადამიანის ამა თუ იმ ზოგადი სტატუსის მაჩვენებელი (სამოქალაქო / სასულიერო / სამხედრო **პირი**); **პიროვნება:** ადამიანის ინდივიდუალური თვისებების აღმნიშვნელი (კარგი / დადებითი / კეთილშობილი / ცუდი / უარყოფითი **პიროვნება**)

პირი // ასლი [და არა კოპიო]

პირისპირ

პირიქით

პირიქითა (პირიქითას¹)

პირიქითი

პირიქითული

პირმშო (პირველი შვილი): ამ სიტყვასთან მსაზღვრელად **პირველი** ზედმეტია

პირჯვარი (პირჯვრის^ა)

პიტნა (პიტნის^ა)

პიურე (პიურეს^ი)

პიცერია (პიცერიის^ა)

პლაგიატი – **პლაგიატორი**; **პლაგიატი**: ლიტერატურული ან სამეცნიერო ნაშრომის მითვისება (ქურდობა); **პლაგიატორი**: სხვისი ნაშრომის მიმთვისებელი

პლაჟი [და არა პლიაჟი]

პლასტიკა: **პლასტიკური**

პლასტიკატი

პლასტილინი [და არა პლასტელინი]

პლატონური: 1. პლატონიზმთან (ფილოსოფია) დაკავშირებული; 2. მხოლოდ სულიერ მისწრაფებაზე დამყარებული, არახორციელი, იდეალური (სიყვარული); 3. რასაც პრაქტიკული მიზნები არა აქვს, განყენებული

პლეადა [და არა პლიადა]

პლებეი (პლებეიმ, მიც. პლებეის)

პლებეური [და არა პლებეიური]

პლებისციტი (რეფერენდუმი)

[პლიაჟი კი არა] **პლაჟი**

პლუსი [და არა პლიუსი]

პოეზია (პოეზიის^ა)

პოემა (პოემის^ა)

პოემა „გამზრდელი“ / „გამზრდელმა“ / „გამზრდელს“ / „გამზრდელის“ / „გამზრდელით“...; „გამზრდელში“, მაგრამ: **პოემა** / **პოემამ** / **პოემას** / **პოემის** / **პოემით**...; **პოემაში** „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან“...

პოეტიკური – **პოეტური**; **პოეტიკური**: მხატვრული ლიტერატურის თეორიასთან დაკავშირებული, მისთვის დამახასიათებელი; **პოეტური**: პოეტისა თუ პოეზიისათვის დამახასიათებელი (**პოეტური** ნაწარმოები / ნიჭი / გარემო)

პოეებს; **პოვა**; **პოვოს** [და არა ჰპოვებს, ჰპოვა, ჰპოვოს]; **უპოვია**; **ეპოვა**; **ეპოვოს**

პოზიტივი

პოზიტიური – **პოზიციური**; **პოზიტიური**: 1. დადებითი (მოვლენა); 2. ფაქტებზე, ცდაზე დამყარებული (მეცნიერება); 3. რაც პოზიტის წარმოადგენს (გამოსახულება); **პოზიციური**: პოზიციასთან დაკავშირებული (**პოზიციური** ბრძოლა, უპირატესობა)

პოლიტიზება: **პოლიტიზებული** [და არა პოლიტიზირება, პოლიტიზირებული]

პოლიტიკა: **პოლიტიკური**

პოლიტიკანი: **პოლიტიკანური**

პოლიტიკოსი (პოლიტიკოსს)

პოლუსი (პოლუსს) [და არა პოლიუსი]

პონი (პონიმ, მ ი ც. პონის, მ რ. პონები)
პოპმუსიკა (პოპმუსიკის^ა)
პოპულარიზაცია // **პოპულარიზება**
პოპულარობა
პოპულარული
პოპულაცია
პოპულიზმი (პოპულიზმმა)
პოპური (პოპურიმ, მ ი ც. პოპურის)
პოსტამენტი // **კვარცხლბეკი**
(**პოსტი** //) **თანამდებობა**
პოსტსკრიპტუმი: შემოკლებით P. S. (დაწერილის შემდეგ)
პოსტულატი
პოსტფაქტუმი: გაკეთების, მომხდარის შემდეგ
პოტენცია: **პოტენციური**
პოტენციალი
პრაგმატიზმი (პრაგმატიზმმა)
პრაგმატიკა; **პრაგმატიკოსი**
პრაგმატისტი: **პრაგმატისტული**
პრაიმერიზი: პირველადი არჩევნები
პრაქტიკა [და არა პრაქტიკები]; იხ. **მუსიკა**
პრეამბულა (პრეამბულის^ა): დოკუმენტის, აქტის შესავალი ნაწილი, რომელშიც განმარტებულია ამ დოკუმენტის მნიშვნელოვანი გარემოებანი
პრევენცია (წინასწარი ზომების მიღება რისამე თავიდან ასაცილებლად): **პრევენციული**

პრეზენტაცია: ამა თუ იმ ახალი ნაწარმოების, ნაშრომის საჯარო წარდგენა
პრეზუმფცია: იურ. ვარაუდი, რომელიც სარწმუნოდაა მიჩნეული, ვიდრე საწინააღმდეგო არ დამტკიცებულა (უდანაშაულობის **პრეზუმფცია**)
პრეისკურანტი: გასაყიდი საქონლის ფასების ცნობარი
პრემია (პრემიის^ა): **პრემიული**
პრემიერა (პრემიერის^ა)
პრემიერ-მინისტრი
პრემირება: **პრემირებული**
პრეპარატი
პრეპარირება: **პრეპარირებული**
პრეროგატივა (პრეროგატივის^ა)
პრესატაშე (პრესატაშეს^ი)
პრესინგი
პრესკონფერენცია (პრესკონფერენციის^ა)
პრესსტუდია (პრესსტუდიის^ა)
პრესტიჟი: **პრესტიჟული**
პრეცედენტი [და არა პრეცედენტი]: პირველად მომხდარი რამ, რომელიც ნიმუშად გამოიყენება სხვა მსგავსი, შემდეგდროინდელი შემთხვევებისათვის. მასთან მსაზღვრელად **პირველი** ზედმეტია
პრივატიზება: **პრივატიზებული**

პრივილეგია: პრივილეგიური (მდგომარეობა) –
პრივილეგირება: პრივილეგირებული (ადამიანი)
პრიმა (მ უ ს.)
პრიმადონა (პრიმადონის^ა), მაგრამ: **პრი-
მა-ბალერინა** (პრიმა-ბალერინის^ა)
პრინციპი: ზეპირ მეტყველებაში ხშირად ისმის:
პრინციპში ყველაფერი მოგვარდა; ამ გაჩერე-
ბაზე უნდა ჩავიდეთ, **პრინციპში** – შემდეგზეც
შეგვიძლია... უნდა იყოს: **ძირითადად / არ-
სებითად** ყველაფერი მოგვარდა; ამ გაჩერე-
ბაზე უნდა ჩავიდეთ, **ისე / თუმცა** შემდეგზეც
შეგვიძლია...
პრინციპული [და არა პრინციპიალური]
პრიორიტეტი: პირველობა რაიმეს აღმოჩენასა
თუ გამოგონებაში. მასთან მსაზღვრელად
პირველი ზედმეტია
[პრობა კი არა] **საცობი**
პრობლემა: პრობლემური
პრობლემატიკა (პრობლემატიკის^ა)
პრობლემური; პრობლემურობა (// **პრობლე-
მატური; პრობლემატურობა**)
პროგნოზი; პროგნოზირება
პროგრამა: პროგრამული; **საპროგრამო**
პროგრამირება // **დაპროგრამება**
პროგრამირებული // **დაპროგრამებული**
პროგრამისტი

პროგრესი
პროგრესია (არითმეტიკული, გეომეტრიული)
პროგრესიული (შხარდი გადასახადი / დაავადება) –
პროგრესული (მოწინავე ადამიანი / სახელმწი-
ფო)
პროდიუსერი: პროდიუსერული
პროდუქტი: პროდუქტიული (ნაყოფიერი); პრო-
დუქტიულობა
პროდუქცია (პროდუქციის^ა)
პროექტანტი
პროექტი; საპროექტო (ბიურო)
პროექტორი
პროექცია: პროექციული
პროვინცია: პროვინციელი (// **პროვინციალი**)
პროვინციალიზმი (პროვინციალიზმმა)
პროვოკატორი: პროვოკატორული
პროვოკაცია: პროვოკაციული
პროვოცირება: პროვოცირებული
პროზა (პროზის^ა): პროზაული
პროთეზი [და არა პროტეზი]
პროთეზისტი [და არა პროტეზისტი]
პროთრომბინი [და არა პროტრომბინი]
პროკურატურა
პროლოგი
პროპაგანდა (პროპაგანდის^ა)
პროპაგანდისტი: პროპაგანდისტი

პროპორცია: პროპორციული

პროსპექტი // გამზირი

პროტეჟე (პროტეჟეს^ი): პროტეჟციის ობიექტი, ვისაც მფარველობენ (და არა – ვინც მფარველობს)

პროტესტანტი: პროტესტანტული

პროტესტი: საპროტესტო; პროტესტული

პროტექტორატი [და არა პროტექტორატი]

პროტექტორი [და არა პროტექტორი]:
1. მფარველი, დამცველი, შემწე; 2. ავტომობილისა და მისთ. საბურავის გარეთა ზედაპირის უფრო სქელი და მაგარი ნაწილი

პროტექცია; პროტექციული; საპროტექციო
[და არა პროტეკცია, პროტეკციული, საპროტეკციო]

პროტექციონიზმი [და არა პროტეკციონიზმი]

პროფესია: პროფესიული (საქმიანობა)

პროფესიონალი: პროფესიონალური (კვლევა)

პროფილაქტიკა: პროფილაქტიკური

პროფილი

პროფილირება

პროცედურა: პროცედურული

პროცენტი: პროცენტული

პროცესი – პროცესია; პროცესი: 1 რაიმე მოვლენათა თანამიმდევრული მონაცვლეობა; განვითარების გზა; 2. სასამართლო საქმის გარჩევა; **პროცესია:** მრავალრიცხოვანი ხალხის სვლა (საზეიმო / სამგლოვიარო)

პროცესორი

პროცესუალური // საპროცესო (სამართალი)

პუბლიკა (პუბლიკის^ა)

პუბლიკაცია (პუბლიკაციის^ა)

პუბლიცისტი: პუბლიცისტური

პუბლიცისტიკა (პუბლიცისტიკის^ა)

პუდელი (პუდელის^ა)

პუდინგი

პუდრი

პულვერიზატორი [და არა პულვილიზატორი]

პულსაცია // პულსირება

პულსი // მაჯისცემა

პულტი

პუნქტი [და არა პუნკტი]

პუნქტირი [და არა პუნკტირი]

პუნქტობრივი; პუნქტობრივი [და არა პუნკტობრივი, პუნკტობრივი]

პუნქტუალურობა (// პუნქტუალობა) [და არა პუნკტუალურობა, პუნკტუალობა]

პუნქტუაცია: პუნქტუაციური [და არა პუნკტუაცია, პუნკტუაციური]

პურის საცხობი [და არა პურსაცხობი]

პურიტანი [და არა პურიტანელი]: **პურიტანული**

პურიტანიზმი (პურიტანიზმმა)

პურიტანობა

პუტჩი (პუტჩს)

ქ

ქანრი: ქანრული; ქანრობრივი
ქარგონი: ქარგონული
ქელე (ქელეს^ი)
ქესტი; **ქესტ-მიმიკა**
ქესტიკულაცია // ქესტიკულირება
ქინი [და არა ჯინი], შდრ.: საუბ. **ჯინაზე**
(= ჯიბრზე) აკეთებს
ქინიანი [და არა ჯინიანი]
ქიური (ქიურიმ, მიც. ქიურის)
ქოლო
ქოლოსფერი (ქოლოსფრად)
ქონგლიორი
ქურნალი „მაცნე“, **ქურნალმა** „მაცნემ“; **ქურნალ**
„მაცნეს“ / „მაცნის“ / „მაცნით“...; „მაცნეში“
ქურნალისტი: **ქურნალისტური**
ქურნალისტიკა: **ქურნალისტიკური**
ქლენტს [და არა ქლენტავს, ქლინთავს]

რ

რაგბი (რაგბიმ, მიც. რაგბის) [// **რეგბი**]
რაგბისტი // მორაგბე [// **რეგბისტი**]
რადგან: ოთარმა თბილად ჩაიცვა, **რადგან** (მი-
ზეზი) სციოდა; შდრ.: **რათა:** აბიტურიენტმა
ბეჯითად იმეცადინა, **რათა** (მიზანი) გამოც-
დები კარგად ჩაებარებინა
რადიაცია: **რადიაციული**
რაზე: ზეპირ მეტყველებაში ხშირად ისმის: **რაზე**
არ დამირეკე? **რაზე** არ მოხვედი? უნდა
იყოს: **რატომ** არ დამირეკე? **რატომ** არ მოხვე-
დი? მაგრამ: **რაზე** (რის შესახებ) საუბრობ-
დით? **რაზე** ფიქრობ?
რაკეტა (რაკეტის^ა): **რაკეტული;** **სარაკეტო**
(ტექნიკა)
რამდენი კაცი, საკითხი... [და არა რამდენი
კაცები, საკითხები...]; იხ. **ამდენი**
რამდენიმე (რამდენიმეს^ი) [და არა რამოდე-
ნიმე]: ეს სიტყვა სახელს შეიწყობს მხოლო-
ობითში: **რამდენიმე** კაცი (საკითხი, წიგნი...)
რამე // რამ (// **რაიმე**); მოთხრ. რამემ; მიც. რა-
მეს; ნათ. რამეს // რამის^ა; მოქმ. რამეთი //
რამით; ვით. რამედ // რადმე; მრ. რამეები
რამეთუ: ძველი ქართულიდან მომდინარე ეს
სიტყვა (კავშირი) ზეპირ მეტყველებაში
არცთუ იშვიათად იხმარება **რადგან, ვინაიდან**

კავშირების ნაცვლად, რაც სრულიად უადგილო და შეუფერებელია ამ სტილისათვის; სამაგიეროდ, მისი გამოყენება დასაშვებია სტილიზაციის მიზნით (მაგ., პოეზიაში, საერთოდ, ზეაწეული სტილით გამართულ მეტყველებაში)

[რამოდენიმე კი არა] **რამდენიმე**

რასა (რასის^ა): **რასობრივი** (// **რასული**)

რატიფიკაცია: სახელმწიფო უმაღლესი ხელისუფლების მიერ საერთაშორისო ხელშეკრულების დამტკიცება, რაც ამ უკანასკნელს იურიდიულ ძალას აძლევს

რატიფიცირება: **რატიფიცირებული**

რალა: მოთხრ. რალამ; მიც. რალას [// რასლა]; ნათ. რალას^ი [// რისლა]; მოქმ. რალათი [// რითლა]; ვით. რალად [// რადლა]

რალაც^ა: მოთხრ. რალაცამ; მიც. რალაცას; ნათ. რალაცის [// რალაცას^ი]; მოქმ. რალაცით // რალაცათი; ვით. რალაცად; მრ. **რალაცები** [და არა რალაცეები]

რეაბილიტაცია // **რეაბილიტირება**: **რეაბილიტირებული**

რეალია (მრ. რეალიები)

[რეალიზებადი (პროდუქტი, საქონელი...)] კი არა] პროდუქტი, საქონელი..., რომლის **რეალიზებაც შესაძლებელია**, ანდა: პროდუქტი, საქონელი..., რომელიც კარგად **რეალიზდება**

რეალიზმი

რეალისტი: **რეალისტური**

რეალისტური – **რეალური**; **რეალისტური**:

რეალიზმისათვის (რეალისტური მიმართულებისათვის) დამახასიათებელი (მწერლის **რეალისტური** ხედვა); **რეალური**: 1. ნამდვილად არსებული, ჭეშმარიტი (**რეალური** მდგომარეობა); 2. რის განხორციელებაც შესაძლებელია (**რეალური** მოთხოვნა); 3. ნამდვილი პირობების შესაბამისი, პრაქტიკულად არსებული (**რეალური** ხელფასი)

რეალობა: ობიექტურად არსებული მოვლენა, ფაქტი, სინამდვილე (ობიექტური **რეალობა**)

რეანიმატოლოგია (რეანიმატოლოგიის^ა)

რეანიმაცია [და არა რეამინაცია]: **რეანიმაციული**; **რეანიმირება**: **რეანიმირებული**

რეაქტივი: **რეაქტიული**

რეაქცია: **რეაქციული**

რეაქციონერი: **რეაქციონერული**

რეგალია (რეგალიის^ა, მრ. რეგალიები): 1. ისტ. შუა საუკუნეებში – მეფეთა (აგრეთვე მსხვილ ფეოდალთა) მონოპოლიური უფლება რაიმე შემოსავალზე (მაგ., ფულის მოჭრის, ბაჟის... უფლებები); 2. სამეფო ხელისუფლების აღმნიშვნელი საგანი (გვირგვინი, კვერთხი...); 3. გადატ. განმასხვავებელი ნიშანი (მაგ., ორდენი)

რეგენერაცია: **რეგენერაციული**

რეგიონი

რეგიონული (პრობლემები); **რეგიონალური** (სესია)

რეგლამენტი; **რეგლამენტირება**: **რეგლამენტირებული**
რეგრესი: **რეგრესული**
რეგულარული (არმია)
რეგულირება: **რეგულირებული**
რედაქტირება: **რედაქტირებული** [და არა რედაქტირება, რედაქტირებული]
რედაქტორი [და არა რედაქტორი]
რედაქცია: **რედაქციული**; **სარედაქციო**
რედკოლეგია
რეესტრი: **სარეესტრო**
რეზერვაცია
რეზერვი; **რეზერვირება**: **რეზერვირებული**;
რეზერვისტი
რეზიდენცია
რეზიუმე (რეზიუმეს¹)
რეზიუმირება: **რეზიუმირებული**
რეზოლუცია (რეზოლუციის¹): **რეზოლუციური**
რეიტუზი: ზეპირ მეტყველებაში ხშირად ისმის ამ სიტყვის მრავლობითი რიცხვის ფორმა მაშინ, როდესაც მხოლოდობითის მნიშვნელობა იგულისხმება: ბალერინას თეთრი **რეიტუზები** აცვია; უნ და იყო ს: ბალერინას თეთრი **რეიტუზი** აცვია
რეკეტი; **რეკეტირი** [და არა რეკეტიორი, რეკეტორი]

რეკვიემი [და არა რექვიემი]
რეკვიზიტი [და არა რექვიზიტი]
რეკლამა (რეკლამის¹): **სარეკლამო**
რეკლამაცია: 1. საჩივარი, პროტესტი; 2. სა-მართ. კრედიტორის მოთხოვნა ნაყიდი საქონლის, დაკვეთილი პროდუქციის, შესრულებული სამუშაოს ნაკლოვანებათა გამოსწორების ან ფასის დაკლების, ზარალის ანაზღაურების, ხელშეკრულების დარღვევის შესახებ
რეკლამირება
რეკომენდაცია
რეკომენდება: **რეკომენდებული** [და არა რეკომენდირება, რეკომენდირებული]
რელიგია: **რელიგიური**
რელიეფი: **რელიეფური** (რელიეფურად)
რელიკვია [და არა რელიქვია]
რემარკა (რემარკის¹)
რეპატრიაცია // **რეპატრიირება**: ემიგრანტების, ტყვეებისა და ლტოლვილების სამშობლოში დაბრუნება მოქალაქეობის უფლების აღდგენით
რეპატრიირებული; **რეპატრიანტი**
რეპერტუარი
რეპეტიცია: **სარეპეტიციო**
რეპლიკა: **სარეპლიკო**
რეპრესია: **რეპრესიული**

რეპროდუქცია (რეპროდუქციის^{ა1}): **რეპრო-
დუქციული**

რეპროდუცირება: რეპროდუცირებული

რეპუტაცია (რეპუტაციის^{ა1})

რეჟიმი: 1. პოლიტიკური მმართველობის წესი (პინოჩეტის **რეჟიმი**); 2. ცხოვრების, შრომის, დასვენების, კვების მტკიცედ დადგენილი განაწესი (კვების **რეჟიმი**, ძილის **რეჟიმი**); 3. რისამე მუშაობის, მოქმედების, არსებობის პირობები (მანქანის მუშაობის **რეჟიმი**).
უ მ ა რ თ ე ბ უ ლ ო ა: დიალოგის **რეჟიმში** მუშა-
ობა. უ ნ და ი ყ ო ს: მუშაობა **დიალოგის // დია-
ლოგური** წესით ან: დიალოგის // დიალოგუ-
რი **რეჟიმით**

რეჟისორი: რეჟისორული (ხერხი); **სარეჟი-
სორო** (ფაკულტეტი)

რეჟისურა (რეჟისურის^{ა1})

რესპექტაბელობა: რესპექტაბელური

რესპონდენტი [და არა რესპოდენტი]: ვისაც
შეკითხვებით მიმართავენ

რესპუბლიკა: რესპუბლიკური

**რესტავრაცია // რესტავრირება: რესტავრი-
რებული**

რესტრუქტურიზება // რესტრუქტურიზაცია
[და არა რესტრუქტურიზება, რესტრუქ-
ტურიზაცია]

რეტრანსლაცია [და არა რეტრანსლიაცია]

რეტროსპექტივა: რეტროსპექტიული

**რეტუში; რეტუშირება: რეტუშირებული;
რეტუშორი**

რეფერატი; ავტორეფერატი

რეფერენდუმი

რეფერენტი

რეფლექსი: რეფლექსური

რეფორმა (რეფორმის^{ა1})

**რეფორმატორი – რეფორმისტი; რეფორმა-
ტორი:** რეფორმის მომხდენი, გამტარებელი;

რეფორმისტი: რეფორმიზმის მომხრე

[რექვიემი კ ი ა რ ა] **რეკვიემი**

რეცენზია; რეცენზირება: რეცენზირებული

რიგგარეშე (რიგგარეშეს^{ი1})

რიტმა (რიტმის^{ა1}): **რიტმიული** [და არა რით-
მიული]

რიტმი: რიტმიული [და არა რიტმიული]

რიტმიკა: რიტმიკული

რიტმიულობა

რიტორი (მჭევრმეტყველი): **რიტორული**

რიტორიკა (მჭევრმეტყველების თეორია): **რი-
ტორიკული**

რიტუალი: რიტუალური

რიუკზაკი [და არა რუკზაკი] // **ზურგჩანთა**

რიყე (რიყის^{ა1})

რიცხვი; რიცხვითი

რიცხვმრავალი (რიცხვმრავლის^{ა1})

რიცხვმცირე (რიცხვმცირის^ა)
რიცხვული [და არა რიცხული], მაგრამ:
 (და)რიცხული (მასზე რიცხული თანხა)
რიცხოვრივი (რიცხოვრივად) [და არა რიც-
 ხოვრივი, რიცხოვრივად]
რიცხოვნობა [და არა რიცხოვნობა]
რკინიგზა (რკინიგზის^ა)
როდესაც // როცა
როიალი
როიალიზმი: მონარქიზმი
როიალისტი (მონარქისტი); **როიალისტური**
 (როიალიზმის ან როიალისტიკისათვის დამა-
 ხასიათებელი: **როიალისტური** შეხედულება-
 ნი)
როკ-ენ-როლი
როკმუსიკა (როკმუსიკის^ა)
როკოპერა (როკოპერის^ა)
რომანი / რომანმა / რომანს / რომანის / რომანით /
რომანად; რომანში „დანაშაული და სასჯელი“
რომანტიზმი (რომანტიზმმა)
რომანტიკა: რომანტიკული
რომანტიკოსი (რომანტიკოსს)
რომელი (რომლის^ა), **რომელზე**, მაგრამ:
რომელზედაც
რომელიმე (რომელიმეს^ი)
რომელიდაც ^ა (რომელიდაცის^ა) [// **რომელი-**
ლაცას^ი]

**რომელიც (რომელმაც, რომელსაც...; რომლე-
 ბიც, რომლებმაც, რომლებსაც...):** თუ
 რთული ქვეწყობილი წინადადება შეიცავს
 განსაზღვრებით დამოკიდებულ წინადადე-
 ბას და ეს უკანასკნელი მთავარს უკავშირდე-
 ბა **რომელიც** ნაცვალსახელით, აღნიშნული
 ფორმა (**რომელიც**) უნდა მოსდევდეს წინადა-
 დების იმ წევრს, რომელსაც განსაზღვრავს.
 უმართებულოა: **შვილი** მოჰყავს **მამას**,
რომელსაც ხვალ საბავშვო ბაღში ზეიმი აქვს,
 უნდა იყოს: **მამას** მოჰყავს **შვილი**, **რომელ-**
საც ხვალ საბავშვო ბაღში ზეიმი აქვს
როტატორი
როტაცია: როტაციული
როტმისტრი
როცა // როდესაც
რუკა [და არა რუქა]
რუმბა (რუმბის^ა): ცეკვა
რუმბი (რუმბის^ა)
რუსთაველის პროსპექტზე: ზეპირ მეტყველე-
 ბაში ხშირად ისმის: **რუსთაველზე** შევხვდეთ;
ალმაშენებელზე გავიარე; **ვაჟაზე** (ან ვაჟა-ფშა-
 ველაზე) ცხოვრობს; მერია გადავიდა **კოსტა-**
ვაზე... დასახელებული შემთხვევები მეტყვე-
 ლების ეკონომიის ჩვეულებრივი ნიმუშებია,
 თუმცა წერის დროს უნდა იყოს: **რუსთავე-**
ლის პროსპექტზე შევხვდეთ; **ალმაშენებლის**
პროსპექტზე გავიარე; ვაჟა-ფშაველას **პროს-**
პექტზე ცხოვრობს; მერია გადავიდა **კოსტავას**
ქუჩაზე...

რუჯვა (რუჯავს); **გაირუჯა** [და არა ზაგარი მიიღო]
რცხვენია [და არა სცხვენია]
რწმუნებული; რწმუნებულება
რჯის (რა რჯის?); **რჯილა**
რჯული (მვ. სჯული) [და არა შჯული]; **რჯულიერი; რჯულიერება**

ს

საავადმყოფო [და არა საავანტყოფო]
სააქაო (საკპირისპ. **საიქიო**)
სააქციზო
სააქციო
საბავშვო [და არა საბავშო]
საბიუჯეტო
[საბრთხე, საბრთხილო კი არა] **საფრთხე; საფრთხილო**
საბუღარი (საბუღარის^ა)
საბურავი // საბურველი
საბურღავი // საბურღი
საგა (საგის^ა)
საგადასახადო
საგალობელი (საგალობლის^ა)
საგარანტიო

საგარეო, სადღესასწაულო [და არა გამოსასვლელი] (ტანსაცმელი)
საგერბო [და არა საღერბო]
სადავო; სადავოდ [და არა სადაო, სადაოდ]
სადაზვერვო
სადაზღვევო [და არა სადაზღვეო]
სადინარი (სადინარის^ა)
საელჩო
[საეპოქო კი არა] **ეპოქალური**
საერთო-საკაცობრიო
საერთო-სახალხო
საერთო-სახელმწიფოებრივი
საეროვნებათაშორისო // ეროვნებათშორისი
[საეროვნო კი არა] **ეროვნული**
საესკორტო
საეტაპო
საექსპერტო
საექსპოზიციო
საექსპონატო
საექსპორტო
საექვო (საექვოდ)
სავანე (სავანის^ა, სავანიდან)
სავარცხელი (სავარცხლის^ა)
სავარძელი (სავარძლის^ა)
სავსებით (სავსებით გასაგები, სავსებით დამაჯერებელი...); შდრ.: **სრულიად** (სრულიად გაუგებარი, სრულიად დაუჯერებელი...)

საზავო

[საზდო, საზდოობა კი არა] **საზრდო; საზრდოობა**

საზიარებელი (საზიარებლად)

საზიარო (საზიაროდ)

საზოგადოება; საზოგადოებრივი; საზოგადოებრიობა

საზრდო

საზრდობს; ისაზრდოვა; უსაზრდოვია

საზრიანი

საზღვარგარეთ; საზღვარგარეთი; საზღვარგარეთელი; საზღვარგარეთული

საზღვარდადებული

საზღვარდაუდებელი (საზღვარდაუდებლად)

სათავე (სათავის^ა)

სათარგმნი (// **სათარგმნელი**)

სათაყვანო // **სათაყვანებელი** (სათაყვანებლის^ა) (// **სათაყვანები**)

სათვალე (სათვალის^ა): უმართებულოა: კაცს **სათვალეები** ეკეთა, უნდა იყოს: კაცს **სათვალე** ეკეთა, მაგრამ: მან იყიდა **სათვალეები** (სხვადასხვა სახისა)

სათვისტომო // **დიასპორა**

საიმედო; საიმედოობა

საიმიგრაციო

საიმპორტო

საინიციატივო

საინკუბაციო (პერიოდი)

საინსპექტორო

საინსპექციო

საინსტრუქციო

საინფორმაციო [და არა საიმფორმაციო]

საიპოთეკო

საიუბილეო

საიქიო (საპირისპ. **სააქაო**)

[საიშვიათო კი არა] **იშვიათი**

[საიჭვო კი არა] **საეჭვო**

საიჯარო

საკაბელო

საკადრო

საკალოე (დარი) – **საკალოო** (ადგილი)

საკამათო (საკამათოდ)

საკაცე (საკაცის^ა)

საკეტი [და არა საკეტური]

საკმაო (საკმაოდ) // **საკმარისი** (საკმარისს)

საკმეველი (საკმეველის^ა)

საკომენდანტო [და არა საკომენდატო] (საათი)

საკომერციო; კომერციული

საკომპენსაციო

საკონსულო

საკონტაქტო; კონტაქტური

საკონტრაქტო; კონტრაქტული

საკონფერენციო [და არა საკონფერენციო]

სალათა (სალათის^ა) [და არა სალათი]
სალამი (სალამის^ა)
სალიკვიდაციო
სალიტანიო
სალიტერატურო; ლიტერატურული
სალიცენზიო
სალობიე (სალობის^ა)
სალონი; სალონური
სალტე (სალტის^ა): ლითონის რკალი (რამის გასამაგრებლად); შდრ.: **სალტო**: 1. აკრობატული ნახტომი, რომლის დროსაც სხეული ჰაერში ამოტრიალდება; 2. გადატ. სახიფათო ნაბიჯი
სალუდე (სალუდის^ა)
სალუტი
სამაია (სამაიის^ა): ცეკვა
სამამულე (რქა) – **სამამულო** (ნაწარმი)
სამანევრო; მანევრული
სამანიპულაციო
სამარადისო (სამარადისოდ)
სამარადჯამო (სამარადჯამოდ)
სამართალი (სამართლის^ა): **სამართლებრივი**
სამეუფო – სამეფო; სამეუფო: მეუფისათვის (უფალი, ღმერთი; ეპისკოპოსი) განკუთვნილი; **სამეფო**: 1. ქვეყანა; 2. მეფედ დასასმელი; 3. მეფისთვის განკუთვნილი; 4. გადატ. სამფლობელო

სამორინე (სამორინის^ა)
სამოსელი (სამოსლის^ა)
სამოქმედო [და არა სამომქმედო]
სამოღვაწეო
სამოყვრო
სამსახურებრივი [და არა სამსახურეობრივი]
სამურად (სამურაიმ, მიც. სამურაის, მრ. სამურაები)
სამფა (სამფის^ა)
სამყურა (სამყურას^ი): ბალახი
სამპიძარი (სამპიძრის^ა)
სამწვერა (სამწვერას^ი)
სამწვერა (სამწვერას^ი)
სამწყსო
სამხარი (სამხრად)
სამხრე (სამხრის^ა, მრ. სამხრეები): **სამხრეებიანი**
სამხრეთი (ამერიკა...)
სანანებელი (სანანებლად)
სანატურო (გადაღება)
სანალვლებელი (სანალვლებლად)
სანაყინე (სანაყინის^ა)
სანაყოფო (// სანაყოფე)
სანაშენე (მეურნეობა) – **სანაშენო** (საქონელი)
სანაცვლო [და არა სანაცვალო]
სანაძლეო; ნაძლევი

სანახაობა; სანახაობითი (// **სანახაობრივი**)
სანგარი (სანგრის^ა)
სანდალი (სანდლის^ა): 1. ნავი; 2. ფეხსაცმელი
სანდო; სანდომიანი
სანელებელი (სანელეზლის^ა)
სანერვიულო
სანთებელა (სანთებელას^ი)
სანთებელი (სანთებლის^ა); **სანთები**
სანთელი (სანთლის^ა)
სანიტარია; სანიტარიული
სანოტარო (კანტორა)
[სანტიმენტალიზმი // სენტიმენტალიზმი
[სანტიმენტალური // სენტიმენტალური
სანქცია (სანქციის^ა)
საოკუპაციო
საოლქო
საომარი (საომრად)
საოპერაციო: 1. ის, რითაც ოპერაციას აკეთებენ
(საოპერაციო იარაღები); 2. ადგილი (ოთახი),
სადაც ოპერაციას აკეთებენ; 3. ის, ვისაც ოპე-
რაციას უკეთებენ; შ დ რ.: **ოპერაციული** (ჩა-
რევა)
საოპერო
საოპოზიციო
საორგანიზაციო; ორგანიზაციული
საორიენტაციო (საორიენტაციოდ)
საორკესტრო

საოცარი (საოცრად); **საოცრება**
საპასუხისმგებლო // პასუხსაგები [და არა
პასუხსაგებელი]
საპატიებელი (საპატიებლად)
[საპატივცემო კ ი ა რ ა] **პატივსაცემი**
საპატრიარქო
საპყრობილე (საპყრობილის^ა, საპყრობილი-
დან)
სარეველა (სარეველას^ი)
სარკაზმი (სარკაზმმა): მწვავე ირონია
სარკასტული [// **სარკაზმული**]
სარკმელი (სარკმლის^ა)
სარკოფაგი
სარტყელი (სარტყლის^ა)
სარფიანი; სარფიანობა
სარჩელი (სარჩელის^ა): **მოსარჩლე**; ი ხ. **მო-**
სარჩლე – მოსარჩლე
სარჩო; სარჩო-საბადებელი (სარჩო-საბადებ-
ლის^ა)
სარწმუნო
სარწმუნოება; სარწმუნოებრივი
სასაუზმე (სასაუზმის^ა)
სასახელო (სასახელოდ)
სასახლე (სასახლის^ა)
სასმელი (სასმლის^ა, მ ა გ რ ა მ: **სასმელად**, მ რ.
სასმელები)
სასმელ-საჭმელი (სასმელ-საჭმლის^ა)

სასმისი (სასმისს): ჭურჭელი, რითაც სვამენ
სასომინდელი [// **სასობამინდელი**]
სასოწარკვეთა: სასოწარკვეთილი
სასუნთქი (// **სასუნთქავი**)
სასუფეველი (სასუფეველის^ა)
სასჯელალსრულებითი (// **სასჯელალმასრუ-**
ლებელი) // **პენიტენციარული**
სატანა (სატანის^ა)
სატირა: სატირული
სატიტულო
სატრანზიტო
საუკუნეობრივი [და არა საუკუნეობრივი]
საუნა (საუნის^ა)
საუნჯე (საუნჯის^ა)
საუცხოლო [და არა საუცხოვო]
საუწყებათმორისო // **უწყებათმორისი**
საუწყებო
საფეხურებრივი [და არა საფეხურეობრივი]
საფრთხე; საფრთხილო [და არა საბრთხე,
საბრთხილო]
საქალაქთმორისო
საქართველოს ყველა მოქალაქე; თბილისის
ყველა მცხოვრები; საქართველოს პარ-
ლამენტის ყველა წევრი... [და არა ყვე-
ლა საქართველოს მოქალაქე, ყველა თბილი-
სის მცხოვრები, ყველა საქართველოს პარლა-
მენტის წევრი...]: აღნიშნულ კონტექსტებში

ყველა მოქალაქის, მცხოვრებისა და წევრის
მსაზღვრელია, ამიტომ სწორედ მათ (**მოქალა-**
ქე, მცხოვრები, წევრი...) წინ უნდა იდგეს; წი-
ნააღმდეგ შემთხვევაში ისეთი შთაბეჭდილე-
ბა იქმნება, თითქოს საუბარია **ყველა** (ანუ
რამდენიმე) **საქართველოზე, თბილისსა და პარ-**
ლამენტზე
საქალაღღღ (საქალაღღღის^ა)
საქვეღღღოქმეღღღ // **ქვეღღღოქმეღღღებითი**
საქინფორმი (საქინფორმი)
საქმე ისაა, **რომ...**, **საქმე** ის **გახლავთ,**
რომ... [და არა საქმე იმაშია, რომ...]
საქმრო [და არა საქმარო]
საქორწილო (მზადება) – **საქორწინო** (ბეჭედი)
საქრისტიანო; ქრისტიანული
საქსოფონი [და არა საქსაფონი]
საქურღღღი (საქურღღღად)
საღამო; საღამოთი; საღამოს
[საღღღღო კი არა] **საღღღღო**
საღღღღო // **საღღღღო** [და არა საღღღღო, სა-
ღღღღო]
საყვავიღღღ (საყვავიღღღის^ა)
საყოვეღღღათო (საყოვეღღღათოდ)
საყოფაცხოვრებო; ყოფა-ცხოვრება
[საშვალღღღა კი არა] **საშუაღღღა**
საშინელი (საშინღღღად); **საშინეღღღა**
საშუაღღღო [და არა საშვალღღღო]

[საშუალო საუკუნეები კ ი ა რ ა] **შუა საუკუნე-ები**

საშური – შესაშური: საშური: საჩქარო, სასწრაფო, დასაშურებელი: კნიაზო, წამო! რაღას იცდი, გვიგვიანდება, დრო საშურია (ილია); **შესაშური:** შურის აღმძვრელი, სახარბიელო, შესაშურებელი: ფრინველთ, მცენარეთ ცხოვრება გამიხდა **შესაშურია** (ვაჟა)

საშხაპე (საშხაპის^ა)

საჩემო, საჩვენო; საშენო, სათქვენო

საჩვენებელი (საჩვენებლად)

საჩივარი (საჩივრის^ა)

საჩუქარი (საჩუქრად)

საცოდავი; საცოდაობა [და ა რ ა საცოდავობა]

საცოლე (ვინც ცოლად უნდა ითხოვონ) – **საცოლო** (ვისაც ცოლის შერთვა შეჰფერის)

საცურაო [და ა რ ა საცურავო]

საწადელი (საწადლის^ა)

საწამებელი (საწამებლის^ა)

საწებელი (საწებლის^ა)

საჭე (საჭის^ა); **მესაჭე** (მესაჭის^ა)

საჭმელი (საჭმლის^ა, მ ა გ რ ა მ: **საჭმელად**, მ რ. **საჭმელები**)

საჭმელ-სასმელი (საჭმელ-სასმლის^ა)

სახარება (სახარების^ა)

სახატე (სახატის^ა)

სახაშე (სახაშის^ა)

[სახეზეა კ ი ა რ ა] **არის, იმყოფება, აშკარაა, თვალწინაა:** ზეპირ მეტყველებაში ხშირად ისმის: ყველა დეპუტატი **სახეზეა**; შედეგი **სახეზეა**; ფაქტი **სახეზეა**... უნ და ი ყ ო ს: ყველა დეპუტატი აქ **არის** (იმყოფება); შედეგი **აშკარაა** (ნათელია); ფაქტი ჩვენ **თვალწინაა**...

სახელო (კაბისა, პიჯაკისა) – **სახელოური** (კარისა)

სახელოვანი (სახელოვნად)

სახლერი // **საპობი**; შ დ რ. **სახრაგი** (ატამი)

სახუმარო // **სახუმრო**

საჯარიმო

საჯარისო

საჯარო: საჯაროობა

სეგმენტი: სეგმენტური; სეგმენტაცია

სეგდა (სეგდის^ა): **სეგდიანი**

სეზონი: სეზონური

სემანტიკა: სემანტიკური

სემესტრი: სემესტრული

სემინარი: სემინარული

სემინარია: სემინარიელი; სემინარიული

სემიტი, სემიტები (მ რ.)

სენატი; სენატორი

სენსაცია; სენსაციური: დაუჯერებელი, საოცარი (სენსაციური შემთხვევა); შ დ რ.: **სკანდა-**

ლური: სამარცხვინო, სკანდალის გამომწვევი (**სკანდალური** საქციელი, ქრონიკა). ზეპირ მეტყველებაში ხშირად **სენსაციურის** სინონიმად იყენებენ **სკანდალურს**, რაც გაუმართლებელია

სენტიმენტალიზმი [// **სანტიმენტალიზმი**]

სენტიმენტალური [// **სანტიმენტალური**]

სეოკი: საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი

სეპარატიზმი – **სეპარატორი**; **სეპარატიზმი**: პოლიტ. სეპარატიზმის მომხრე; **სეპარატორი:** აპარატი, რომლითაც ხდება სითხეების ან ფხვიერ ნივთიერებათა ერთმანეთისაგან განცალკევება

სეპარატიზტული, შდრ.: **სეპარატული** [და არა სეპარატიული] (ზავი)

სეპარაცია; **სეპარირება**

სერვიზი – **სერვისი**; **სერვიზი:** სადილის ან ჩაის (ყავის...) ჭურჭლის მთელი კომპლექტი;

სერვისი: მომსახურება

სერია (სერიის^ა): **სერიული**

სერიიანი (ორსერიიანი / სამსერიიანი... ფილმი...)

სერობა (სერობის^ა)

[სეროპი, სეროფი კი არა] **სიროფი**

სერტიფიკატი; **სერტიფიცირებული** [და არა სერტიფიკატი, სერტიფიცირებული]

სეფა (სეფის^ა)

სეფე (სეფის^ა); **სეფეკალი**

სექტა (სექტის^ა)

სექტანტი: **სექტანტური**; **სექტანტობა**

სექტემბერი (სექტემბრის^ა)

სექტორი: **სექტორული**

სექცია: **სექციური**

სვამს, სვამდა [და არა სვავს, სვავდა]

სთბილა (მას), **მთბილა** (მე), **გთბილა** (შენ),
მაგრამ: **თბილა** (საერთოდ)

სთხოვს; სთხოვა; უთხოვია

სიამტკბილობა (სიამტკბილობით)

სიგარა (სიგარის^ა)

სიდაბლე (სიდაბლის^ა) – **სიმდაბლე** (სიმდაბლის^ა); **სიდაბლე:** დაბლის თვისება, დაბალი ტანის ქონა; **სიმდაბლე:** 1. ზნედაცემულობა, უპატიოსნება, სულმდაბლობა; 2. მოკრძალება, მოწიწება; მორჩილება

სი-დი (CD) (სი-დიმ, მიც. სი-დის)

სი-ვი (CV) (სი-ვიმ, მიც. სი-ვის)

სიზმარი (სიზმრის^ა)

სიმბოლიზმი (სიმბოლიზმმა)

სიმბოლიზტი: **სიმბოლიზტური**

სიმბოლო: **სიმბოლური**

სიმეტრია: **სიმეტრიული**; **სიმეტრიულობა**

სიმთვრალე (სიმთვრალის^ა)

სიმპათია; სიმპათიური [და არა სიმპატია, სიმპატიური]

სიმულანტი [და არა სიმულიანტი]

სიმულაცია; სიმულირება

სიმფონია; სიმფონიური

სიმწარე (სიმწარის^{რა}), მაგრამ: **სიმწრის** ოფლი, **სიმწრით** ნაშოვნი

სინდიკატი: 1. ეკონ. სხვადასხვა დაწესებულებათა (ბანკი, ტრესტი...) გაერთიანება; 2. პროფესიული კავშირის სახელწოდება ზოგ ქვეყანაში; 3. მონოპოლიის ერთ-ერთი სახე

სინთეზი; სინთეზური [და არა სინთეტური]

სინთეტიკა; სინთეტიკური

სინქრონიული – სინქრონული; სინქრონიული: ლინგვ. სინქრონიასთან დაკავშირებული, სინქრონიის შემსწავლელი, ენის სტატიკური მდგომარეობის აღმნიშვნელი (**სინქრონიული** კვლევა); **სინქრონული:** სპეც. სინქრონიზმის ხასიათისა, ერთსა და იმავე დროს მიმდინარე, წარმოებული (**სინქრონული** რხევა / მეთოდი / თარგმნა)

სიროფი [და არა სიროპი, სეროპი]

სისტემა; სისტემური; სისტემატური

სისტემატიკა; სისტემატიკური

სისტემატური (რეგულარული) – **სისტემური** (სისტემისთვის დამახასიათებელი)

სიტყვათშეხამება: აზრობრივად დაკავშირებული ორი (ან მეტი) სიტყვა. შეცდომაა მის (სიტყვათშეხამების) ნაცვლად **სიტყვათშეთანხმების** გამოყენება

სიუჟეტი; სიუჟეტური

სიურპრიზი [და არა სურპრიზი]

სიყრუე [და არა სიყრუვე]

სიცოცხლე; სასიცოცხლო

სიძე-პატარძალი (სიძე-პატარძლის^{რა})

სკანერი; სკანირება

სკრუპულოზური [და არა სკურპულოზური]

სოლიდარული

სოლიდური

სორტირება

სოციალისტური – სოციალური; სოციალისტური: სოციალიზმისთვის დამახასიათებელი, მის პრინციპებზე დამყარებული; **სოციალური:** 1. რაც საზოგადოების, ადამიანების ცხოვრებასთან არის დაკავშირებული და მათს ურთიერთობას ახასიათებს; 2. საზოგადოების ამა თუ იმ ჯგუფთან, კლასთან დაკავშირებული, მათთვის დამახასიათებელი

სპეკულანტი; სპეკულანტური [და არა სპეკულიანტი, სპეკულიანტური]

სპეკულაცია; სპეკულაციური [და არა სპეკულიაცია, სპეკულიაციური]

სპეციფიკა; სპეციფიკური [და არა სპეციფიური]

სპონსორი: სასპონსორო

სპორტი: სპორტული (ინვენტარი...); **სასპორტო** (მაღაზია...)

სპორტლოტო

სპორტსმენი [და არა სპორცმენი]

სრესს [და არა სრისავს, სრესავს]

სრულად – სრულიად; სრულად: უკლებლივ; მთელი სისრულით (ყველაფერი **სრულად** ჩაიბარა; **სრულად** დაწერა...); **სრულიად:** სულ, მთლად, მთლიანად. ტრადიციულად იხმარება ქვეყნის აღმნიშვნელ გეოგრაფიულ სახელებთან შემდეგ კონტექსტში: **სრულიად** საქართველოს / რუსეთის კათოლიკოს-პატრიარქი. ამ გამოთქმებში იგულისხმება მთელი მსოფლიოს ქართველ / რუს მართლმადიდებელთა მწყემსმთავრები. შემდეგ, უფრო მაღალფარდოვანი სტილით საუბრისას, ეს სიტყვა (**სრულიად**) გავრცელდა სხვა შემთხვევებზედაც: **სრულიად** საქართველოს მოსახლეობა, რომელიც მთელი საქართველოს მოსახლეობას აღნიშნავს და რელიგიურ-კონფესიურ ნიუანსს გამორიცხავს. გარდა ამისა, **სრულიად** (**მთლად**) იხმარება **სავსებით** ფორმის ნაცვლად უარყოფით კონსტრუქციებში; იხ. **სავსებით – სრულიად**

სრულეყოფ; სრულეყავი [და არა ვსრულეყოფ, ვსრულეყავი; ვსრულეყავი, ვსრულეყავი]; **სრულმიყვია**

სრულიად – სავსებით, იხ. სავსებით – სრულიად

სტაბილიზაცია // სტაბილიზება [და არა სტაბილიზირება]

სტაბილიზებული [და არა სტაბილიზირებული]

სტაბილური; სტაბილურობა

სტაგნაცია: წარმოების განვითარების შეჩერება

სტაგფლაცია: სტაგნაცია ინფლაციასთან ერთად

სტადია: სტადიური [და არა სტადიალური]

სტალაგმიტი (მინერ. გამოქვაბულის ძირიდან კონუსისებურ სვეტებად აღმართული ამონაშვერი, ჩვეულებრივ, კალციტისა); **სტალაგმიტური;** შდრ.: **სტალაქტიტი** (მინერ. ლოლუებად ჩამოშვებული, ჩვეულებრივ, კალციტის წარმონაქმნი გამოქვაბულის ჭერზე); **სტალაქტიტური**

სტამბა (სტამბის¹): **სტამბური** (ბეჭდვა); **სასტამბო** (საქმე)

სტანდარტი: სტანდარტული

სტანდარტიზაცია // სტანდარტიზება; სტანდარტიზებული

სტატიკური – სტატისტიკური; სტატიკური: სტატიკის კანონებზე დამყარებული; წონასწორობაში მყოფი, უძრავი; **სტატისტი-**

კური: სტატისტიკასთან (რაოდენობრივ აღრიცხვასთან) დაკავშირებული

სტატუა (სტატუსის^ა): ადამიანის (ან ცხოველის) ფიგურის ქანდაკება (ანტიკური **სტატუა**)

სტატუეტი [და არა სტატუეტკა]: პატარა სტატუა (ფაიფურის **სტატუეტი**)

სტატუსი (სტატუსს)

სტაციონარი: **სტაციონარული** [და არა სტაციონალური]

[სტეპენდია კი არა] **სტიპენდია**

სტილი

სტილიზაცია: 1. რომელიმე სტილის ფორმათა მიზამე ხელოვნებაში; 2. პირობით, დეკორაციულ ფორმათა გამოყენება ხელოვნებაში

სტილიზება: **სტილიზებული**

სტილისტი: ლიტერატურული ენის სტილის კარგი მცოდნე; რაიმე ნაწარმოების (ძირითადად საგაზეთო სტატიის) ენისა და სტილის შემსწორებელი. დღეს ამ სიტყვამ მნიშვნელობა გაიფართოვა და გამოიყენება **პარიკმახერის** მნიშვნელობითაც

სტილისტიკა: 1. ლიტერატურის თეორიის დარგი, რომელიც სწავლობს ამა თუ იმ მწერლის, ლიტერატურული მიმდინარეობის მხატვრული ენის თავისებურებებს; 2. ენათმეცნიერების დარგი, რომელიც სწავლობს ენის გამომხატველობით საშუალებებს

სტილური (მწერლის **სტილური** მახასიათებლები) – **სტილისტური** (**სტილისტური** ალლო) – **სტილისტიკური** (**სტილისტიკური** შეცდომა)

სტიმული

სტიმულირება: **სტიმულირებული**

სტიპენდია (სტიპენდიის^ა); **სტიპენდიატი** [და არა სტეპენდია, სტიპენდიანტი]

სტიქია: **სტიქიური**

სტკივა; **სტკიოდა;** **სტკენია**

[სტოვებს კი არა] **ტოვებს**

სტრატეგია: **სტრატეგიული**

სტრუქტურა (სტრუქტურის^ა): **სტრუქტურული**

სტრუქტურალი სტი: **სტრუქტურალი სტური**

სტუდია: **სტუდიელი**

სუბიექტი: **სუბიექტური**

სუბიექტივიზმი (სუბიექტივიზმმა)

სუბიექტივი სტი: **სუბიექტივი სტური**

სუბიექტურობა

სუბსტანტივი: **სუბსტანტიური**

სუბსტანცია: **სუბსტანციური**

სუბსტრატი: 1. მრავალფეროვან მოვლენათა საერთო საფუძველი; 2. ბიოლ. საკვები არე, რომელშიც ვითარდება მაკროორგანიზმები; 3. ლინგვ. ენათა შერევის დროს – ხმარებიდან გამოსული ენა, რომელიც გამოდევნა მეორე ენამ, მაგრამ რომელმაც შერევის პრო-

ცესში გარკვეული გავლენა მოახდინა ამ უკანასკნელზე

სუბსტრატული [და არა სუბსტრატიული]

სუვენირი

სუვერენი: სუვერენული

სუვერენიტეტი

სუვერენობა

სულთმობრძავი [და არა სულმობრძავი]

სულმდაბლობა

სულ მთლად

სულყველა (სულყველას^ი) // **სუყველა** (სუყველას^ი)

სულყველაფერი (სულყველაფრის^ა) // **სუყველაფერი** (სუყველაფრის^ა)

სულყველგან // სუყველგან

სურნელი: სურნელოვანი

[სურპრიზი კი არა] **სიურპრიზი**

[სუფთა მოგება კი არა] **წმინდა მოგება**

[სუფთა სისხლის კი არა] **წმინდა სისხლის**
(ცხენი / ძალი)

სუფლე (სუფლეს^ი)

სუყოველდღე // სულყოველდღე

სუყოველთვის // სულყოველთვის

სქელი (სქლად); **უსქესი**

სქემა: სქემური; სქემატური

ჩადის ის მას (დანაშაულს), მაგრამ: **ჩადის** ის (კიბეზე)

[სჩანს კი არა] **ჩანს**

სჩვევია [და არა ჩვევია]

სჩვენებია [და არა ჩვენებია]

სცალია [და არა ცალია]

[სცალოდა კი არა] **ეცალა**

სცემა მან მას [და არა სცემა მან იგი];
უმართებულოა: **სცემა** ხულიგანმა **გამველელი**, უნდა იყოს: **სცემა** ხულიგანმა **გამველეს**

სცენა: სცენური [და არა სცენიური]

სცვივა (ფოთოლი // ფოთლები ხეს), მაგრამ:
ცვივა ფოთლები (ან ფოთოლი) ხიდან

სცივა მას, მაგრამ: **ცივა** (საერთოდ)

სცხელა მას, მაგრამ: **ცხელა** (საერთოდ)

[სცხვენია კი არა] **რცხვენია**

სძინავს [და არა ძინავს]

სძლევს; სძლია [და არა ძლევს, ძლია]

სძულს [და არა ძულს]

სწავლა – სწავლება: სწავლა: ცოდნის შეძენა, განათლების მიღება; **სწავლება:** ცოდნის მიწოდება

სწამს [და არა წამს]

სწერია (მას ჯვარი), მაგრამ: **წერია** წიგნში

სწერს (ის მას წერილს), მაგრამ: **წერს** (ის ლექსს)

სწვავს (მას თვალებს), მაგრამ: **წვავს** (ხორცს)

სწორავს (ის სამშობლოს სიცოცხლეს), მაგრამ:
წირავს (მღვდელი)

სწორად – **სწორედ**; **სწორად**: ა) მართებულად (**სწორად** მოიქცა); ბ) წრფივი ხაზით, არაირიბად (გზა **სწორად** მიდის); გ) ტოლად, თანაბრად (**სწორად** შეჭრა); **სწორედ**: ზუსტად, სახელდობრ (**სწორედ** ახლა / აქ...)

სწორი (სწორად)

სწყდება (დილი ხალათს / მას გული), მაგრამ:
წყდება (თოკი)

სწყენს (მას საჭმელი), მაგრამ: **სწყინს** (მას კრიტიკა)

სწყვეტს (ხეს ფოთოლს / ვინმეს გულს),
მაგრამ: **წყვეტს** (ის საკითხს)

სწყურია [და არა წყურია] (მას)

სჭამს (მას ჭირს), მაგრამ: **ჭამს** (პურს)

სჭარბობს (ერთი მეორეს), მაგრამ: **ჭარბობს** (ბევრია)

სჭირდება [და არა ჭირდება]

სჭირს (მას გრიპი), მაგრამ: **ჭირს** (გამწელებულია)

სხედან (ისინი), მაგრამ: **ზის** (ის): სუბიექტის რიცხვის მიხედვით ფუძემონაცვლე ზმნებია;
შდრ.: **ზიხართ** (ქალბატონო, თქვენ სად **ზიხართ?**)

სხვა (სხვისა¹)

სხვადასხვა ქვეყანა / წიგნი... [და არა სხვადასხვა ქვეყნები, წიგნები...]; იხ. **ამდენი**

სხვაობს; სხვაობდა

სჯერა; სჯეროდა

სჯის [და არა შჯის] (მას), შდრ.: **რჯის** (რა რჯის?)

სჯობია (ის მას), მაგრამ: **ჯობია** (ასე)

სჯობნის; სჯობნიდა; სჯობნიდეს [და არა ჯობნის, ჯობნიდა, ჯობნიდეს] (იგი მას)

სჯობს // სჯობია (ის მას), მაგრამ: **ჯობს // ჯობია** (გვიან მოსვლა)

[**სჯული** ძვ. //] **რჯული** [და არა შჯული]

ტ

ტაბულა (ტაბულისა¹)

ტანვარჯიში; სატანვარჯიშო

ტანი სამოსი (ტანისამოსს)

ტანმოვარჯიში (ტანმოვარჯიშისა¹)

ტანსაცმელი (ტანსაცმლისა¹)

ტანჯავს; ტანჯა; უტანჯავს

ტაქიკარდია [და არა ტახიკარდია]

ტაქსი (ტაქსიმ, მიც. ტაქსის, ტაქსიში) [და არა ტაქსმა, ტაქსს, ტაქსში]

ტაქტი [და არა ტაკტი]: 1. მუსიკალური მეტრული ერთეული; 2. დრო თანაბარ დარტყმებს შორის; 3. გადატ. ზომიერების გრძნობა, თავდაჭერილობა

ტაქტიანი [და არა ტაკტიანი]

ტაქტიკა [და არა ტაკტიკა]: 1. ბრძოლის მოზადებისა და წარმოების თეორია და პრაქტიკა; 2. დასახული მიზნის მისაღწევად ხერხებისა და საშუალებების ერთობლიობა

ტაქტიკური [და არა ტაკტიკური]: ტაქტიკაზე დამყარებული

ტაძარი (ტაძრის^ა)

ტახტრევანი (ტახტრევნის^ა)

ტევადი; ტევაღობა

ტელეკამერა (ტელეკამერის^ა)

ტელეკომპანია (ტელეკომპანიის^ა)

ტელეკომპანია „იმედი“ („მზე“...) / „იმედმა“ („მზემ“...) / „იმედს“ („მზეს“...) / „იმედის“ („მზის“...) / „იმედით“ („მზით“...) / „იმედად“ („მზედ“...); „იმედში“ („მზეში“...)

ტელემაუწყებლობა (ტელემაუწყებლობის^ა)

ტელემაყურებელი (ტელემაყურებლის^ა)

ტელეპათი [და არა ტელეპატი]

ტელესტუდია (ტელესტუდიის^ა)

ტემპერატურა; ტემპერატურული

ტენდენცია; ტენდენციური

ტენდერი; ტენდერული; სატენდერო

ტერასა (ტერასის^ა) (// ტერასი)

ტერაქტი (ტერორისტული აქტი)

ტერიტორია; ტერიტორიული

ტერმინი

ტერორი

ტერორიზება // დატერორება

ტერორიზმი (ტერორიზმმა)

ტერორისტი; ტერორისტული

ტესტი; ტესტური

ტესტირება; ტესტირებული

ტექნიკა (ტექნიკის^ა): **ტექნიკური** [და არა ტეხნიკა, ტეხნიკური]

ტექნიკოსი [და არა ტეხნიკი]

ტექნოლოგია; ტექნოლოგიური

ტექსტი; ტექსტობრივი [და არა ტექსტუალური]

ტენს [და არა ტენავს] (ჭიქას), მაგრამ: **ამტვრევს / ამსხვრევს** (ჭურჭელს): ობიექტის რიცხვის მიხედვით ფუძემონაცვლე ზმნებია

ტიკტიკებს [და არა ტიკტიკობს]

ტიპი; ტიპური; ტიპობრივი [და არა ტიპური]

ტირე (ტირეს^ი)

ტირი, ვტირი [და არა ტირიხარ, ვტირივარ];

იხ. ვკივი

ტირი შენ, მაგრამ: **დასტირი, მისტირი** (შენ მას)

ტიტანი: ტიტანური
ტიტველა (ტიტველას¹)
ტიტველი (ტიტველად)
ტიტული; ტიტულიანი
ტკბილი (ტკბილად); **უტკბესი**
[ტკივა, ტკიოდა კი არა] **სტკივა;** **სტკიოდა**
ტოვებს [და არა სტოვებს]
ტოლერანტობა // **შემწყნარებლობა**
ტოლერანტული // **შემწყნარებლური**
ტომარა (ტომრის¹)
ტომოგრაფია (ტომოგრაფიის¹)
ტოპონიმი (ტოპონიმმა)
ტოროლა (ტოროლას¹)
ტოტალური (ტოტალურად)
ტოქსიკური [და არა ტოქსიური]
ტოქშოუ [და არა თოქშოუ, თოქშოუ]
ტრაბახა (ტრაბახას¹)
ტრაბახი (// **ტრაბახობა**)
ტრაგედია (ტრაგედიის¹)
ტრაგიკომედია; **ტრაგიკომიკური**
ტრაგიკული [და არა ტრადიკული]
ტრადიცია; **ტრადიციული** (ტრადიციულად)
ტრავმა [და არა ტრამვა]; **ტრავმული** (// **ტრავ-
მატული**)
ტრამვაჲ (ტრამვაიმ, მიც. ტრამვას)
ტრანსლაცია [და არა ტრანსლიაცია]

ტრანსფორმატორი: ტრანსფორმატორული
ტრანსფორმაცია: ტრანსფორმაციული
ტრანსცენდენტური: 1. ფილოს. ცდის გარეშე არსებული, ლოგიკურ-განყენებული, შემეცნებისთვის მიუწვდომელი; 2. მათ. რასაც ალგებრულად ვერ გამოიანგარიშებენ; შდრ., **ტრანსცენდენტალური** (კანტის იდეალისტური ფილოსოფიური მოძღვრება)
ტრანშეა (ტრანშეის¹)
ტრაფარეტი: ტრაფარეტული
ტრაქტატი
[ტრალედია, ტრალიკური კი არა] **ტრაგედია;**
ტრაგიკული
ტრეკი // **ველოდრომი**
ტრენინგი [და არა ტრეინინგი]
ტრეფიკინგი [და არა ტრეპიკინგი]: ადამიანებით ვაჭრობა
ტრიბუნა – ტრიბუნი; **ტრიბუნა:** 1. საგანგებოდ მოწყობილი ამაღლებული ადგილი ორატორისათვის; 2. ნაგებობა (სტადიონზე, მოედანზე...), რომელსაც აქვს საფეხურებრივი ამაღლებული რიგები დასაჯდომად (მაყურებელთათვის); 3. გადატ. იარაღი, საშუალება, რომელსაც იყენებენ პოლიტიკური, პუბლიცისტური ან საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის (გაზეთი იყო მისი **ტრიბუნა**); **ტრიბუნი:** 1. ძველ რომში სახელმწიფო და საზოგადოებრივი თანამდებობის პირი, რომელსაც თავდაპირველად ევალებოდა პლებეების უფლე-

ბათა დაცვა; 2. გადატ. საზოგადო მოღვაწე, გამოჩენილი ორატორი და პუბლიცისტი, რომელიც თავის გამოსვლებში იცავს რომელიმე საზოგადოებრივი ჯგუფის ინტერესებს

ტრილოგია (ტრილოგიის^ა)

ტრიუმფი: ტრიუმფული (// **ტრიუმფალური**):

ტრიუმფალური თაღი
[ტრომბიკი არა] თრომბი

ტროპიკი: ტროპიკული

ტროტუარი

ტროფეი (ტროფეიმ, მიც. ტროფეის)

ტუბერკულოზი [და არა ტუბერკულიოზი]

ტურნე (ტურნეს^ა)

ტურნირი

ტუტი (ტუტის^ა)

ტყდება, გატყდა (ერთი), მაგრამ: **იმტკრევა, დაიმტკრა / იმსხვრევა, დაიმსხვრა** (ბევრი): სუბიექტის რიცხვის მიხედვით ფუძემონაცვლე ზმნებია

ტყე (ტყის^ა): **სატყეო; მეტყევე**

ტყემალი (ტყემლის^ა)

ტყვე (ტყვის^ა)

ტყუი [და არა ტყუიხარ]

ტყუილი (ტყუილად)

ტყუილუბრალო (ტყუილუბრალოდ) [და არა ტყვილუბრალო, ტყვილუბრალოდ]

უ

უამბია [და არა უამბნია]

უამრავი ბავშვი, წიგნი... [და არა უამრავი ბავშვები, წიგნები...]; იხ. **ბევრი**

უარყოფი; უარყოფი; უარმიყვია [და არა ვუარყოფ, ვუარყოფი, ვუარმიყვია]

უახლოებს [და არა უახლოვებს]

უახლოესი [და არა უახლოვესი]

უბამს [და არა უბავს] (მხარს); იხ. **აბამს**

უბარი (უბრად)

უბე (უბის^ა)

უბედო (ვისაც ბედი არა აქვს, ბედი არ სწყალობს, უიღბლო); **უბედობა**; შდრ.: **უბედური** (1. ცუდი ბედის მქონე – **უბედურ** კაცს ქვა აღმართში მიეწევაო; 2. გადატ., საუბ. ცუდი, აუტანელი – **უბედური** ხასიათი აქვს); **უბედურება**

უბირი: უმეცარი, უვიცი

უგზობა

უგზო-უკვლო (უგზო-უკვლოდ)

უგონო (უგონოდ)

უგრძნია (მიგრძნია, გიგრძნია) [და არა უგრძნია, მიგრძნია, გიგრძნია]

უგულებელყოფი; უგულებელყოფი; უგულებელმიყვია [და არა ვუგულებელყოფ]

უგულველვეყოფი; ვუგულველვეყოფი, უგულველვეყოფი; უგულველვეყოფი

უგუნური [და არა უგნური]

უდაბნო: 1. დედამიწის დაუსახლებელი ნაწილი, ჩვეულებრივ, სრულიად უწყლო და უმცენარეო; 2. ძვ. განმარტებით მდგარი მონასტერი; შ დ რ.: **უდაბური:** 1. დაუსახლებელი, მივარდნილი, მიუვალი (ადგილი); 2. გაუვალი, დაბურული, უღრანი (ტყე)

უდავო; უდავოდ [და არა უდაო, უდაოდ]

უდანაკარგოდ

უდანაშაულო; უდანაშაულობა

უდგახარ; უდგახართ [და არა უდგეხარ, უდგეხართ]

უებარი (წამალი / მალამო / საშუალება...) – **უებრო** (მეგობარი / ადამიანი / მოსაუბრე...)

უეფა: ევროპის საფეხბურთო ასოციაციების გაერთიანება

უეცრად // უეცრივ

უეჭველი; უეჭველად: ზეპირ მეტყველებაში დროდადრო ისმის: **უეჭველი** მოვა, **უეჭველი** გააკეთებს... **უეჭველი** ჩვეულებრივი მსახდვრელია და ზმნასთან მისი დაკავშირება (სახ. ბრუნვის ფორმით) უჩვეულო და უმართებულოა. ასეთ შემთხვევებში ვითარებითი ბრუნვა უნდა გამოვიყენოთ: **უეჭველად** მოვა / გააკეთებს...

უვერტიურა [და არა უვერტურა]

უვითარდება [და არა უნვითარდება]; იხ. **ავითარებს**

უვითარებს [და არა უნვითარებს]; იხ. **ავითარებს**

უვნებელვეყოფი; უვნებელვეყოფი; უვნებელვეყოფი [და არა ვუვნებელვეყოფი, ვუვნებელვეყოფი; ვუვნებელვეყოფი, ვუვნებელვეყოფი; ვუვნებელვეყოფი, ვუვნებელვეყოფი]

უზის (ვუზივარ, უზიხარ), მაგრამ: უსხედან (ვუსხედვართ, უსხედხართ): სუბიექტის რიცხვის მიხედვით ფუმემონაცვლე ზმნებია

უზმო (უზმოდ, უზმოზე)

უზრდის; უზარდა; უზრდია

უზრუნველვეყოფი; უზრუნველვეყოფი; უზრუნველვეყოფი [და არა ვუზრუნველვეყოფი, ვუზრუნველვეყოფი; ვუზრუნველვეყოფი, ვუზრუნველვეყოფი; ვუზრუნველვეყოფი, ვუზრუნველვეყოფი]

უზუსი (უზუსს)

უთავოდ; უთავობა

უთვალ (კაცი), მაგრამ: **უთვლო** (ბეჭედი)

უთუოდ; უთუობა

უთქვამს [და არა უთქვია]

უიდეო [და არა უიდეო]

უიკენდი [და არა უიქენდი]

უიმიხოდ; უიმიხობა

უკავია // უჭირავს: ა) რამე აქვს ხელში (წიგნი უკავია // უჭირავს); ბ) ფლობს ამა თუ იმ ად-

გილს (დიდი ადგილი **უკავია** // **უჭირავს**);
მაგრამ: თავი კარგად (მაღლა, ამაყად) **უჭირავს**; ადგილი (თანამდებობა / პოსტი) **უკავია**
უკეთ, უკეთესად
უკვდავყოფ; უკვდავყავი; უკვდავმიყვია
[და არა ვუკვდავყოფ, ვუკვდავყავი, ვუკვდავმიყვია]
უკვეთს [და არა უკვეთავს]
უკითხავს [და არა უკითხია] (თურმე)
უკმარობა // უკმარისობა
უკმაყოფილება
უკმეფს; უკმია; უკმეფია (გუნდრუკი)
უკმენი; უკმენობა
უკურნებელი (უკურნებლის^ა)
ულაგია; ელაგა; ლაგები
ულაპარაკია; ელაპარაკა [და არა ულაპარაკნია, ელაპარაკნა]
ულევი // ულეველი
ულმობელი (ულმობლად)
ულოგიკო; ულოგიკობა
უმაგისო(დ); უმაგისობა
უმადლო: ვისაც მადა არა აქვს; **უმადლოდ:** მადის უქონლად; უხალისოდ
უმაღური: ვინც ვინმეს მაღლს, სიკეთეს, ამაგს არ აფასებს (**უმაღური** ამხანაგი); **უმაღურად:** სიკეთის, მაღლის დაუფასებლად
უმაღურობა (// **უმაღურება**)

უმარტავს [და არა უნმარტავს]; იხ. **ავითარებს**
უმასპინძლებს; უმასპინძლა; უმასპინძლებია
უმდაბლესი (უმდაბლესს, უმდაბლესად)
უმეტეს: მით უმეტეს; მით უფრო
უმეფია
უმეცრება
უმკურნალია (მას), **მაგრამ: უმკურნალეზია** (მას მისთვის)
უმოქმედია [და არა უმოქმედნია]
უმოქმედო; უმოქმედობა
უმოდრაო(დ); უმოდრაობა
უმსგავსი (უმსგავსს) // **უმსგავსო**
უმსგავსობა [და არა უმსგავსობა]
უნახავი (უნახავად), **მაგრამ: უნახაობა**
უნახავს [და არა უნახია] (თურმე)
უნებლიე (მომრაობა)
უნებლიეთ (ნებისთ თუ უნებლიეთ) – **უნებურად** (ჩემდა უნებურად)
უპოვის; უპოვა; უპოვია
უპრეცედენტო [და არა უპრეცედენტი]
უჟამო (უჟამოდ) // **უდროო** (უდროოდ)
ურტყამს [და არა ურტყავს]; იხ. **აბამს**

ურჩევნია [და არა ურჩევია] (მეცადინეობას
თამაში **ურჩევნია**), მაგრამ: **ურჩევია** (რჩევა
მიუცია)

ურჩევნია; ერჩინა; ერჩინოს

ურჩევს; ურჩია; ურჩევია; ერჩია

უსასოო; უსასოობა [და არა უსასო, უსასო-
ება]

უსაფრთხო; უსაფრთხოება (// **უსაფრთხოობა**)

უსაქმო; უსაქმური; უსაქმურობა

უსვამს [და არა უსვავს, უსმევს]; იხ. **აბამს**

უსვამს [და არა უსვია] (თურმე)

უსიერი (ტყე)

უსიტყვო; უსიტყვობა

უსუნებს; უსუნა; უსუნებია

უტაქტო; უტაქტობა

უტიფარი (უტიფრად); **უტიფრობა**

უტოპია; უტოპიური

უტრირება (რისამე მეტისმეტად გახაზვა, გა-
ზვიადება და ამით სინამდვილის დამახინ-
ჯება): **უტრირებული**

უუარია (თურმე)

უფალი (უფლის^ა)

უფართოებს [და არა უფართოვებს], მაგრამ:

უფართოვდება

უფლება (უფლების^ა)

უფლისწული

უქმე (არასამუშაო დღე) – **უქმი** (უსარგებლო,
გამოუსადეგარი, ფუჭი)

უქნარა (უქნარას^ა)

ულალატია; ელალატა; ელალატოს [და არა
ულალატნია, ელალატნა, ელალატნოს]

უყვება; მოუყვა (ამბავს) [და არა მოუყვა ამ-
ბავი]

უშოვის; უშოვა; უშოვია (// **უშოვნის; უშოვ-
ნა; უშოვნია**)

უჩინარი (უჩინარის^ა), მაგრამ: **უჩინრად**

უცბად; უცებ

უცნია [და არა უცვნია]

უცოდინარი; უცოდინარობა

უცხო; საუცხოო (საუცხოოდ)

უცხოეთი; უცხოელი; უცხოური // **უცხო**
(ენა)

უცხოობს; იუცხოვა; უუცხოვია // **უუცხოე-
ბია**

უწყება; უწყებრივი

უწყებათშორისი

უწყვია; ეწყო; სწყობია

უხვი [და არა მაღალი] (მოსავალი)

უჯერი (ხსნარი)

უჯეროდ (შდრ.: **ჯეროვნად**)

ფ

ფაბულა (ფაბულის^ა): **ფაბულური**

ფავორიტი: **ფავორიტული**

ფანტასტიკა: **ფანტასტიკური** [და არა ფანტასტიური]

ფართო [და არა ფართე]

ფართომასშტაბიანი

ფარშავანი [და არა ფარშევანი]

ფაქსი: კავშირგაბმულობის საერთაშორისო სატელეფონო ფაქსიმილური სისტემა

ფაქსიმილე (ფაქსიმილეს^ი): 1. ხელნაწერის, საბუთის და მისთ. ზუსტი პირი; 2. ვინმეს ხელმოწერის კლიშე, ბეჭედი

ფაქტი – **ფაქტორი**; **ფაქტი**: 1. ნამდვილი, ჭეშმარიტი ამბავი (შემთხვევა, მოვლენა); 2. სინამდვილე, რეალობა; 3. მონაცემი, მასალა რაიმე მოსაზრების დასადასტურებლად, დასკვნის გასაკეთებლად; **ფაქტორი**: რაიმე მოვლენის, პროცესის მიზეზი, მამოძრავებელი ძალა

ფაქტობრივი [და არა ფაქტიური]

ფაქტურა: **ფაქტურული**

ფეიერვერკი

ფემინიზმი (ფემინიზმმა)

ფემინისტი: **ფემინისტური**

ფენომენი: **ფენომენური** (// **ფენომენალური**)

ფენს (ის სარეცხს), მაგრამ: **ჰფენს** (ის მას შუქს)

ფერია (ფერიის^ა)

ფერისცვალება

ფერწერა: **ფერწერული**; **ფერწერთი**

ფეხმძიმე (ფეხმძიმის^ა, ფეხმძიმედ)

ფეხსაცმელი (ფეხსაცმლის^ა, მაგრამ: **ფეხსაცმელები**)

ფეხშიშველა (ფეხშიშველას^ი) [და არა ფეხშველა]

ფიასკო: სრული მარცხი

ფიგურალური – **ფიგურული**; **ფიგურალური**: ხატოვანი (თქმა, გამოთქმა); **ფიგურული**: 1. რაიმე ფიგურის სახისა; 2. ფიგურული სრიალი

ფიდე (ფიდეს^ი): ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაცია

ფილანთროპი(ა) [და არა ფილანტროპი(ა)]

ფილოლოგია: **ფილოლოგიური** (კვლევა), მაგრამ: **ფილოლოგიის** მეცნიერებათა კანდიდატი / დოქტორი

ფინალი: **ფინალური**

ფინალისტი

ფინანსისტი

ფინანსური

ფირმა (ფირმის^ა): **საფირმო**

ფისკალური

ფიფა: საფეხბურთო ასოციაციების საერთაშორისო ფედერაცია

ფიქცია: **ფიქციური** [და არა ფიქტიური]: არანამდვილი, მოსაჩვენებელი, ყალბი

ფლეგმა; ფლეგმატური

ფლეში (ფლეში)

ფლიგელი

ფლირტი // არშიყობა

ფოლკლორი: **ფოლკლორული**

ფორმალიზმი (ფორმალიზმმა)

ფორმალისტი: **ფორმალისტიური**

ფორმალური: 1. გარეგნული, არაარსებითი (**ფორმალური** მხარე); 2. არარეალური, არამოქმედი; ფიზიკურად რომ არ არსებობს (**ფორმალური** ორგანიზაცია); შ დ რ.: **ფორმალისტური:** არსებითად ფორმას რომ მიიჩნევს და არა იდეურ შინაარსს (**ფორმალისტურ-ფუტურისტული** ლექსები)

ფორმატი: 1. წიგნის, ფურცლის, ბარათის და მისთ. ზომა (**მცირე ფორმატის** წიგნი). ეს სიტყვა პოლიტიკაში გადატანით **წესის, პრინციპის, რეჟიმის, პირობების** მნიშვნელობით იხმარება, ხშირად – უმართებულოდ; მაგ., ხელისუფლება მზად არის, ოპოზიციას ნებისმიერ **ფორმატში** შეხვდეს; უ მ ჯ ო ბ ე ს ი ა: ხელისუფლება მზად არის, ოპოზიციას ნებისმიერ **პირობებში** შეხვდეს

ფორტე (ფორტეს¹)

ფორტუნა (ფორტუნის¹)

ფორუმი (ფორუმმა)

ფსიქიკა – ფსიქოლოგია: ზეპირ მეტყველებაში ხშირად **ფსიქიკის** ნაცვლად ისმის **ფსიქოლოგია**, რაც უმართებულოა. **ფსიქიკა:** სულიერ განცდათა ერთობლიობა, როგორც შედეგი ცნობიერებაში ობიექტური სინამდვილის ასახვისა (ბავშვის **ფსიქიკა**); **ფსიქოლოგია:** ფსიქიკის შემსწავლელი მეცნიერება

ფსიქოზი: **ფსიქოზური** [და არა ფსიხოზი, ფსიხოზური]

ფსიქოლოგია: **ფსიქოლოგიური** [და არა ფსიხოლოგია, ფსიხოლოგიური]

ფსიქოპათი; ფსიქოპათია [და არა ფსიქოპატი(ა), ფსიხოპატი(ა)]

ფუნდამენტი: **ფუნდამენტური** [და არა ფუნდამენტალური]

ფუნიკულიორი

ფუნქცია: **ფუნქციური** [// **ფუნქციონალური**]

ფუნქციონერი (პოლიტიკური პარტიის ან საზოგადოებრივი ორგანიზაციის აქტივისტი):

ფუნქციონერული

ფუნქციონირება (ფუნქციონირებს)

ფუნქციური (ფუნქციური მოშლილობა, მე დ.) –

ფუნქციონალური (ფუნქციონალური ანალიზი, მ ა თ ე მ.)

ქ

ქადაგი (ქადაგად დაეცა // დავარდა)

ქათინაური // **კომპლიმენტი**

ქალბატონი (ბატონი): ქალბატონი და ბატონი (მსაზღვრელად ხმარებისას) ისევე იბრუნვიან, როგორც შესაბამისი თანხმოდანფუძიანი ზედსართავი სახელები: **ქალბატონმა / ბატონმა** (ქეთევანმა / დავითმა); **ქალბატონ / ბატონ** (ქეთევანს / დავითს); **ქალბატონი / ბატონი** (ქეთევანის / დავითის)... **ქალბატონო / ბატონო** (ქეთევან! / დავით!)

ქაოსი: ქაოსური [და არა ქაოტური]

ქარვასლა (ქარვასლის^ა)

ქარიშხალა (ქარიშხალას^ი)

ქარიშხალი (ქარიშხლის^ა)

ქარხანა (ქარხნის^ა): **ქარხნული** (წესით); **საქარხნო** (დასახლება)

[ქასტინგი კი არა] **კასტინგი**

ქალალდი: საქალალდე (საქალალდის^ა)

ქაჩალა (ქაჩალას^ი)

ქაჩალი (ქაჩლის^ა)

[ქვანტური კი არა] **კვანტური** (ფიზიკა)

ქველი; ქველობა // **სიქველე**

ქველმოქმედება; ქველმოქმედებითი; საქველმოქმედო

ქველმოქმედი [და არა ქველმომქმედი]

ქვემოთ [და არა ქვემოდ] // **ქვევით**, მაგრამ: როგორც **ქვემოთ** აღვნიშნეთ...

ქვეყანა (ქვეყნის^ა): **საქვეყნო**

[ქვია, ქვიოდა კი არა] **ჰქვია; ერქვა**

[ქვორუმი კი არა] **კვორუმი**

[ქვოტა კი არა] **კვოტა**

ქირომანტი(ა) [და არა ხირომანტი(ა)]

ქირურგი [და არა ხირურგი]

ქმარი (ქმრის^ა): **საქმრო**

ქოლერა [და არა ხოლერა]

[ქონდა კი არა] **ჰქონდა**

ქორალი [და არა ხორალი]

ქორმაისტერი [და არა ქორმეისტერი, ხორმაისტერი]

ქორო [და არა ხორო]

ქრის [და არა ჰქრის]

ქრონიკა [და არა ხრონიკა]

ქრონიკალური – ქრონიკული; ქრონიკალური: ქრონიკის ხასიათისა (ფილმი); **ქრონიკული:** ხანგრძლივი, მუდმივი, მოურჩენელი (დაავადება)

ქსენოფილია: ზოგადად უცხოელისა და უცხოურის სიყვარული

ქსენოფობია: ზოგადად უცხოელისა და უცხოურის სიძულვილი

ქსეროქსი (ქსეროქსს)

ქუხილი: ჭეკა-ქუხილი
ქუხს; ქუხდა; ქუხდეს
[ქცალია კი არა] **გცალია**
[ქცივა კი არა] **გცივა**

ღ

[ღებულობს, ღებულობდა კი არა] **იღებს;**
იღებდა

[ღერბი კი არა] **გერბი**

ღერი – **ღერო; ღერი:** ცალი (ასანთის / შეშის / თმის / ბეწვის / ბალნის / ულვაშის / ბალახის... **ღერი**); **ღერო:** მცენარის ძირითადი ორგანო, ტანი, რომელზედაც ტოტები და ფოთლებია გამოსხმული (ხის / სიმინდის... **ღერი**)

ღვეზელი (ღვეზლის^ა), თუმცა **სასაუბრო მეტყველებაში ღვეზელი** შეუკუმშავი ვარიანტიტაც გვხვდება (ღვეზელისა, მრ. ღვეზელები)

ღვთისმშობელი (ღვთისმშობლის^ა) [და არა ღვთიშობელი, ხვთიშობელი]

ღვთისნიერი [და არა ხვთისნიერი]

ღვინო (ღვინის^ა, მაგრამ: **ღვინოები**)

[ღზრდის კი არა] **ზრდის**

ღია: ზეპირ მეტყველებაში ხშირად ისმის: **ღიად** ამბობს, **ღიად** უპირისპირდება, **ღიად** ებრძვის, **ღიად** უჭერს მხარს და ა.შ. უმჯობესია: **აშ-**

კარად / პირდაპირ / დაუფარავად / დაუმალავად ამბობს; **პირდაპირ / დაუფარავად** ებრძვის; **დაუფარავად / აშკარად** უჭერს მხარს და ა.შ.

ღმერთი (ღმერთის^ა // ღვთის^ა // ღმრთის^ა),
მაგრამ: დიდი / მაღალი **ღმერთის...**

ღობე (ღობის^ა)

ღობე-ყორე (ღობე-ყორის^ა)

ღრმაშინაარსიანი

ღუმელი (ღუმლის^ა), თუმცა **სასაუბრო მეტყველებაში ღუმელი** შეუკუმშავი ვარიანტიტაც გვხვდება (ღუმელისა, მრ. ღუმელები)

ყ

ყენი (// **ყენი**); **ყენობა**

ყავა (ყავის^ა): **საყავე**

ყავახანა (ყავახანის^ა)

ყავისფერი (ყავისფრად)

[ყავს, ყავდა, ყოლია კი არა] **ჰყავს; ჰყავდა;**
ჰყოლია

[ყავხარ, ყევხარ კი არა] **ჰყავხარ; იხ. ვგავარ**

ყაზარმა: ყაზარმული (ყაზარმული პირობები)

ყანა (ყანის^ა): **საყანე**

ყარაჩოხელი (მრ. ყარაჩოხელები), თუმცა **სასაუბრო მეტყველებაში** გვხვდება: ყარაჩოღელი, ყარაჩოღელები

ყბაღაღებული

ყბაყურა (ყბაყურას¹)

ყვაავის [და არა ჰყვაავის] (ბალი)

[ყვარებია, ყვარებოდა, ყვარებოდეს კი არა]

ჰყვარებია; ჰყვარებოდა; ჰყვარებოდეს

ყველა მოვიდა, წერს... [და არა ყველა მოვიდნენ, წერენ...], მაგრამ: **ყველანი მოვიდნენ, წერენ...**

ყველა მოსწავლე, წიგნი, მეგობარი... [და არა ყველა მოსწავლეები, წიგნები, მეგობრები...]; იხ. **ამდენი**

ყველა – **ყოველი**; **ყველა**: უკლებლივ, მთლიანად (**ყველა** მოვიდა); **ყოველი**: მრავლიდან თითოეული (**ყოველი** ჩვენგანი)

ყვითელი (ყვითლად)

ყვირი [და არა ყვირიხარ]; იხ. **კვივი**

ყიღლა [და არა ყიდიდა]

ყიღვა, მაგრამ: **სყიდვითი** (უნარიანობა)

ყიღვა-გაყიღვა

ყოველდღე / **ყოველთვე** / **ყოველკვირა** (ერთსა და იმავეს აკეთებს), მაგრამ: **ყოველდღეს** / **თვეს** / **კვირას** (ახალი საზრუნავი მოაქვს)

[ყოლია, ყოლოდა კი არა] **ჰყოლია; ჰყოლოდა**

[ყოფნის კი არა] **ჰყოფნის**

ყრია (ბევრი), მაგრამ: **გღია** (ერთი): სუბიექტის რიცხვის მიხედვით ფუძემონაცვლე ზმნებია

ყუა (ყუის¹)

ყუათიანი

ყულაბა (ყულაბის¹)

ყუმბარა (ყუმბარის¹)

ყურადსაღები

ყურანი

ყურე (ყურის¹)

[ყურებადი ფილმია / გადაცემა... კი არა] ამ ფილმის / გადაცემის... **ყურება შეიძლება**, ანდა: **კარგი საყურებელი** ფილმია / გადაცემა...

ყურით მოთრეული

ყურის გამაზვილება

ყური სგდება

ყურის დაგდება (ყურს დაუგდებს)

ყურის თხოვება (ყურს ათხოვებს)

ყური სმგდებელი (ყურისმგდებლის¹)

ყურის მეზობელი (ყურის მეზობლის¹)

ყურის მოკვრა (ყურს მოჰკრავს)

ყურის შეჩვევა (ყურს შეაჩვევს)

ყურის ძირში

ყურის წამლები // **ყურთწამლები**

ყურმოკვრით; **ყურმოკრული** (ყურმოკრულად)

ყურმოჭრილი (მონა)

ყურშა (ყურშას¹)

ყურცქვიტა (ყურცქვიტას¹)

შ

შაბლონი; **შაბლონური**

შაგრენი (ტყავი)

შადრევანი (შადრევნის^{რა})

შავთვალა (შავთვალას^{რი})

შავი ღლე (შავი ღლის^{რა})

შავი მაგია (შავი მაგიის^{რა})

შავი ფული

შავტუნა (შავტუნას^{რი})

შაკიკი

შამპანური [და არა შამპანიური]

შანტაჟი; **შანტაჟირება**

შანტაჟისტი

შარავანდელი

შარახვეტია (შარახვეტიას^{რი})

[შარი კი არა] **ბურთი** (ბილიარდისა)

შარი (მოსდო)

შაქარლამა (შაქარლამის^{რა})

შაშანა (შაშანის^{რა})

შაჰი [და არა შახი]

[შეაგზავნის კი არა] **შეგზავნის**

შეავიწროებს; **შეავიწროვა**; **შეავიწროოს**;
შეუვიწროება

შეაკვრევენებს; **შეაკვრევინა**; **შეუკვრევენება** [და არა შეაკვრევიებს, შეაკვრევენებს; შეაკვრევია, შეაკვრევინა; შეუკვრევიება, შეუკრევენება]; იხ. **აბმევენებს**

შეამჭიდროებს; **შეამჭიდროვა**; **შეუმჭიდროება**

შეანახვინებს; **შეანახვინა**; **შეუნახვინება** [და არა შეანახინებს, შეანახიებს; შეანახინა, შეანახია; შეუნახინება, შეუნახიება]

შეარქმევს; **შეარქვა**; **შეურქმევია**

შეარცხვენინებს; **შეარცხვენინა**; **შეურცხვენინება** [და არა შეარცხვენებს, შეარცხვენია, შეურცხვენება]

შეასახლებინებს; **შეასახლებინა**; **შეუსახლებინება** [და არა შეასახლებიებს, შეასახლებია, შეუსახლებიება]; იხ. **აალებინებს**

შეასრულებინებს; **შეასრულებინა**; **შეუსრულებინება** [და არა შეასრულებიებს, შეასრულებია, შეუსრულებიება]; იხ. **აალებინებს**

შეასწორებინებს; **შეასწორებინა**; **შეუსწორებინება** [და არა შეასწორებიებს, შეასწორებია, შეუსწორებიება]; იხ. **აალებინებს**

შეატყობს; **შეატყო** (**შევატყვე**, **შეატყვე**, **შეატყვეს**); **შეუტყვია**

შეაფასებინებს; შეაფასებინა; შეუფასებინებია [და არა შეაფასებებს, შეაფასებია, შეუფასებებია]; იხ. **აალებინებს**

შეაყვანინებს; შეაყვანინა; შეუყვანინებია [და არა შეაყვანიებს, შეაყვანია, შეუყვანიებია]

შეაშინებინებს; შეაშინებინა; შეუშინებინებია [და არა შეაშინებებს, შეაშინებია, შეუშინებებია]; იხ. **აალებინებს**

შეაჩერებინებს; შეაჩერებინა; შეუჩერებინებია [და არა შეაჩერებებს, შეაჩერებია, შეუჩერებებია]; იხ. **აალებინებს**

შეაცვლევინებს; შეაცვლევინა; შეუცვლევინებია [და არა შეაცვლევებს, შეაცვლევია, შეუცვლევებია]; იხ. **აბმევინებს**

შეაწამვლინებს; შეაწამვლინა; შეუწამვლინებია [და არა შეაწამლიებს, შეაწამლია, შეუწამლიებია]

შეაჭრევინებს; შეაჭრევინა; შეუჭრევინებია [და არა შეაჭრევებს, შეაჭრევია, შეუჭრევებია]; იხ. **აბმევინებს**

შეგზავნის [და არა შეაგზავნის]

შეგროვებულნი: ვინც ან რაც შეაგროვეს; შდრ.: **შეგროვილი**: ვინც ან რაც შეგროვდა

[შეგუბებია კი არა] **შეჰგუბებია** (ის მას)

შედგება (ის სკამზე), მაგრამ: **შესდგება** (ის მას ფეხით)

შედგენილობა – შემადგენლობა; შედგენილობა არაადამიანთა სახელებთან იხმარება (ატომის / მოლეკულის / პროდუქტის... **შედგენილობა**); **შემადგენლობა** კი ძირითადად გამოიყენება ადამიანთა სახელებთან (კომისიის / ჟიურის **შემადგენლობა**), მაგრამ: **მობრავი შემადგენლობა** (ვაგონები)

შეეგუება; შეეგუა (შეეგუნენ); შეჰგუებია

შეეკითხება; შეეკითხა; შეჰკითხებია // შეჰკითხვია

შეეპუება; შეეპუა (შეეპუნენ); შეჰპუებია

შეეკარდება (ის), მაგრამ: **შეცვივდებიან** (ისინი): სუბიექტის რიცხვის მიხედვით ფუძემონაცვლე ზმნებია

შეეკარდენი (// შავარდენი)

შევატყვე; შეატყვე [და არა შევატყე, შეატყე]

შევიტყვე, შეიტყვე [და არა შევიტყე, შეიტყე]

[შევეურაცხოვ, შევეურაცხოვ კი არა] **შეურაცხვეოფ**

შევეუნყვე; შეუნყვე [და არა შევეუნყე, შეუნყე] (ხელი)

შეზლუდვა (შეზლუდავს): მრ. არა აქვს. უმართებულოა: შეზლუდვები

[შეთავაზებს კი არა] **შესთავაზებს** (ის მას მას)

[შეთხოვს კი არა] **შესთხოვს**

შეიგნებს; შეიგნო (შევიგნე, შეიგნე); **შე-
უგნია**

შეიქმნა – შეიქნა; შეიქმნა: 1. გაკეთდა, აი-
გო, დაარსდა (**შეიქმნა** ახალი სახელმწიფო);

შეიქნა: 1. გახდა, გადაიქცა (ცუდად **შეიქნა**);
2. ატყდა, დაიწყო, გაიმართა (**შეიქნა** დიდი
ჩოჩქოლი). **შეიქმნა** ხშირად უმართებულოდ
იხმარება **შეიქნა** ზმნის მნიშვნელობით: სა-
ჭირო **შეიქმნა** დამატებითი ღონისძიებების
გატარება; უნ და იყო ს: საჭირო **შეიქნა** (**გა-
ხდა**) დამატებითი ღონისძიებების გატარება
[შეკვდომია, შეკვდომოდა, შეკვდომოდეს კი
არა] **შეკვდომია; შეკვდომოდა; შეკვდ-
დომოდეს**

შემოქმედი [და არა შემომქმედი]

შემოქონდა; შემოქონდეს

შემოჰყავს; შემოჰყავდა; შემოჰყავდეს

შემოჰყვება; შემოჰყვა (შემოჰყვევი, შემო-
ჰყევი); **შემოჰყოლია**

შემსრულებელი (შემსრულებლის^ა); **შემს-
რულებლობა; საშემსრულებლო**

შემცოდებელი (შემცოდებლის^ა)

შემცოდველი // შემცოდე [და არა შემცოდა-
ვი]

შემძლებელი (შემძლებლის^ა) // **შემძლე** [და
არა შემძლები]

შემწე (შემწის^ა)

შენიღბა (შენიღბავს)

შენიშვნა [და არა შენიშნვა]

შენსკენ [და არა შენსკენ]

შენს მეგობარს / მეზობელს... [და არა შენ
მეგობარს / მეზობელს...]: მსაზღვრელად გა-
მოყენებისას კუთვნილებით ნაცვალსახელს
მიცემით ბრუნვაში ყოველთვის **-ს** დაბოლო-
ება უნდა ჰქონდეს

შენ წინ / წინაშე / უკან... [და არა შენს წინ /
წინაშე / უკან...], მაგრამ: **შენს მეგობარს /
წიგნს...**

შერაცხავს; შერაცხა; შეურაცხავს

შერაცხვა (შერაცხავს)

შერაცხილი [და არა შერაცხული]

შერჩება; შერჩა; შერჩენილა (ის სოფელში),
მაგრამ: **შერჩენია** (მას საქციელი)

შერცხვება; შერცხვა; შერცხვენილა (ის),
მაგრამ: **შერცხვენია** (მას)

შესაბამისობა [და არა შესაბამობა]

შესაშური // შესაშურებელი (შესაშურებლი-
ს^ა)

შესაწყალებელი (შესაწყალებლად) [და არა
შესაწყალები, შესაწყალი]

შესახედავი (შესახედავად)

შესთავაზებს; შესთავაზა [და არა შეთავა-
ზებს, შეთავაზა]; **შეუთავაზებია**

შესთხოვს; შესთხოვა; შესთხოვოს [და არა შეთხოვს, შეთხოვა, შეთხოვოს]

შესრულება: ზეპირ მეტყველებაში ხშირად იმის: დავალება **შესრულება** (რაც უმართებულოა). უნდა იყოს: ამ დავალების **შესრულება შესაძლებელია** ან ეს დავალება **შესრულდება**

შესტკივა; შესტკიოდა; შესტკიოდეს (მას გული)

შესჩვევია; შესჩვეოდა; შესჩვეოდეს

შესჩივის; შესჩიოდა [და არა შეჩივის, შეჩიოდა]

შესჩივლებს; შესჩივლა [და არა შეჩივლებს, შეჩივლა]; **შეუჩივლია**

შესცივდება (მას), მაგრამ: **შეცივდება** (ღვინო)

შესცოდავს; შესცოდა; შეუცოდავს

შესცოდებს; შესცოდა; შეუცოდებია

შესცქერის; შესცქეროდა; შესცქეროდეს

შესძენს; შესძინა

შესძლებია; შესძლებოდა; შესძლებოდეს

[შესძლებს, შესძლო კი არა] **შეძლებს, შეძლო** (შეგძელი, შეძელი)

შესძულდება; შესძულდა; შესძულებია

შესწევს; შესწევდა (მას ღონე)

შესწევს; შესწია; შეუწევია (უჯრა)

შესწირავს; შესწირა; შეუწირავს [და არა შეწირავს, შეწირა, შეუწირია] (მას ის მისთვის)

შესჯავრდება; შესჯავრდა; შესჯავრებია [და არა შეჯავრდება, შეჯავრდა, შეჯავრებია]

შესჯდება; შესჯდა (შეგჯექი, შესჯექი); **შესჯდომია** (ის მას ზურგზე), მაგრამ: **შესჯდება, შესჯდა** (შეგჯექი, შესჯექი); **შესმჯდარა** (ის ცხენზე)

[შეტევამოა კი არა] **შტევს, შეტევაზე გადადის:** -ში თანდებულისანი ეს ფორმა რუსული გამოთქმის (в атаке) კალკირების შედეგია. მისი სწორი ქართული შესატყვისია **შტევს, შეტევაზე გადადის** (მთელი ჯარი / გუნდი); იხ. -ში

[შეტკივა კი არა] **შესტკივა** (გული)

[შეუარია, შეეარა, შეეაროს კი არა] **შეუვლია; შეევლო; შეევლოს**

შეუბრალებელი (შეუბრალებლად)

შეუგდებს; შეუგდო; შეუგდია (ერთი), მაგრამ: **შეუყრის; შეუყარა; შეუყარია** (ბევრი): ობიექტის რიცხვის მიხედვით ფუძემონაცვლე ზმნებია

შეუგნებელი (შეუგნებლად)

შეუდარებელი (შეუდარებლად)

შეუზღუდავი (// შეუზღუდველი)

შეუზღუდაობა (// **შეუზღუდველობა**)
შეუთანხმდება; **შეუთანხმდა;** **შესთანხმებია**
შეუკერავს [და არა შეუკერია] (თურმე); იხ. **დაუნატავს**
შეუკვეთს; **შეუკვეთა;** **შეუკვეთია**
შეუმკია (**შემიმკია,** **შეგიმკია**)
შეუნიშნავს [და არა შეუნიშნია] (თურმე); იხ. **დაუნატავს**
შეურაცხყოფ; **შეურაცხყავი** [და არა შე-
 ვურაცხყოფ, შევურაცხყავი]
შეურაცხყოფა: მრ. არა აქვს. უმართებულ-
 ლოა: **შეურაცხყოფებს** აყენებდნენ მთელ მო-
 სახლეობას. უნდა იყოს: **შეურაცხყოფას** აყე-
 ნებდნენ მთელ მოსახლეობას
შეუსვამს [და არა შეუსვავს, შეუსვია] (თურ-
 მე); იხ. **აუბამს**
შეუსხამს [და არა შეუსხავს, შეუსხია] (თურ-
 მე); იხ. **აუბამს**
შეუწავს [და არა შეუწვია] (თურმე); იხ. **და-
 უნატავს**
შეუწყობს; **შეუწყო** (**შეუწყვა,** **შეუწყვე**);
შეუწყვია (ხელი)
 [შექონდა, შექონდეს კი არა] **შეჰქონდა;** **შე-
 ჰქონდეს**
 [შელავათები კი არა] **შელავათი:** მრ. არა აქვს.
 უმართებულოა: **შელავათები** (რუსული
 льготы-ს ანალოგიით მიღებული კალკია)

[შეჩივის, შეჩიოდა, შეჩიოდეს კი არა] **შესჩი-
 ვის;** **შესჩიოდა;** **შესჩიოდეს**
 [შეჩივლებს, შეჩივლა კი არა] **შესჩივლებს;**
შესჩივლა
შეცვივლებიან (ისინი), მაგრამ: **შევარდება**
 (ის): სუბიექტის რიცხვის მიხედვით ფუძე-
 მონაცვლე ზმნებია
შეცივდება (ღვინო), მაგრამ: **შესცივდება**
 (მას)
 [შეცქერის, შეცქეროდა, შეცქეროდეს კი არა]
შესცქერის; **შესცქეროდა;** **შესცქერო-
 დეს**
შეძლებს; **შეძლო** (**შევეძელი,** **შეძელი**) [და
 არა შესძლებს, შესძლო]
 [შემძულდება, შემძულდა კი არა] **შესძულდება;**
შესძულდა
შენარის; **შენაროდა;** **შენაროდეს**
შენედავს; **შენედა;** **შეუნედავს** [და არა შე-
 უხედაია]; იხ. **დაუნატავს**
შენედულება [და არა შეხედულობა]
 [შეჯავრდება, შეჯავრდა, შეჯავრებია კი არა]
შესჯავრდება; **შესჯავრდა;** **შესჯავრე-
 ბია**
შეჯდება; **შეჯდა** (ცხენზე), მაგრამ: **შესჯდე-
 ბა** (მას ზურგზე)
შეჯიბრება [და არა შეჯიბრი]
შეჰგუებია; **შეჰგუებოდა;** **შეჰგუებოდეს**

შეპკვდომია; შეპკვდომოდა; შეპკვდომოდეს
შეპქონდა; შეპქონდეს
შეპყავს; შეპყავდა; შეპყავდეს

-**ში**: ეს თანდებული ხშირად უმართებულოდ გამოიყენება: ა) დაიბადა 1930 წელში (უნდა იყოს: დაიბადა 1930 წელს); ბ) წამალი უკვე გაყიდვაშია; ექვმიტანილი მიმალვაშია (რუსულის კალკია, ამ დროს ზმნის პირიანი ფორმა უნდა გამოვიყენოთ: წამალი უკვე იყიდება; ექვმიტანილი იმალება); გ) პარალელურ რეჟიმში მუშაობენ (უნდა იყოს: პარალელური რეჟიმით მუშაობენ); დ) ლარის კურსი დოლართან მიმართებაში (უნდა იყოს: ლარის კურსი დოლართან მიმართებით); ე) ძირითადში ყველაფერი მოგვარდა (უნდა იყოს: ძირითადად ყველაფერი მოგვარდა)

შინ (შინ არის / დაიბარა...)

შინაარსობრივი [და არა შინაარსობლივი]

შინაბერა (შინაბერას^ი)

შიში [და არა შიშები]; იხ. **მუსიკა**

შლაგერი მუს. [და არა შლიაგერი]

შლაპა (შლაპის^ა) [და არა შლიაპა]

შობა-ახალწელიწადი: გილოცავთ **შობა-ახალწელიწადს!** გილოცავთ **შობასა და ახალწელს!**

შორტი (შორტს, მრ. შორტები)

შოუბიზნესი (შოუბიზნესს)

შპალერი [და არა შპალიერი]

[შპიონი, შპიონობა კი არა] **ჯაშუში; ჯაშუშობა**

შტამბი – შტამპი; შტამბი: ხის ნაწილი ფესვის ყელიდან პირველ განშტოებამდე (ხის ტანი); **შტამპი**: 1. დეტალების მოსაჭრელი ლითონის ყალიბი; 2. შაბლონი (გადატ. გამოთქმის გაცვეთილი ფორმა; ტრაფარეტი); 3. ბეჭედი დაწესებულების სახელწოდებით

შუა; შუაზე; შუაში; შუა გზა; შუა საუკუნეები: როგორც თანდებული, მოითხოვს მიც. ბრუნვას (თვალსა და ხელს **შუა**); გეოგრაფიულ სახელთან იწერება ცალკე (**შუა აზია**...)

შუადღე (შუადღის^ა)

[შუავმავლობ კი არა] **ვშუამავლობ**

[შუავმდგომლობ კი არა] **ვშუამდგომლობ**

შუალედი: შუალედური

შუა საუკუნეები [და არა საშუალო საუკუნეები]

შუასაუკუნეობრივი [და არა შუასაუკუნეობრივი]

შუაღამე (შუაღამის^ა)

შუმხუნა (შუმხუნას^ი)

[შჯის კი არა] **სჯის**

[შჯული კი არა] **რჯული; ძვ. სჯული**

ჩ

ჩააბამს [და არა ჩააბავს]; იხ. **აბამს**
ჩააგლებს; **ჩააგლო**; **ჩაუგღია** (ერთი), მაგრამ:
ჩაყრის; **ჩაყარა**; **ჩაუყრია** (ბევრი): ობიექტის რიცხვის მიხედვით ფუძემონაცვლე ზმნებია
ჩაალაგებინებს; **ჩაალაგებინა**; **ჩაულაგებინებია** [და არა ჩაალაგებებს, ჩაალაგებია, ჩაულაგებებია]; იხ. **აალაგებინებს**
ჩაარტყამს [და არა ჩაარტყავს]; იხ. **აბამს**
[ჩაატყვეს კი არა] **ჩატყვეს**
[ჩაატყნევს კი არა] **ჩაატყნის**
ჩააყლაპვინებს; **ჩააყლაპვინა**; **ჩაუყლაპვინებია** [და არა ჩააყლაპინებს, ჩააყლაპვიებს; ჩააყლაპინა, ჩააყლაპვია; ჩაუყლაპვინებია, ჩაუყლაპვიებია]; იხ. **აბარვინებს**
ჩააყოფინებს; **ჩააყოფინა**; **ჩაუყოფინებია** [და არა ჩააყოფიებს, ჩააყოფია, ჩაუყოფიებია]
[ჩააწობს კი არა] **ჩააწებს**
ჩააწყობს; **ჩააწყო** (**ჩააწყვევ**, **ჩააწყვევ**, **ჩააწყვევს**); **ჩაუწყვევია**
ჩადის (კიბეზე), მაგრამ: **სჩადის** (დანაშაულს)
ჩაეკვრება; **ჩაეკრა** (**ჩაეეკარი**, **ჩაეეკარი**); **ჩაპკვრია**

ჩაეფლობა; **ჩაეფლო** (**ჩაეეფალი**, **ჩაეეფალი**);
ჩაფლულა (ის), მაგრამ: **ჩაპფლობია** (ის მას)
ჩაი (ჩაიმ, მიც. ჩაის)
ჩაიდანი (ჩაიდნის^{რა})
ჩაიღებს; **ჩაიღო**; **ჩაუღვია**
ჩაიღენს; **ჩაიღინა**; **ჩაუღენია**
ჩაიხანა (ჩაიხანის^{რა})
ჩამოღის (კიბეზე), მაგრამ: **ჩამოსღის** (ცრემლი / ოფლი)
ჩამოვარდა (ერთი), მაგრამ: **ჩამოცვივდა** (ბევრი): სუბიექტის რიცხვის მიხედვით ფუძემონაცვლე ზმნებია
[ჩამოვყალიბდები ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით კი არა] **ჩამოვყალიბებთ** მოსაზრებას ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ: ის უკვე მეცნიერად **ჩამოყალიბდა**;
იხ. **ვიბეჭდები**
ჩამოპკიდებს (ყელზე მედალიონს), მაგრამ:
ჩამოპკიდებს (კედელზე სურათს)
ჩამოპყავს; **ჩამოპყავდა**; **ჩამოპყავდეს**
ჩანს [და არა სჩანს]
ჩართავს; **ჩართო**; **ჩაურთავს** (თურმე) [და არა ჩაურთავს]; იხ. **დაუხატავს**
ჩართვია; **ჩართოდა**; **ჩართოდეს**
ჩართერი: **ჩართერული** (რეისი): სპეციალური, არაგეგმური რეისი, რომელიც ინიშნება კომპანიის ან კერძო პირის მოთხოვნით

ჩარჩება; ჩარჩა; ჩარჩენილა (ის), მაგრამ: **ჩარჩენია** (მას)

ჩასვამს; ჩასვა; ჩაუსვამს [და არა ჩაუსვია] (თურმე); იხ. **აუბამს**

ჩასწევს; ჩასწია; ჩასწიოს

ჩაუბამს [და არა ჩაუბია] (თურმე); იხ. **აუბამს**

ჩაურტყამს [და არა ჩაურტყავს, ჩაურტყია] (თურმე); იხ. **აუბამს**

ჩაუსხამს [და არა ჩაუსხავს, ჩაუსხია] (თურმე); იხ. **აუბამს**

ჩაძვრება; ჩაძვრა; ჩამძვრალა (თავი სოროში), მაგრამ: **ჩასძვრება; ჩასძვრა; ჩასძრობია** (მას შარვალი)

[ჩაწევს, ჩაწია, ჩაწიოს კი არა] **ჩასწევს, ჩასწია, ჩასწიოს**

ჩაჰკვრია [და არა ჩაკვრია]

ჩაჰკრავს [და არა ჩაკრავს]

ჩემი აზრით [და არა ჩემის აზრით]

ჩემკენ, შენკენ; ჩვენკენ, თქვენკენ [და არა ჩემსკენ, შენსკენ, ჩვენსკენ, თქვენსკენ]

ჩემს მეგობარს, მეზობელს [და არა ჩემ მეგობარს, მეზობელს...]; იხ. **შენს მეგობარს...**

ჩემ წინ / წინაშე / უკან / გვერდით / ზემოთ... [და არა ჩემს წინ / წინაშე / უკან / გვერდით / ზემოთ...]

ჩენს (ვჩენ; ჩენ); ჩენდა; ჩენდეს; ჩენა; ჩენოს; უჩენია (// **ჩენავს**)

ჩენს (ვჩენ; ჩენ); ჩენდა; ჩენდეს; ჩენა; ჩენოს; უჩენია, თუმცა **სასაუბრო მეტყველებაში** გვხვდება: **ჩენავს**

[ჩვევია კი არა] **სჩვევია**

ჩვენგანი [და არა ჩვენთაგანი]; იხ. **-თა-გან**

[ჩვენებია კი არა] **სჩვენებია**

ჩვენ თვალწინ [და არა ჩვენს თვალწინ]

ჩენი აზრით [და არა ჩვენის აზრით]

ჩენი მხრიდან [და არა ჩვენის მხრიდან]

ჩვენ მიერ [და არა ჩვენს მიერ]

ჩვენს წელთაღრიცხვამდე [და არა ჩვენს წელთაღრიცხვამდე]

ჩვენ წინ / წინაშე / უკან... [და არა ჩვენს წინ / წინაშე / უკან...]

ჩივი, ვჩივი [და არა ჩივიხარ, ვჩივივარ]; იხ. **კვივი**

ჩიტუნა (ჩიტუნას¹)

ჩრდილო-აღმოსავლეთი; ჩრდილოეთ-აღმოსავლეთი

ჩრდილო-დასავლეთი; ჩრდილოეთ-დასავლეთი

ჩრდილოეთი // **ჩრდილო ამერიკა / აფრიკა...**

ჩრდილოეთი პოლუსი

ჩრდილოელი [და არა ჩრდილოეთელი]

ჩრდილოური [და არა ჩრდილოეთური]

ჩურჩხელა (ჩურჩხელის^ა)

ჩხრეკს [და არა ჩხრიკავს]; **ჩხრიკა**; **უჩხრე-
კია**

[ჩხუბები კი არა] **ჩხუბი**: მრ. არა აქვს
(უმართებულოა: დაიწყეს **ჩხუბები**)

ც

ცაიტნოტი: ცაიტნოტური

ცალი // ეგზემპლარი

[ცალია კი არა] **სცალია**

ცდომილება (// ცთომილება)

ცდომილი (// ცთომილი)

ცდუნება (// ცთუნება)

[ცემა კი არა] **სცემა** (მან მას)

ცენტრალიზაცია // **ცენტრალიზება**

ცენტრალიზებული

ცენტრალიზტი: ცენტრალიზაციის მომხრე;

შდრ.: **ცენტრიზტი**: პოლიტ. ცენტრიზმის მიმდევარი

ცენტრალიზტური: რაც ცენტრალიზმის (მმართველობის ან ორგანიზაციის სისტემა, რომლის მიხედვითაც ადგილობრივი ორგანოები მოქმედებენ ცენტრის ხელმძღვანელობითა

და მითითებით) პრინციპის მიხედვით ხდება; შდრ.: **ცენტრალური**: 1. ცენტრში მოთავსებული (ქალაქის **ცენტრალური** მოედანი); 2. რაც განკუთვნილია მთელი სისტემის მომსახურებისათვის (**ცენტრალური** გათბობა); 3. მთავარი, უმთავრესი (მიქელანჯელოს **ცენტრალური** ადგილი უჭირავს რენესანსის ეპოქაში)

ცერემონია – **ცერემონიალი**; **ცერემონია**:

1. ოფიციალური ზეიმი წინასწარ განსაზღვრული წესითა და რიგით (დაჯილდოების **ცერემონია**) 2. გადაჭარბებული თავაზიანობა (ამდენი **ცერემონია** მოთმინებას უკარგავდა სტუმარს); **ცერემონიალი**: იხმარება ცერემონიის მხოლოდ პირველი მნიშვნელობით (დაიწყო **ცერემონიალი** / **აღლუმი**)

ცეროლენა (ცეროლენას^ი)

[ცეროზი კი არა] **ციროზი**

ცვივა (ბევრი), მაგრამ: **ვარდება** (ერთი): სუბიექტის რიცხვის მიხედვით ფუძემონაცველ ზმნებია

[ციგანი //] **ბოშა**

ციდა (ციდის^ა): მანძილი გაშლილი სალოკი თითის წვერიდან ცერის წვერამდე; იხმარება სიგრძის საზომ ერთეულად. გადატ. ძალზე მცირე

ციებ-ცხელეა

ცივა (საერთოდ), მაგრამ: **სცივა** (მას)

ცივილიზებული – ცივილური; ცივილიზებული: ცივილიზაციას ზიარებული, კულტურული (**ცივილიზებული ქვეყანა**); **ცივილური:** არასამხედრო, სამოქალაქო (**ცივილური ტანსაცმელი**)

ცილისწამება (ცილს სწამებს)

ცინიკოსი [და არა ცინიკი]

ცინიკური

ცირიზი [და არა ცეროზი]

ცისარტყელა (ცისარტყელას^{რი})

ცისკარა (ცისკარას^{რი})

ცისკარი (ცისკრის^ა)

ცისფერთვალა (ცისფერთვალას^{რი}) // **ცისფერთვალება** (ცისფერთვალებას^{რი})

ცისფერი (ცისფრად)

ციტატა (ციტატის^ა)

ციტაცია; ციტირება; ციტირებული

ციხესიმაგრე (ციხესიმაგრის^ა)

[ცნობადი კი არა] **ნაცნობი** (სახეები)

ცოტა წიგნი, სათამაშო, შეკითხვა... [და არა ცოტა წიგნები, სათამაშოები, შეკითხვები...];
იხ. **ბევრი**

ცრუმორწმუნე (ცრუმორწმუნის^ა)

ცუნამი (ცუნამიმ, მიც. ცუნამის)

ცხადყოფ [და არა ვცხადყოფ, ვცხადვყოფ]

ცხადი (ცხადად)

ცხარე (ცხარის^ა)

ცხელა (საერთოდ), მაგრამ: **სცხელა** (მას)

ცხელი (ცხლად)

ცხრათვალა (ცხრათვალას^{რი})

ცხრება; ცხრებოდა; ცხრებოლეს

ძ

[ძალათი კი არა] **ძალით**

ძალდაუტანებელი (ძალდაუტანებლად // ძალდაუტანებლივ)

ძალზე // ძალიან

ძალისმიერი (მეთოდი) – **ძალოვანი** (ძალოვნის^ა) (სტრუქტურა) – **ძალოსანი** (ძალოსნის^ა) (სპორტსმენი)

ძალმომრეობა; ძალმომრეობითი

ძალმოსილი (// ძალამოსილი)

ძალოსნობა; ძალოსნური

ძალუძს (ძალმიძს, ძალგიძს) // **შეუძლია**

ძე (გიორგის ძე; ძე კაცისა)

ძებნა: ზეპირ მეტყველებაში ხშირად ისმის: აღნიშნული პირი **ძებნაშია**... უნდა იყოს: აღნიშნული პირი **იძებნება**; იხ. – **ში**

ძერა (ძერის^ა)

ბენორციელი

ბვალი (ბვლის^ა)

ბია (ბიას^ი)

[ბინავს კი არა] **ბინავს**

[ბირითადში კი არა] **ბირითადად**; იხ. -ში

ბიბა (ბიბის^ა)

[ბლევს, ძლია კი არა] **ბლევს, ბლია** (მას)

ბმაკაცი; ბმაკაცობა; ბმაკაცური

ბმისშვილი // ბმისწული

ბრავა (ბრავას^ი) [და არა ბრავი]

[ბულს კი არა] **ბულს**

ბუბუბტე (ბუბუბტის^ა)

ბუბუბწოვარა (ბუბუბწოვარას^ი)

ბუბუბწოვარი (ბუბუბწოვარის^ა, მრ. ბუბუბწოვრები)

ბღვენი (ბღვნის^ა); **ბღვნად**

წ

წამახალისებელი (წამახალისებლად) // **წამხალისებელი** (წამხალისებლად)

წამოსწევს; წამოსწია; წამოსწიოს

წამოუვლის; წამოუვლიდა; წამოუვლიდეს,
მაგრამ: **წამოუარა; წამოუაროს**

წამოპყვება; წამოპყვა; წამოპყოლია [და არა წამოყვება, წამოყვა, წამოყოლია]

[წამს კი არა] **სწამს** (მას)

წამძღვარებული

წამწყმელი // წამწყმეელი (წამწყმედლის^ა)

წამხლენი [// წამხლენელი]

წამხელავი; წამხელაობა

წამხელური; წამხელურობა

წარღვება; წარღვა [და არა წარსდგება, წარსდგა]

წარღვენა – წარღვინება; წარღვენა: 1. მიტანა რაიმე წერილობითი საბუთისა (სასამართლოში დოკუმენტების წარღვენა); 2. გაცნობა (დირექტორთან ჩემი წარღვენა ხვალ იქნება); 3. შუამდგომლობა ვინმეს დაჯილდოების, დაწინაურების თაობაზე (ჩინზე წარღვენა დაუპირეს); **წარღვინება:** შუამდგომლობის შემცველი ოფიციალური დოკუმენტი (დირექტორს წარღვინება ფოსტით გავუგზავნეთ)

წარმართავს; წარმართა; წარუმართავს

წარმოადგენინებს; წარმოადგენინა; წარმოადგენინებია

წარმოადგენს; წარმოადგინა; წარმოუდგენია

წარმოაჩენს; წარმოაჩინა; წარმოუჩენია

წარმოთქვამს; წარმოთქვა; წარმოუთქვამს

წარმოიშობა [და არა წარმოიშვება]; **წარმოიშვა**; **წარმოშობილა**

წარმომადგენელი (წარმომადგენლის¹, წარმომადგენლად)

წარმომადგენლობა: **წარმომადგენლობითი წარმოსახვა**; **წარმოსახვითი**; **წარმოსახული**

წარმოუდგენელი (წარმოუდგენლად)

წარმოშობს; **წარმოშვა**; **წარმოუშვია**

წარმოჩნდება; **წარმოჩნდა**; **წარმოჩენილა** [და არა წარმოჩინდება, წარმოჩინდა, წარმოჩინებულა]

წარუმატებელი (წარუმატებლად); **წარუმატებლობა**

წარუშლელი (შთაბეჭდილება), მაგრამ: **წაუშლელი** (დაფა)

წარწერა (ლურსმული წარწერა), მაგრამ: **წაწერა** (განცხადებაზე)

წასვლა-წამოსვლა

წასწევს; **წასწია**; **წაუწევია**

წაუკითხავს [და არა წაუკითხია] (თურმე); იხ. **დაუნატავს**

წაუსვამს [და არა წაუსვია] (თურმე); იხ. **აუბამს**

წევრ-კორესპონდენტი

წელი (წლის¹, მრ. წლები): დროის გარემოების ფუნქციით ხმარებისას **წელი** გამოიყენე-

ბა მიცემით ბრუნვაში უთანდებულოდ:

წელს [და არა წელში]: 2005 **წელს**; იხ. -ში

წერ (შენ წერილს), მაგრამ: **სწერ** (შენ მას წერილს)

წერია (წიგნში), მაგრამ: **სწერია** (მას ჯვარი)

წერილობით; **წერილობითი**

წერს (ის ლექსს), მაგრამ: **სწერს** (ის მას წერილს)

წვავს (ხორცს), მაგრამ: **სწვავს** (მას თვალებს)

წვრთნა [და არა წრთვნა]

წვრთნის (**ვწვრთნი**, **წვრთნი**); **წვრთნა**; **უწვრთნია**

წიაღსვლა // **ექსკურსი**

წითელა (წითელას¹)

წითელი (წითლად, მრ. წითლები)

წითელქუდა (წითელქუდას¹)

წილი (წილად); **მეტწილად**; **უმეტესწილად**

წილისყრა

წილნაყარი

წილხვდომილი

წილხვედრი

წინ: **ორი... წლის წინ** / **წინათ** [და არა **ორი... წლის უკან**]

წინათ; **წინათაც**; **წინათვე**

წინათქმა // **წინასიტყვაობა** // **წინასიტყვა**

წინამდებარე

წინამორბედი

წინამძღვარი (წინამძღვრის^ა); **წინამძღვრობა**
წინამძღოლი
წინასაარჩევნო
წინასაძღესასწაულო
წინასაიუბილეო
წინასწარგანზრახული
წინასწარმეტყველური
წირავს (მღვდელი), მ ა გ რ ა მ: **სწირავს** (სამ-
შობლოს სიცოცხლეს)
წიფელი (წიფლის^ა)
წიქარა (წიქარას^ი)
წიწიბურა (წიწიბურას^ი)
წიწილა (წიწილის^ა): ქათმის ნაშიერი; შ დ რ.:
წიწილი: გველის ნაშიერი
წლევანდელი [და არა წრევანდელი]
წლუულს [და არა წრეულს]
წლითიწლობით
წლოვანება
წმენდს; წმინდა; უწმენდია
წმიდათაწმიდა (წმიდათაწმიდის^ა)
წმინდა [და არა სუფთა] (მოგება)
წმინდა სისხლის [და არა სუფთა სისხლის]
(ცხენი / ძალი)
წნევა [და არა წნეგები]; იხ. **მუსიკა**
[წნილი კი არა] **მწნილი**
წონის; წონა; უწონია
წრე (წრის^ა): **წრიული**

წრფელი [და არა რწფელი, წფელი]
წუთისოფელი (წუთისოფლის^ა)
წუნია (წუნის^ი)
წურბელა (წურბლის^ა) // **წურბელი** (წურ-
ბლის^ა)
წუხს (**ვწუხვარ, წუხხარ**); **წუხდა; წუხდეს**
წყალდიდობა
წყალვარდნილი
[წყალობს კი არა] **სწყალობს**
წყალქვეშა (წყალქვეშას^ი)
წყდება (მაფი), მ ა გ რ ა მ: **სწყდება** (მას გული)
წყევლის; წყევლა; უწყევლია
წყენინება (აწყენინებს)
წყვეტს (ის საკითხს, ძაფს), მ ა გ რ ა მ: **სწყვეტს**
(ის ხეს ფოთოლს)
წყობა – წყობილება; წყობა: 1. შენობის კედ-
ლის ამოყვანა (აგურის **წყობა**); 2. განლაგება
(რაზმისა, ჯარისა); 3. რაზმეული, გუნდი
(რაზმში ათი **წყობაა, წყობაში** – 50 კაცი);
4. აგებულება, სტრუქტურა (გრამატიკული
წყობა); **წყობილება**: მმართველობის წესი,
საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაცია
(სოციალისტური / კაპიტალისტური / გვა-
როვნული... **წყობილება**)
[წყურია კი არა] **სწყურია**

ქ

ჭადარი (ჭადრის^ა)

[ჭადი კი არა] **მჭადი**

ჭამს (ჭურს), მაგრამ: **სჭამს** (მას ჭირს)

ჭარბობს (ზევრია), მაგრამ: **სჭარბობს** (ერთი მეორეს)

ჭარმაგი

ჭიამაია (ჭიამაიას^ი)

ჭიანჭველა (ჭიანჭველას^ი)

ჭიალუა (ჭიალუას^ი)

ჭიაყელა (ჭიაყელას^ი)

ჭიკჭიკებს; ჭიკჭიკებდა; ჭიკჭიკებდეს

ჭიმავს; ჭიმა; უჭიმავს (თურმე)

ჭინკა (ჭინკის^ა)

ჭინჭარი (ჭინჭრის^ა)

ჭინჭრაქა (ჭინჭრაქას^ი)

[ჭირდება კი არა] **სჭირდება**

ჭირს (ძნელია), მაგრამ: **სჭირს** (მას სურდო)

ჭკუათამყოფელი (ჭკუათამყოფლის^ა)

ჭოგრი // ჭოგრიტი

ჭორიკანა (ჭორიკანას^ი): **ჭორიკანული**

ჭორიკანობს; ჭორიკანობდა; ჭორიკანობდეს

ჭრეთს; ჭრეთდა; ჭრეთდეს

ჭრელთვალა (ჭრელთვალას^ი)

ჭრიჭინა (ჭრიჭინას^ი)

ჭრიჭინობელა (ჭრიჭინობელას^ი)

ჭურჭელი (ჭურჭლის^ა)

ჭყლეტს [და არა ჭყლიტავს]

ხ

ხაზგასმა; ხაზგასმით; ხაზგასმული

ხაზი; ხაზობრივი; ხაზოვანი

ხაზინა (ხაზინის^ა); **სახაზინო**

ხაზინადარი (ხაზინადრის^ა)

[ხალვა კი არა] **ჰალვა**

ხალიჩა (ხალიჩის^ა)

ხანგრძლივი; ხანგრძლივობა

ხანი (ხანის^ა): ალა-მაჰმად-ხანი

ხანი (ხნის^ა): ამ ხნის განმავლობაში

ხანუმა (ხანუმას^ი)

ხანშესული // ხანში შესული

ხდება; მოხდება; მოხდა; მომხდარა: უმართე-ბულოა ამ ფორმების გამოყენება სახელ-წმინდებთან: **ხდება** განთავისუფლება, **მოხდება** მოლაპარაკება, **მოხდა** ჩხუბი. უნდა იყოს: **ათავისუფლებენ, მოილაპარაკებენ, იჩხუბეს / ჩხუბი გაიმართა, მაგრამ:** ეს ამბავი გუშინ **მომხდარა / მოხდა...**

ხე (ხის^ა; **ხისგან გამოთალა**, მაგრამ: **ხიდან ჩამოვიდა**); იხ. -**გან**
ხელდასხმა: **ხელდასხმული**
[ხელმძღვანელობ კი არა] **ხელმძღვანელობ**
ხელეყოფ [და არა ვხელყოფ]
ხელთათმანი (ხელთათმნის^ა), თუმცა **სასაუბრო მეტყველებაში** გვხვდება შეუკუმშავი ფორმებიც: **ხელთათმანისა**, **ხელთათმანები**
ხელთამპყრობელი (ხელთამპყრობლის^ა)
ხელი სდადება (ერთი ხელისდადება)
ხელი სმოქიდე (ხელისმოქიდის^ა)
ხელისუფალი (ხელისუფლის^ა); **ხელისუფლება**; **სახელისუფლო**
ხელი ხელსაგომანებელი // **ხელი ხელსაგომანები**
ხელმარცხნივ
ხელმარჯვნივ
ხელმძღვანელი (ხელმძღვანელის^ა, მრ. ხელმძღვანელები)
ხელმძღვანელობს; **ხელმძღვანელობდა**; **ხელმძღვანელობდეს**
ხელმწიფე (ხელმწიფის^ა)
ხელნაწერი
ხელოვანი (ხელოვნის^ა // ხელოვანის^ა, მრ. ხელოვანები), მაგრამ: **ხელოვნება**
ხელუხლები // **ხელუხლებელი** (ხელუხლებლად)

ხელშესახები
ხელშეუხებელი (ხელშეუხებლად) // **ხელშეუხები**
ხელშეუხებლობა
[ხვალე კი არა] **ხვალ**, მაგრამ: **ხვალემ** იზრუნოს ხვალისა
ხვალინდელი
ხვეტს; **ხვეტა**; **უხვეტია**
ხვეწს; **ხვეწა**; **უხვეწია**
ხვეჭს; **ხვეჭა**; **უხვეჭია**
[ხვთისნიერი კი არა] **ღვთისნიერი**
[ხვთიმობელი, ღვთიმობელი კი არა] **ღვთისმშობელი**
ხვრეპს; **ხვრიპა**; **უხვრეპია**
ხვრეტს; **ხვრიტა**; **უხვრეტია**
ხიბლავს; **ხიბლავდა**; **ხიბლავდეს**
ხიბლი
ხიზანი (ხიზნის^ა)
[ხიპი, ხიპები კი არა] **ჰიპი**; **ჰიპები**
[ხირომანტი, ხირომანტია კი არა] **ქირომანტი**; **ქირომანტია**
[ხირურგი კი არა] **ქირურგი**
[ხიტი კი არა] **ჰიტი**
ხიწვი (// **ხიჭვი**)
ხლართავს; **ხლართა**; **უხლართავს**
ხლერს; **ხლიჩა**; **უხლერიჩა**

ხმაამოუღებლად (// ხმაამოუღებლივ)

[ხმარებაშია კ ი ა რ ა] **იხმარება**: თანდებულისანი ფორმა რუსული გამოთქმის (в употреблении) კალკია. მისი ბუნებრივი ქართული შესატყვისია **იხმარება**; ი ხ. -ში

ხმელა (ხმელას¹); **ხმელა პური**

ხნავს; **ხნა** (გხანი, ხანი); **უხნავს**

ხნოვანება; **ხნოვანი**

[ხოკვი კ ი ა რ ა] **ჰოკვი**

[ხოლერა კ ი ა რ ა] **ქოლერა**

[ხოლი კ ი ა რ ა] **ჰოლი**

[ხორალი კ ი ა რ ა] **ქორალი**

ხორბლისფერი (ხორბლისფრად)

[ხორმაისტერი კ ი ა რ ა] **ქორმაისტერი**

[ხორო კ ი ა რ ა] **ქორო**

ხოცავს (ბევრს), მაგრამ: **კლავს** (ერთს): ობიექტის რიცხვის მიხედვით ფუძემონაცვლე ზმნებია

ხოცვა-ჟლეტა [და ა რ ა ხოცვა-ჟლეტვა]

[ხრონიკა კ ი ა რ ა] **ქრონიკა**

[ხსოვნის დავიწყება კ ი ა რ ა] **სახელი ს... დავიწყება**: **ხსოვნის დავიწყება** არასწორი გამოთქმაა. უ მ ა რ თ ე ბ უ ლ ო ა : არასოდეს **დავივიწყებთ** მის **ხსოვნას**, უ ნ და ი ყ ო ს : არასოდეს **დავივიწყებთ**, მუდამ **გვემახსოვრება** (იგი, მისი სახელი) ან მისი **ხსოვნა** მუდამ იქნება ჩვენს გულში

ხუროთმოძღვარი (ხუროთმოძღვრის¹) // **არქიტექტორი**

ხუროთმოძღვრება // **არქიტექტურა**

ხუცესი (მ ი ც. ხუცესს, ნ ა თ. ხუცის¹, ვ ი თ. ხუცად // ხუცესად, მ ო ქ მ. ხუცით // ხუცესით, მ რ. ხუცები // ხუცეები): **ხუცური**



ჯავშანი (ჯავშნის¹); **ჯავშნიანი**; **ჯავშნოსანი**
ჯავშანტრანსპორტიორი

ჯაზი (ჯაზზე): **ჯაზური**; **ჯაზორკესტრი**

ჯარიმა: ზეპირ მეტყველებაში ხშირად ისმის: ფეხბურთელმა არაზუსტად **გამოიყენა** ეს **ჯარიმა**, რაც უმართებულოა. უ ნ და ი ყ ო ს : ფეხბურთელმა არაზუსტად შეასრულა **საჯარიმო დარტყმა**

ჯარისკაცი; **ჯარისკაცობა**

ჯაშუში [და ა რ ა შპიონი]; **ჯაშუშობა**

ჯაშუშურ-დივერსიული

ჯგუფი; **ჯგუფური**

ჯგუფობრივი; **ჯგუფობრიობა**

ჯღება (ის), მაგრამ: **სხდებიან** (ისინი): სუბიექტის რიცხვის მიხედვით ფუძემონაცვლე ზმნებია

ჯეირანი (ჯეირნის^ა)

ჯემპრი

ჯენტლმენი; ჯენტლმენობა; ჯენტლმენური

[ჯერავს, ჯერა, ჯეროდა კი არა] **სჯერა; სჯე-
როლა**

ჯერ ერთი... მეორეც... უმართებულოა: **ჯერ
ერთი**, დააგვიანდა, **მეორეც ერთი**, ბოდიში არ
მოიხადა. უნდა იყოს: **ჯერ ერთი**, დააგვიან-
და, **მეორეც** – ბოდიში არ მოიხადა

ჯეროვანი (ჯეროვნად)

ჯვარედინი (ჯვარედინად)

ჯვარი (ჯვრის^ა, მრ. ჯვრები)

ჯვარცმა (ჯვარცმის^ა): **ჯვარცმული**

ჯვრისწერა (// **ჯვარისწერა**)

**ჯილდოვდება; ჯილდოვდებოდა; ჯილდოვ-
დებოდეს**

[ჯინი კი არა] **ჯინი**, შდრ.: საუბ. **ჯინაზე**
(= ჯიბრზე) აკეთებს

[ჯინიანი კი არა] **ჯინიანი**

ჯინსი (მხ.)

[ჯინჭარი კი არა] **ჭინჭარი**

ჯიპი (ჯიპმა)

ჯირკვალი (ჯირკვლის^ა, მრ. ჯირკვლები);
ჯირკვლოვანი

ჯიჯგნის; ჯიჯგნა; უჯიჯგნია

ჯობია // **ჯობს** (ასე ჯობია), მაგრამ: **სჯობს** //
სჯობია (ის მას)

[ჯობნის კი არა] **სჯობნის** (ის მას)

ჯური

ჯუჯა (ჯუჯის^ა)

ჯუჯლუნობს; ჯუჯლუნობდა; ჯუჯლუნობდეს
ჯლაბნის; ჯლაბნა; უჯლაბნია

ჰ

ჰაბიტუსი (ჰაბიტუსს)

ჰაგიოგრაფია; ჰაგიოგრაფიული

ჰაეროვანი (ჰაეროვნად)

ჰაიმორიტი [და არა გაიმორიტი]

ჰალვა [და არა ხალვა]

ჰალსტუხი [და არა გალსტუკი]

ჰალუცინაცია; ჰალუცინაციური [და არა
გალუცინაცია, გალუცინაციური]

ჰამაკი [და არა გამაკი]

ჰარამხანა (ჰარამხანის^ა) [და არა გარემი, ჰა-
რემი]

ჰარმონია; ჰარმონიული [და არა გარმონია,
გარმონიული]

ჰაუბიცა (ჰაუბიცის^ა) [და არა გაუბიცა]

ჰაუპტვახტი [და არა გაუპტვახტი]

ჰაშიში [და არა გამშიში]

პბანს (ის ბავშვს ხელეხს), მაგრამ: **ბანს** (ის ბავშვს)
პგავს; პგავდა; პგავდეს [და არა გავს, გავდა, გავდეს]
პგავხარ [და არა პგევხარ]; იხ. **ვგავარ**
პგვანან, მაგრამ: **პგავდნენ** (ისინი მას)
პგერის (სიამოვნებას მას)
პგლეჯს (ქარი კაცს ქუდს), მაგრამ: **გლეჯს** (ნადირი ხორცს)
პგონია [და არა გონია]
პგრილა (მას), მაგრამ: **გრილა** (საერთოდ; გრილი ამინდია)
პეგემონი; პეგემონიზმი; პეგემონისტი; პეგემონისტური
პეგემონია; პეგემონიური
პემატომა (ჰემატომის¹) [და არა გემატომა]
პემოგლობინი [და არა გემოგლობინი]
პეპატიტი [და არა გეპატიტი]
პეპი-ენდი [და არა პეფი-ენდი]
პერბარიუმი [და არა გერბარიუმი]
პერმაფროდიტი [და არა გერმაფროდიტი]
პერმეტული [და არა გერმეტული]
პეროკა; პეროკული (გმირული)
პექტარი [და არა გექტარი]
პიბრიდი; პიბრიდული [და არა გიბრიდი, გიბრიდული]

პიგიენა; პიგიენური [და არა გიგიენა, გიგიენური]
პიდრავლიკა; პიდრავლიკური [და არა გიდრავლიკა, გიდრავლიკური]
პიდროელექტროსადგური [და არა გიდროელექტროსადგური]
პიდროლოგია; პიდროლოგიური [და არა გიდროლოგია, გიდროლოგიური]
პიდროტექნიკა; პიდროტექნიკური [და არა გიდროტექნიკა, გიდროტექნიკური]
პიმნოგრაფია; პიმნოგრაფიული
პიპერბოლა (პიპერბოლის¹) [და არა გიპერბოლა]
პიპერმარკეტი „გუდვილი“, **პიპერმარკეტმა** „გუდვილმა“, **პიპერმარკეტ** „გუდვილს“ / „გუდვილის“ / „გუდვილით“ / „გუდვილად“; „გუდვილში“
პიპერტონია; პიპერტონიული [და არა გიპერტონია, გიპერტონიული]
პიპერტონიკი [და არა გიპერტონიკი]
პიპი (მრ. პიპები) [და არა ხიპი, ხიპები]
პიპნოზი [და არა გიპნოზი]
პიპოთეზა; პიპოთეზური [და არა გიპოთეზა, გიპოთეზური]
პიპოტენუზა (პიპოტენუზის¹) [და არა პიპოთენუზა, გიპოტენუზა]
პისტოლოგია; პისტოლოგიური
პიტტი [და არა ხიტტი]

ჰიბენს; ჰიბენდა; ჰიბენდეს

ჰივეთს (მას თავს), მაგრამ: **კვეთს** (ის გზას)

ჰიდილა (მას ჯვარი), მაგრამ: **კიდილა** (ფარდა)

ჰიითხავს; ჰიითხა; უკიითხავს

ჰირავს (ის მას ხელს), მაგრამ: **კრავს** (ის ბარგს)

ჰოკეი (ჰოკეიმ, მიც. ჰოკეის) [და არა ხოკეი]

ჰოლი [და არა ხოლი]

ჰოლოგრამა (ჰოლოგრამის¹)

ჰომეოპათი(ა); ჰომეოპათიური [და არა გომეოპატი(ა), გომეოპატიური]

ჰომო-საპიენსი (ჰომო-საპიენსის)

ჰომოსექსუალიზმი [და არა გომოსექსუალიზმი]

ჰონორარი [და არა გონორარი]

ჰონორი [და არა გონორი]

ჰონორის კაუზა: სამეცნიერო ხარისხის მინიჭება დისერტაციის დაუცველად (გამორჩეული მეცნიერული მოღვაწეობის გამო)

ჰორიზონტალი; ჰორიზონტალური (ჰორიზონტალურად) [და არა გორიზონტალი, გორიზონტალური, გორიზონტალურად]

ჰორიზონტი; ჰორიზონტული [და არა გორიზონტი, გორიზონტული]

ჰორმონი; ჰორმონული [და არა გორმონი, გორმონული]

ჰოროველა (ჰოროველას¹) // **ოროველა** (ოროველას¹)

ჰოროსკოპი [და არა გოროსკოპი]

ჰოსპიტალი (ჰოსპიტლის¹): **ჰოსპიტალური** [და არა გოსპიტალი, გოსპიტალური]

ჰოსპიტალიზაცია [და არა გოსპიტალიზაცია]

ჰპარავს; ჰპარავდა; ჰპარავდეს

ჰპატრონობს; ჰპატრონობდა; ჰპატრონობდეს (იგი მას)

ჰპირდება; ჰპირდებოდა; ჰპირდებოდეს

[ჰპოვა კი არა] **პოვა**

ჰუმანიზმი [და არა გუმანიზმი]

ჰუმანიستي; ჰუმანიტური [და არა გუმანიستي, გუმანიტური]

ჰუმანიტარული [და არა გუმანიტარული]:
1. მეცნიერებანი; 2. დახმარება

ჰუმანიდი (მრ. ჰუმანიდები) [და არა გუმანიდი, გუმანიდები]

ჰუმანური; ჰუმანურობა [და არა გუმანური, გუმანურობა]

ჰფენს (მას შუქს), მაგრამ: **ფენს** (სარეცხს)

ჰქვია [და არა ქვია] (მას)

[ჰქვებიან კი არა] **რქმევია**

[ჰქვიოდა კი არა] **ერქვა**

ჰქონდა; ჰქონდეს [და არა ქონდა, ქონდეს]

[ჰქრის კი არა] **ქრის**

ჰყავს; ჰყავდა; ჰყოლია [და არა ყავს, ყავდა, ყოლია]

ჰყავხარ [და არა ჰყევხარ, ყევხარ, ყავხარ]

[ჰყვავის კი არა] **ყვავის** (მცენარე)
ჰყვარებია; ჰყვარებოდა; ჰყვარებოდეს [და
არა ყვარებია, ყვარებოდა, ყვარებოდეს]
ჰყოლია; ჰყოლოდა; ჰყოლოდეს [და არა ყო-
ლია, ყოლოდა, ყოლოდეს] (მას)
ჰყოფნის; ჰყოფნიდა; ჰყოფნიდეს [და არა
ყოფნის, ყოფნიდა, ყოფნიდეს]
[ჰყრია კი არა] **ყრია**

წყაროები

- შ. აფრიდონიძე, ჩვენი ენა ქართული, თბ., 2002
თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის
ნორმები, თბ., 1970, 1986
ვ. თოფურია, ივ. გიგინეიშვილი, ქართული ენის
ორთოგრაფიული ლექსიკონი, თბ., 1998
ვ. თოფურია, ქართული ენა და მართლწერის
ზოგიერთი საკითხი, თბ., 1998
ჟურნალისტის სტილისტიკური ცნობარი, თბ.,
2002
ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი,
I-VIII, თბ., 1950-1964
ქართული სიტყვის კულტურის საკითხები,
I-XII, თბ., 1972-2004
მ. ჭაბაშვილი, უცხო სიტყვათა ლექსიკონი, თბ.,
1989